თბილისის უნივერსიტეტი

85

28 მარტი, პარასკევი, 2013 წ. №4

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

საბავშვო უნივერსიტეტი

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტისა“ და თსუ-ის საბავშვო უნივერსიტეტის ინიციატივით თბილისის საჯარო სკოლებში რამდენიმე საინტერესო ლექცია ჩატარდა. უნივერსიტეტის ლექტორებმა: ვაჟა კიკნაძემ, ილია თავხელიძემ და თეიმურაზ ნადარეიშვილმა სკოლის მოსწავლეებს პოპულარულ ენაზე წაუკითხეს ლექციები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

„თბილისის უნივერსიტეტი“ გთავაზობთ სკოლის მოსწავლეთა შთაბეჭდილებებს ჩატარებული ლექციების შესახებ.



გვ. 8

„მებიუს-ლისტინგის სხეული და მათი ზოგიერთი გეომეტრიული თვისება“

გვ. 9

ის, რაც ყველას აინტერესებს, მაგრამ ცოტამ იცის — „რისგან შედგება სამყარო?“

ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებში ინტეგრაციის მინისტრი თსუ-ის სტუდენტებს შეხვდა

გვ. 10

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია

გვ. 3

იქნება თუ არა ტენუარის ინსტიტუტი აკადემიური სისტემის სტაბილურობის გარანტი

გვ. 3

მას შემდეგ, რაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი ბაქრაძემ ივანიშვილმა განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელს, მსოფლიოში ცნობილ ქართველ მეცნიერს გია დვალს მადლობა გადაუხადა ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, მყარად მოიკიდა ფეხი მოსაზრებამ, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ტენუარის სისტემა ნელ-ნელა დამკვიდრდება.

ამ სისტემაზე გადასვლას მომხრეებთან ერთად მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, მომხრეებისთვის ის არის საუკეთესო გზა აკადემიური თავისუფლების მოსაპოვებლად, ხოლო მოწინააღმდეგეთა კომენტარებში ძირითადად დომინირებს მოსაზრება, რომ ქართული აკადემიური საზოგადოება ჯერ არ არის მზად ტენუარის სისტემაზე გადასასვლელად. მათი აზრით, არსებობს უამრავი წინააღმდეგობა და წინასწარ გასათვალისწინებელი წვრილმანი, რომელთა გარეშეც ეს კონცეფცია ქართულ რეალობაში არ იმუშავებს.

რას გეგმავს სერგი კაპანაძე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გასავითარებლად

ჩატარდება თუ არა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეკანის ხელახალი არჩევნები დაზუსტებით ცნობილი არ არის. თბილისის საქალაქო სასამართლოს ჯერ კიდევ არ გამოუტანია განაჩენი ფაკულტეტის დეკანის მოადგილის რეზო ჯორგენაძის სარჩელთან დაკავშირებით, რითაც მოსარჩელე თსუ-ის რექტორის გრძანების (2012 წლის 21 დეკემბრის გრძანება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნების შედეგების გაუქმების შესახებ) გათილად ცნობას ითხოვს. იმ შემთხვევაში თუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეკანის ხელახალი არჩევნები დაინიშნება, მასში მონაწილეობის მიღებას დეკანის მოვალეობის შემსრულებელი სერგი კაპანაძეც გეგმავს. მან უკვე შეიმუშავა ფაკულტეტის განვითარების

კონცეფცია და დაწყებული აქვს მისი განხორციელების პროცესი. კონკრეტულად რა ცვლილებები იგეგმება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, **სერგი კაპანაძე** გვესაუბრა.

— ბატონო სერგი, რა არის თქვენი საქმიანობის პრიორიტეტი დეკანის მოვალეობის შესრულებისას?

— სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შესრულება 6 თვით მანდეს და მინდა ამ დროის მანძილზე ჩემი გეგმების განხორციელება დავიწყო. განსაზღვრული მაქვს რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება. უპირველესი მიზანი ფაკულტეტზე დეპარტამენტების ჩამოყალიბება და მათი ფუნქციების მკაფიო განსაზღვრაა. ეს ხელს შეუწყობს მენეჯმენტის დეცენტრალიზაციას. დეპარტამენტებს ექნებათ გადაწყვეტილების მიღების საშუალება, უფლება და შესაძლებლობა. დეპარტამენტების რაოდენობას ფაკულტეტის საბჭო დაადგენს.

მე-2 გვერდზე

▼ ნომერში

საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო რესპუბლიკა? გვ. 4

ქართული პარლამენტარიზმის დღე გვ. 4

გერბიდან ნუ დავიწყებთ ცვლილებებს! გვ. 5

ორმაგი ხარისხის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში —წარმატებული პროექტი იენის უნივერსიტეტთან გვ. 6

მერაბ კოკოჩაშვილის გზა გვ. 7

რექტორს სათქმელი უნდა ჰქონდეს გვ. 13

ტარიელ ხარხელაური – „კაცი რომელიც ჰგავდა თავის თავს“ გვ. 15

ბრძანება

№32/01-01 13.03.2013

ა(ა)იპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ პროფესორთა სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ს“ ქვეპუნქტების, 46-ე მუხლის, 47-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის 31 დადგენილებით დამტკიცებული ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ამავე წესის მე-3 მუხლის, ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 15 თებერვლის №02/04 ერთობლივი ბრძანების „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის რ. ბოჭორიშვილის 2013 წლის 4 მარტის №6466/02 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრულ პროფესორთა სამსახურში მისაღებად;

უნივერსიტეტის სრულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

კონკურსი გამოცხადდეს 2012 წლის 13 მარტს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2013 წლის 15 აპრილიდან 2013 წლის 15 მაისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2013 წლის პირველი სექტემბრისა.

კონკურსი გამოცხადდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა სამსახურში მისაღებად შემდეგი მიმართულებებით:

გეოგრაფიის მიმართულება

ქვემიმართულება: ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია

სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული,

ქვემიმართულება: რეგიონალური გეოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება

სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული.

5. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე CD-ზე ჩაწერილი saxeli.gvari.doc და saxeli.gvari.pdf ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი.

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2013 წლის 15 აპრილიდან 2013 წლის 15 მაისის ჩათვლით, 10^{00}-დან 17^{00} საათამდე, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში. მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №3, თსუ II კორპუსი, II სართული, ოთახი №232;

ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“;

ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს;

დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი
ალექსანდრე კვიტაშვილი

რას გეგმავს სერგი კაპანაძე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გასავითარებლად

პირველი გვერდიდან

— ***უკვე მიმდინარეობს მუშაობა დეპარტამენტების ჩამოყალიბების პროცესის დასაწყებად?***

— მუშაობა დაწყებულია. არსებობს ფაკულტეტის დებულების ახალი პროექტი, რომელშიც ეს გაწერილი იქნება. ახლა ვმუშაობთ ფაკულტეტის საბჭოს გასვლითი შეხვედრის ორგანიზებაზე, სადაც ამ პროექტის შესახებ მსჯელობა გაიმართება. ამ ყველაფერს გარკვეული დრო დასჭირდება, რადგან პროფესურამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რა ტიპის ფუნქციები ექნება დეპარტამენტებს. სავარაუდოდ, ფაკულტეტის საბჭო დოკუმენტს თვის ბოლოს განიხილავს და ერთად მივალთ იმ საბოლოო ვარიანტამდე, რომელიც ყველასთვის მეტ-ნაკლებად მისაღები იქნება.

— ***ფაკულტეტის დებულების ახალი პროექტი დამატებით რა ცვლილებებს გულისხმობს?***

— ძველი დებულება ყველა შემთხვევაში საჭიროებს განახლებას, აქედან გამომდინარე, ბევრი რამ თავისთავად შეიცვლება. დეპარტამენტებს მნიშვნელოვანი ფუნქციები ექნება ფაკულტეტის ბიუჯეტის განაწილებასთან დაკავშირებით. ჩვენ გვსურს პროგრამული მიდგომა, ეს გულისხმობს, რომ დეპარტამენტი შეადგენს გეგმას, მიაწვდის ფაკულტეტის დეკანატს, რომელიც შემდეგ მათ ინტერესებს დაიცავს ადმინისტრაციასთან მაქსიმალური რაოდენობის რესურსის მისაღებად. მიღებულ რესურსებს კი დეპარტამენტების ინტერესების მოთხოვნების შესაბამისად გაანაწილებს. მეორე, რომელი მიმართულებითაც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია მუშაობის დაწყება, ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევების განვითარებაა. ამ დროისთვის ამისთვის ძალიან ცოტა თანხაა გამოყოფილი. ჯერ კონკრეტულად დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, თუმცა უკვე არის ნიშნები, რომ სამეცნიერო კვლევების განვითარებისთვის გარკვეული ფინანსები გაჩნდეს ფაკულტეტზე. ამ შემთხვევაში გარკვეული პროცედურების გაწერა იქნება საჭირო – რა ტიპის კვლევები დაფინანსდება, როგორ მოხდება შეფასება. აღნიშნულ საკითხებს მხოლოდ დეკანი არ გადაწყვეტს. უკვე შევიმუშავეთ პროექტი, რომელსაც ფაკულტეტის საბჭოს პროფესურა გაეცნო, მივიღეთ შენიშვნები და ხელახლა გასაცნობად კვლავ გადავუგზავნით.

— ***აკადემიური კონკურსის ჩატარების წესის შესახებ კონკურსის მონაწილეების მხრიდან რამდენჯერმე კრიტიკული მოსაზრებები გაჟღერდა, ხომ არ იგეგმება მასში გარკვეული ცვლილებების შეტანა?***

— აკადემიური კონკურსის ჩატარების წესში არის გარკვეული საკითხები, რომელიც უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის ფუნქციაა. იმ ნაწილში, რომელიც უშუალოდ ფაკულტეტს ეხება, ჩვენ შეგვიძლია ცვლილებები შევიტანოთ და კონკურსის კრიტერიუმები უფრო მკაფიო გავხადოთ. საკონკურსო კომისიამ, რომელიც რამდენიმე კვირის წინ აკადემიური კონკურსის ფარგლებში შეიქმნა, გარკვეული კონცეფცია შეიმუშავა. ფაკულტეტზე არსებობს ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფიც (აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის სტიპენდიატები), რომლებმაც ასევე შეიმუშავეს აკადემიური კონკურსის ჩატარების კონცეფცია. დიდი იმედი მაქვს, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში ამ ორი კონცეფციის გათვალისწინების საფუძველზე მაქსიმალურად დაზუსტდება სამსახურში პროფესორების აყვანის კრიტერიუმები და გაურკვეველი ვითარებაც აღარ შეიქმნება. აღნიშნულ საკითხებზე აუცილებლად იმსჯელებს საფაკულტეტო საბჭო. მოხარული ვარ, რომ მის განხილვაში პროფესურის დიდი ნაწილი მიიღებს მონაწილეობას.

— ***ხომ არ იგეგმება სიახლეები სასწავლო ლიტერატურის თარგმნის მიმართულებით?***

— ფაკულტეტზე პრობლემატური საკითხია ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურა. გახსოვთ, ამ საკითხებზე სტუდენტური მოძრაობა „თარგმნე“-ს აქტიურობაც. უკვე მეორე წელია, რაც შესაძლებლობა გვაქვს ლიტერატურა ქართულ ენაზე ვთარგმნოთ. ახლა თარგმნის მეორე ეტაპი დაიწყო. ვცდილობთ, აქცენტი გაკეთდეს იმ ლიტერატურაზე, რომელიც დაწყებითი კურსებისთვის არის საჭირო. ამისათვის ბიუჯეტიდან თანხა უკვე გამოყოფილია. ფაკულტეტის მიმართულებებიდან მივიღეთ მოთხოვნა გარკვეული ლიტერატურის თარგმნის თაობაზე. მინდა გითხრათ, რომ თარგმნითი სამუშაოების წესი უკვე შევიმუშავეთ, რომლის პროცესშიც ფაკულტეტის საბჭო მონაწილეობდა და ალბათ, ფაკულტეტის დებულებასთან ერთად განვიხილავთ. ჩვენთვის, ასევე, პრიორიტეტულია, რომ სტუდენტებს მაქსიმალურად მივცეთ საშუალება განვითარდნენ საზღვარგარეთ კონფერენციებსა თუ სხვადასხვა კონგრესებში მონაწილეობის თვალსაზრისით. ახლა, მაგალითად, სტუდენტები წავიდნენ „NATO“-ს ახალგაზრდულ კონგრესზე. ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი თანხა 38 000 ლარია გამოყოფილი, რაც 2-ჯერ მეტია გასულ წელს გამოყოფილ თანხასთან შედარებით. ჩემი პრიორიტეტია, რომ მომავალ წელს, კიდევ გაორმაგდეს ეს თანხა. ახლაც თუ რომელიმე სტუდენტი მოითხოვს თანხას მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, შეგვიძლია დავაფინანსოთ.

მიმდინარე წლის ბიუჯეტში თანხა გაზრდილია პროფესორებისთვისაც, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღების მიზნით. შარშანდელთან შედარებით 35 000 ლარის ნაცვლად 60 000 ლარამდეა გამოყოფილი. გაისად ამ მიმართულებითაც გვსურს რესურსების გაზრდა. ვფიქრობ, როგორც პროფესორები, ასევე სტუდენტები კვალიფიკაციას ყველაზე მეტად საზღვარგარეთ გამართულ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობით იმაღლებენ, ამიტომ ეს მიმართულება განსაკუთრებით პრიორიტეტულია. ასევე, ვგეგმავთ ფაკულტეტზე სამეცნიერო ჟურნალის გამოცემას. უკვე გვქონდა საუბარი სარედაქციო კოლეგიის შექმნაზე და უახლოეს პერიოდში ფაკულტეტის საბჭოზე განიხილება – თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ ფაკულტეტზე აკადემიური ჟურნალი გამოიცეს.

— ***ერთერთი პრობლემა, რომელზეც სტუდენტები საუბრობენ, პრაქტიკული გამოცდილების მიღება გახლავთ. აპირებთ თუ არა ამ მხრივ მათთვის სიახლის შეთავაზებას?***

— ძალიან წარმატებულია თანამშრომლობა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, სადაც თსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის ყველა მაგისტრანტი სავალდებულო 6–თვიან სტაჟირებას გადის. მერე კი თვითონ სტუდენტებზეა დამოკიდებული, რამდენად დაიმკვიდრებენ თავს საგარეო სისტემაში. ჩვენი გეგმა ასეთია – გვინდა ასეთი მოდელები ყველა მიმართულებებზე გაჩნდეს. რამდენიმე მსგავსი პროგრამა ფსიქოლოგიისა და ჟურნალისტიკის მიმართულებებზეც მოქმედებს. თვითონ ვარ ჩართული, რომ მაქსიმალურად მოვიძიო ასეთი ტიპის კონტაქტები. კონკრეტულად არ დავასახელებ, მაგრამ ბოლო პერიოდში სხვადასხვა გამომცემლობების ხელმძღვანელებთან ამ თემაზე საუბარი მქონდა. პრობლემა ის გახლავთ, რომ უმრავლესობას სურს კონკურსი ჩაატაროს და ამ გზით შეარჩიონ სტაჟიორები. ზოგიერთ ჩვენს მიმართულებაზე მოქმედი სტაჟირების მოდელები, სიმართლე გითხრათ, ცოტა დისკრიმინაციულია სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან მიმართებაში, თუმცა სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მიღების საშუალება ჩვენი ერთერთი მთავარი პრიორიტეტია. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრებათ დეპარტამენტებს, რომელთა ჩამოყალიბებასაც ვგეგმავთ. დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა უნდა მოიძიონ კონტაქტები სხვადასხვა დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ინსტიტუტებთან, რათა დეკანატთან ერთობლივი ძალისხმევით უფრო მეტი შედეგის მიღება შევძლოთ.

ნატო ოგოლაძე

თსუ - ლიდერი სამეცნიერო ცენტრი საქართველოში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავ არ თმობს ლიდერის პოზიციებს საქართველოს კვლევით ცენტრებს შორის. 2012 წლის სამეცნიერო კონკურსების შედეგებმა, რომლის ნაწილიც ამ დღეებში გახდა ცნობილი, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ დაადასტურა. სტატისტიკა მოწმობს, რომ თსუ-მ გამარჯვებული სამეცნიერო პროექტების მიხედვით ყველა უნივერსიტეტს მნიშვნელოვნად გაუსწრო. ეს გამარჯვება თსუ მეცნიერებსა და სტუდენტებს სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის მეტ საშუალებას უჩენს და უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობის მაღალ სტანდარტ ზე მოწმობს.

კონკურსების შედეგები ასე გამოიყურება:

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსის შედეგები: სულ დაფინანსდა 38 პროექტი, აქედან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 18 პროექტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - 7 პროექტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - 4 პროექტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი - 2 პროექტი, დანარჩენი 7-დან თითო-თითო აიღო სხვა დაწესებულებებმა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსის შედეგები: სულ დაფინანსდა 94 პროექტი, აქედან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 42 (39-ში წამყვანი, 3-ში თანამონაწილე) პროექტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - 14 პროექტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - 11 პროექტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი - 7 პროექტი, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი - 4 პროექტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 3 პროექტი, ქუთაისის წერეთლის უნივერსიტეტი - 2 პროექტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი - 2 პროექტი, ეროვნული მუზეუმი - 2 პროექტი, დანარჩენი 10-დან თითო-თითო აიღო სხვა დაწესებულებებმა.

უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისთვის სახელმწიფო გრანტების კონკურსში სულ დაფინანსდა 23 პროექტი, აქედან თსუ - 11 პროექტი, ილია - 5 პროექტი, დანარჩენი 7-დან თითო-თითო აიღო სხვა დაწესებულებებმა.

უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრისა და სსიპ – საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ ერთობლივ კონკურსში სულ დაფინანსდა 11 პროექტი, აქედან თსუ - 5 პროექტი, აგრარული 2 პროექტი, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ს/კ ცენტრი 2 პროექტი, ილია და სამედიცინო უნივერსიტეტი 1 პროექტი.

2012 წელს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის - პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის სულ დაფინანსებული 77 პროექტიდან, თსუ-ს ეკუთვნის 30 პროექტი.

„ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო გრანტების” კონკურსში საგრანტო დაფინანსება მიიღო 33 პროექტმა, აქედან თსუ-დან გამარჯვებული გახლავთ 17 პროექტი.

ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲢᲔᲜᲣᲐᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲘᲡ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘ

პირველი გვერდიდან

კონკრეტულად რას ითვალისწინებს განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიის მიერ შემუშავებული კონცეფცია? მის კომუნიკეში ნათქვამია: „კონცეფციის თანახმად, უნივერსიტეტის თვითმმართველ ბირთვს წარმოადგენს მუდმივი პოზიციის (თანამდებობის) მქონე პროფესორთა კონტინგენტი, ანუ ეგრეთ წოდებული ტენურირებული პროფესორები (tenured faculty) და ასევე ის პროფესორები, რომლებიც ტენურის სტატუსის მიღების კანდიდატები არიან, ანუ ეგრეთ წოდებული ტენურის გზაზე (tenure-track) მყოფი პროფესორები. ტენურირებული და ტენურის გზაზე მყოფი პროფესორები შეადგენენ აკადემიური პერსონალის მხოლოდ ერთ (ყველაზე წარჩინებულ) ნაწილს, მაგრამ ისინი ქმნიან მთელი აკადემიური სისტემის სტაბილურობისა და ეფექტურობის გარანტიას“.

ჟურნალ „ლიბერალში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ტენურის სისტემა: შესაძლო საფრთხეები საქართველოს კონტექსტში“ (ავტორი შალვა ტაბატაძე), გაანალიზებულია ის საფრთხეები, რაც შესაძლოა საქართველოში ამ სისტემის დანერგვას მოყვეს. კერძოდ, ნათქვამია, რომ „ტენურის სისტემა საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის გამოცდილებასაც ეფუძნებიან კონცეფციის ავტორები. აღსანიშნავია, რომ ტენურის სისტემა მართლაც რომ მიჩნეულია აკადემიური თავისუფლების გარანტიის უმთავრეს სტრატეგიად. მიუხედავად ამისა, თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში ტენურის სისტემას უამრავი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მოწინააღმდეგეთა არგუმენტები ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართება: (ა) ტენურის სისტემა არის საკმაოდ ძვირად ღირებული სისტემა და უმაღლეს სასწავლებლებს არ გააჩნიათ იმის ფუფუნება, რომ ტენურის სისტემის პირობებში ეფექტურად იფუნქციონირონ; (ბ) ტენურამიღებული პროფესორების პროდუქტიულობა, როგორც წესი, კლებულობს და ხდება ამ პროფესორების „გაზარმაცება“, განსაკუთრებით — სწავლების მიმართულებით, რაც ნეგატიურად აისახება უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარებაზე. ოპონენტთა აზრით, „ტენურირებული პროფესორები“ არაპროდუქტიულები აღმოჩნდნენ და ხშირად ხელს უშლიან ახალგაზრდა კადრების მეცნიერებაში მოსვლას. ეს საკითხი ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1994 წლის შემდეგ, როცა სავალდებულო პენსიაზე გასვლის მოთხოვნა გაუქმდა“.

რას ფიქრობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით? რამდენად რეალურია ის საფრთხეები, რაზეც სისტემის დამკვიდრების მოწინააღმდეგეები დისკუსიისას ხშირად მიუთითებენ? არის თუ არა საქართველოს განათლების სისტემა და კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მზად სახელმწიფო კომისიის რეკომენდაციათა გათვალისწინებისთვის? ამ საკითხებზე ვესაუბრეთ თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს თამარ ვეფხვაძეს*:*

— ქალბატონო თამარ, თქვენი აზრით, რამდენად არის ქართული აკადემიური საზოგადოება მზად ამ სისტემაზე გადასვლისთვის?

— ეს საკითხი დღეს აკადემიურ წრეებში აქტიურად განიხილება. ზოგადად სახელმწიფო პოლიტიკა და სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა ორიენტირებულია იმაზე, რომ განათლების სისტემა მუდმივად სრულყოს. მაგალითად, უმაღლესი განათლების შესახებ კანონში მას შემდეგ, რაც ის მიიღეს, რამდენიმე სერიოზული ცვლილება შევიდა, რადგანაც არსებული სიტუაციის შეფასებამ და კონკრეტულმა მოცემულობამ ცვლილებების შეტანის აუცილებლობა გამოიწვია. განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი, რომელიც ე. წ. ტენურის ინსტიტუტის შემოღებას ეხება, ასევე განათლების სისტემის სრულყოფასა და განვითარებაზეა ორიენტირებული.

ტენურის კონცეფცია, იმის მიუხედავად, რომ არაჩვეულებრივი მეცნიერების მიერ არის შექმნილი და კარგად არის გააზრებული, მაინც პროექტია და ამ სისტემის დანერგვისთვის საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა შევიდეს.

ტენურის ინსტიტუტი ნიშნავს მუდმივ კონტრაქტზე მყოფი პროფესორების არსებობას უნივერსიტეტებში. ეს, თავისთავად ძალიან კარგია, რადგან ჩვენს პროფესორებს სტაბილურობის განცდა გაუჩნდებათ, მაგრამ ყველა პროფესორი ტენურირებული ვერ იქნება. ამიტომ ჩნდება საშიშროება, რომ გაიზრდება განაწყენებულ პროფესორთა რიცხვი. გარდა ამისა, ამ წოდების მისანიჭებლად წინასწარ უნდა შემუშავდეს კრიტერიუმები, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ტენურის გზაზე მყოფმა პროფესორმა. რაკიღა კრიტერიუმი გაჩნდება, გაჩნდება ინდიკატორებიც, რომლის მიხედვითაც შეფასდება კონკურსანტის მონაცემები. საბოლოო ჯამში, საჭირო იქნება რამდენიმე სათათბირო ორგანოს შექმნა, ტენურირებულის წოდების მინიჭების პროცესში ფაკულტეტის საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და სენატის ჩართვა. ამას ყველაფერს სჭირდება საკმაოდ გამართული ფინანსური უზრუნველყოფა, რადგანაც მუდმივი კონტრაქტი სერიოზულ ბიუჯეტს მოითხოვს და დღეისათვის ბევრ უნივერსიტეტს ამის საშუალება არ აქვს.

— მხოლოდ ბიუჯეტია დამაბრკოლებელი ფაქტორი?

— არა, მხოლოდ ბიუჯეტი არ არის. მთავარი აქ არის ეთიკური მხარე – სელექციის პრინციპის განსაზღვრა — ვინ ვის აფასებს. ეს არის მნიშვნელოვანი. ვინ მაფასებს და ვინ მაძლევს ვიზას, ვიყო თუ არა ამ სტატუსის მაძიებელი. ჩვენ ეს რეალობა დავინახეთ 2005 წლიდან მოყოლებული დღემდე აკადემიური თანამდებობების კონკურსების ანალიზისას. როგრია რეალობა? ყოველთვის არსებობს საჩივარი „ბორტს მიღმა“ დარჩენილი ადამიანის მხრიდან კომისიის წევრებზე და უშუალოდ იმ სუბიექტებზე, ვინც ამ პროცესში იყო ჩართული. არჩევანის უფლების მინიჭება ძალიან საპასუხისმგებლოა.

რისკი არის ორი: სელექცია და ბიუჯეტი. მე იმას არ ვამბობ, რომ ამ ინსტიტუტის დანერგვა შეუძლებელია, უბრალოდ, კარგად არის გასაზომი ეს ყველაფერი და ისეა კანონში შესატანი ცვლილებები, რადგან, ძალიან ახლო მომავალში არ დასჭირდეს საკანონმდებლო ორგანოს დამატებით ცვლილებებზე მუშაობა.

აქ არის ერთგვარი ეთიკის ფაქტორიც — როგორ შეხვდება ამას თავად პროფესორი, რამდენად ვიქნებით დაზღვეული ისეთივე მწვავე გამოხმაურებებისგან, რაც, მაგალითად, აკადემიური კონკურსის სისტემის შემოღებამ გამოიწვია სულ რამდენიმე წლის წინ.

კონცეფცია თავისთავად იდეალურია. დასავლეთის არაერთი უნივერსიტეტი იცნობს ამ ტიპის გამოცდილებას და ის მართლაც უზრუნველყოფს აკადემიური სტაბილურობის განცდას, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი საშიშროება — შესაძლოა ტენურირებულის სტატუსის მოპოვების შემდეგ ვინმესთვის გაჩნდეს თვითტკბობის შეგრძნება და აღარ იზრუნოს თვითგანვითარებაზე, დარგის განვითარებაზე, უნივერსიტეტის განვითარებაზე და ახალი კადრების აღზრდაზე. შესაბამისად, კანონში შესატანი იქნება მუხლი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ამ სტატუსის როგორც მინიჭება, ასევე ჩამორთმევაც. მე დღეს ვერ ვხვდები, ეს როგორ უნდა გაკეთდეს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ვფიქრობ, რომ უნდა არსებობდეს ყოველწლიური შეფასების სისტემა, რომლითაც დადგინდება ტენიურებული პროფესორის სამეცნიერო აქტივობა. ჩემი აზრით, კანონში ეს უნდა იყოს დროებითი კომპონენტი, მანამ, სანამ ადამიანის ცნობიერებაში ამ სტატუსის მოპოვებასთან ერთად, პასუხისმგებლობაც ჩაერთვება.

— ტენურირებული პროფესორი ყველა ვერ გახდება. ჩავთვალოთ, რომ ეს წოდება უნივერსიტეტში მაქსიმუმ 50 კაცს მიენიჭოს. დანარჩენი პროფესორ-მასწავლებლებს რა ბედი ეწევათ?

— დანარჩენი აბსოლუტურად ჩვეულებრივ საკონკურსო რეჟიმში რჩება, რადგან ამ კონცეფციაში ყოველგვარი ცვლილება მხოლოდ ტენურირებულ პერსონებს ეხება.

ჩვენ დღეს გვაქვს ამ ინსტიტუტის ერთგვარი ანალოგი ემერიტუსის ინსტიტუტის სახით. ემერიტუსის ინსტიტუტი ნიშნავს, რომ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან პერსონებს უნივერსიტეტი არ ელევა და კანონით გაწერილი ნორმატივების და კრიტერიუმების ამოწურვის შემდეგ, როცა მას უკვე აღარ აქვს აკადემიური კონკურსში მონაწილეობის უფლება, ანიჭებს ემერიტუსის სტატუსს და უხდის ამ სტატუსით გათვალისწინებულ ანაზღაურებას. ამით უნივერსიტეტებს აქვთ მექანიზმი, რომ მათთვის ძვირფასი პროფესორები ემერიტუსის სტატუსით შეინარჩუნონ. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ თვით ისეთ დიდ უნივერსიტეტშიც კი, როგორიც ჩვენია, ძალიან ცოტაა ასეთი პროფესორების რიცხვი და ამას აქვს თავისი ობიექტური მიზეზი – ბიუჯეტის სიმწირე. ეს პრობლემა აუცილებლად დადგება ტენურის ინსტიტუტის შემოღების პირობებშიც.

ჩვენ იმედით ვუყურებთ ახალი მთავრობის ინიციატივებს და მაქვს რწმენა, რომ უნივერსიტეტების ბიუჯეტები გაიზრდება, წინაღმდეგ შემთხვევაში ამ სისტემის შემოღება შეუძლებელი იქნება.

— თქვენ ფიქრობთ, რომ სახელმწიფომ უნდა გაუზარდოს უნივერსიტეტს დაფინანსება?

— დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების ფინანსების ლომის წილი მაინც სახელმწიფო სუბსიდიაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მისთვის მნიშვნელოვანი ფუნდამენტური, საუნივერსიტეტო კლასიკური დარგების განვითარებაზე, რაც ისე პრიორიტეტული არ არის სოციუმისთვის. კარგად ვიცით ე. წ. პრესტიჟული სპეციალობების ჩამონათვალი: იურისტი, დანტისტი, ბიზნეს-ადმინისტრირება და ა.შ. რა ქნას ჰუმანიტარიამ? რა ქნას ზუსტმა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა, რომელთა გამოყენებითობა ნაკლებია ზემოთ ჩამოთვლილ სპეციალობებთან შედარებით? ფუნდამენტური და კლასიკური მეცნიერებების განვითარება სახელმწიფოს დახმარების გარეშე ძალიან გაძნელდება, აქ მხოლოდ სტუდენტის შემოტანილი გრანტით ვერ გავალთ ფონს. შესაბამისად, სახელმწიფო უნდა იყოს მზად, რომ ბიუჯეტი გაეზარდოს უნივერსიტეტებს. ასეთ შემთხვევაში ტენურის ინსტიტუტიც წარმატებით იფუნქციონირებს

თამარ ვეფხვაძე

— შევაჯამოთ ჩვენი საუბარი – რა შეიძლება ითქვას — ზოგადად რამდენადაა ეს სისტემა ქართულ რეალობას მორგებული?

— ბატონი გია დვალიც, ბატონი ზაალ კოკაიაც და კომისიის სხვა წევრებიც ფანტასტიური მეცნიერები არიან, თუმცაღა ისინი რაღაცა პერიოდით მაინც მოწყდნენ ქართულ აკადემიურ სოციუმს და, რასაკვირველია, იმ გადმოსახედიდან ბევრად უფრო მარტივად შეიძლება მოეჩვენოთ ამ სისტემის დანერგვა. ამიტომ, ვფიქრობ, აკადემიური წრეების ჩართულობა კიდევ უფრო აქტიური უნდა იყოს. მესმის, რომ მოთხოვნილება გაიზრდება პროფესორთა მიმართ, მაგრამ კრიტერიუმები ზედმიწევნით უნდა იქნას შემუშავებული, რომ ვიღაც არ დაიჩაგროს. განა რამდენი მეცნიერი გვყავს ბატონი ივანე ჯავახიშვილის საპირწონე? უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველას თავისი ხვედრითი წონა აქვს და ეს ხვედრითი წონა ზოგჯერ კვლევაში უფრო საცნაურდება, ზოგჯერ — სწავლებაში. ესეც ძალიან სერიოზული ფიქრის და განსჯის საგანი უნდა გახდეს.

კარგია, რომ განათლების და მეცნიერების სამინისტრო ყველანაირი საშუალებით სწავლობს საზოგადოებრივ აზრს. ვხედავთ, რომ თავად ბატონი გია დვალიც ცდილობს საზოგადოებრივი აზრის შესწავლას, ანუ, ძალიან აქტიურ ფაზაში შედის ამ კონცეფციის განხილვა და ვნახოთ. მე, ყოველ შემთხვევაში ძალიან მეიმედება.

ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲐᲢᲘᲕᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ

12 მარტს თსუ-ის სააქტო დარბაზის ფოიეში კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო ლიტერატურათმცოდნეობითი პრემიების 2012 წლის ნომინანტთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართულმა ასოციაციამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს უნივერსიტეტებში, სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტებსა და სხვა დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერებს ლიტერატურისმცოდნეობის სფეროში თვალსაჩინო ნაშრომისთვის და ამავე დარგში შესრულებული საუკეთესო სამეცნიერო თარგმანისთვის პრემიები მიანიჭა.

„გრიგოლ კიკნაძის სახელობის პრემია“ ორ ნომინაციაში სამეცნიერო მონოგრაფიისა და სამეცნიერო სტატიისთვის მაია ჯალიაშვილს მიენიჭა საუკეთესო სამეცნიერო სტატიისათვის: „არტისტული თამაშის ვარიაციები ქართული მოდერნისტული რომანების მიხედვით“, ხოლო ლიტერატურის ინსტიტუტის ხელმძღვანელს ირმა რატიანს საუკეთესო სამეცნიერო მონოგრაფიისათვის — „ტექსტი და ქრონოტოპი“.

გივი გაჩეჩილაძის სახელობის პრემია დაიმსახურეს სამეცნიერო თარგმანში ქართულიდან უცხო ენაზე და სამეცნიერო თარგმანი უცხო ენიდან ქართულ ენაზე ლევან ბრეგაძემ (რომან ინგარდენი - „კონკრეტიზაცია და რეკონსტრუქცია. ძირითადი დებულებები ლიტერატურული ქმნილებისათვის დამახასიათებელი აგებულების

თაობაზე“) და ირინა მოდებაძემ და იორდან ლუცკანოვმა, შუალედურ რუსულ ენაზე და რუსულიდან ბულგარულად შესრულებული თარგმანისათვის: (Ирма Ратиани. В кривото огледало на тоталитаризма: човекът и времето в романа на Михаил Джавахишвили „Ратаите на Джако” „Литературна Мисъл“).

სპეციალური პრემია კონკურსგარეშე ლიტერატურისმცოდნეობითი თარგმანის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ბაჩანა ბრეგვაძემ გადაეცა.

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია 2008 წელს ჩამოყალიბდა, რომელიც ერთერთი საკომუნიკაციო გზა არის უცხოელ მეცნიერებსა და დასავლურ სამყაროსთან.

აღნიშნული პრემიით დაჯილდოება 2010 წელს გაიმართა პირველად და იგი ორ წელიწადში ერთხელ გაიცემა.

როგორც ასოციაციის ხელმძღვანელმა გაგა ლომიძემ აღნიშნა, კონკურსში მონაწილეობა 100–მდე ადამიანმა მიიღო, აქედან 15 შეირჩა, მათგან გამარჯვებულად კი 4 დასახელდა. ღონისძიება გამომცემლობა „სიესტას“ და ტელეკომპანია „ერთსულოვნების“ საინფორმაციო მხარდაჭერით განხორციელდა.

ქართული პარლამენტარიზმის დღე

1919 წლის 12 მარტს, საქართველოში პირველად, დამფუძნებელი კრების არჩევნები გაიმართა. არჩევნებში 15 პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა. პარტიულ სიებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, მათ შორის ივანე ჯავახიშვილი და შალვა ნუცუბიძეც იყვნენ წარმოდგენილები. ერთერთი საარჩევნო უბანი კი თსუ-ის პირველ კორპუსში იყო გახსნილი. დღეს დამფუძნებელი კრების ჩატარების თარიღს ქართული პარლამენტარიზმის განვითარების დასაწყისად მიიჩნევენ.

ნატო ოგოლაძე

ქართული პოლიტოლოგიის ისტორიაში ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად თსუ-ში 12 მარტს საჯარო განხილვა მოეწყო. ღონისძიება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტოლოგიის მიმართულების სტუდენტებისა და პროფესორების მალხაზ მაცაბერიძისა და ოთარ ჯანელიძის ორგანიზებით გაიმართა, სადაც სტუდენტებმა არჩევნებში მონაწილე პარტიების საარჩევნო პროგრამების შესახებ პრეზენტაციები წარმოადგინეს. საარჩევნო პროცესების მიმდინარეობის თაობაზე კი მალხაზ მაცაბერიძისა და ოთარ ჯანელიძის მოხსენებები მოისმინეს.

„1919 წლის 12 მარტს გაიხსნა საქართველოს დამფუძნებელი კრება, ანუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არჩევითი ორგანო, რომელმაც საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია შეიმუშავა. როდესაც ამ საკითხებზე სტუდენტებთან ვსაუბრობდით, მათ გაუჩნდათ იდეა, რომ ეს თარიღი აღგვენიშნა და იმ პერიოდის შესახებ მოგვეწყო არამარტო განსჯა, არამედ იმ დროინდელი არჩევნების მოდელირებაც. იდეა საინტერესო იყო და გადავწყვიტეთ განგვეხორციელებინა. მნიშვნელოვანია, სტუდენტებმა იმსჯელონ 1919 წლის არჩევნებში მონაწილე პარტიებზე, მათ სლოგანებზე, განცხადებებზე... უკვე 94 წელი გავიდა და ბუნებრივია, რომ ბევრი რამ სხვაგვარად ჩანს. ვფიქრობ, ასეთი სახის ღონისძიებების გამართვა და ქართული პარლამენტარიზმის ტრადიციების გააზრება აუცილებლად ხელს შეუწყობს პოლიტიკური კულტურის ამაღლებას საქართველოში“, — განაცხადა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ.

1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების პრეზენტაციების დაწყებამდე პრეზენტატორებმა დამსწრეებს ე.წ. საარჩევნო ბიულეტენები დაურიგეს. „ამომრჩევლებს“ პრეზენტაციების მოსმენის შემდეგ სასურველი პარტია უნდა შემოეხაზათ.

ღონისძიებაზე სულ 7 პოლიტიკური პარტიის საარჩევნო პროგრამა იყო წარმოდგენილი: ირაკლი ირემაძემ სოციალ-დემოკრატიული პარტიის შესახებ ისაუბრა, ლევან ლორთქიფანიძემ - სოციალისტ-ფედერალისტა პარტიის შესახებ, სოფო შუბითიძემ – სოციალისტ-რევოლუციურ პარტიაზე, ანა იჩქიტიძემ – ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაზე, ტარიელ ბეინაშვილმა – ნაციონალისტურ პარტიაზე, თიკო ნადირაშვილმა – რადიკალ-დემოკრატიულ პარტიაზე, თამუნა ნიკოლეიშვილმა კი — მიწის მესაკუთრეთა ნაციონალური პარტიის შესახებ. 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილე პარტიების პროგრამული დებულებების მოძიებისას სტუდენტებმა დაამუშავეს ისეთი საკითხები, რომლებიც სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, სტუდენტების ცოდნის გაღრმავება მსგავსი ღონისძიებების ჩატარების ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი გახლავთ.

„ზოგადად, ჩვენი, პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულების სტუდენტები, ამ მხრივ ვიჩენთ ინიციატივას და მსგავს ღონისძიებებს ვატარებთ. ახლა ვიმსჯელეთ 1919 წლის არჩევნების წინასაარჩევნო პროცესების შესახებ — როგორ მიმდინარეობდა, რა პროგრამებით წარსდგნენ ისინი ამომრჩევლების წინაშე და ასე შემდეგ... ჩვენ მოვიპოვეთ მათი პროგრამები, არ არსებობდა პლაკატები, თუმცა მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, აღვადგინეთ. ვფიქრობ, ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა“, — გვითხრა იდეის ავტორმა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა ირაკლი ირემაძემ.

ღონისძიების იდეის ავტორები და ორგანიზატორები ჯერჯერობით დაზუსტებით ვერ ამბობენ, თუმცა ფიქრობენ, რომ ქართული პარლამენტარიზმის განვითარების დასაწყისის თარიღი ყოველ წელს უნდა აღინიშნოს. განსაკუთრებით კი იმ ფონზე, როდესაც ქართული პარლამენტარიზმისა და პოლიტიკური პარტიების ისტორიაში მეცნიერებისთვის ჯერ კიდევ ბევრი რამ შეუსწავლელი რჩება.

საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო რესპუბლიკა?

სტუდენტები სახელმწიფო მოწყობის შესახებ

საპარლამენტო რესპუბლიკა თუ საპრეზიდენტო მმართველობა — ქართულ პოლიტიკურ წრეებში დისკუსია გრძელდება.

„თავისუფალი დემოკრატები“ მომხრენი არიან, ქვეყანა იყოს საპრეზიდენტო რესპუბლიკა, ძლიერი საპარლამენტო ზედამხედველობით, „რესპუბლიკელები“ კი საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელს ემხრობიან.

ექსპერტებისა და კონსტიტუციონალისტების მოსაზრება ორად იყოფა. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ იმ ვითარებაში, როდესაც ქვეყნის მოწყობის მოდელთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, შემუშავებული საკონსტიტუციო ცვლილებების საერთო სახალხო განხილვას აზრი ეკარგება, ნაწილს კი მიაჩნია, რომ ეს ერთმანეთს ხელს არ უშლის.

აღნიშნული საკითხი საზოგადოებაშიც განსჯის საგნად იქცა. თბილისში დაწყებულია დისკუსიები იმის თაობაზე, თუ რა გზით აირჩევა საქართველოს მომავალი პრეზიდენტი, არჩევნების გზით თუ მას პარლამენტი დაამტკიცებს. საზოგადოებაში არა მხოლოდ პრეზიდენტის არჩევის საკითხი განიხილება, არამედ მიმდინარეობს მსჯელობა, მმართველობის როგორ მოდელს აირჩევს ქვეყანა, საპრეზიდენტო მმართველობას თუ საპარლამენტო რესპუბლიკას?

საპრეზიდენტო რესპუბლიკა წარმოადგენს პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტის, როგორც საკანონმდებლო ორგანოს და მთავრობის, როგორც აღმასრულებელი ორგანოს, განსაზღვრულ თანაფარდობას, როდესაც პრეზიდენტის ხელში თავმოყრილია სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მეთაურის უფლებამოსილება. სახელმწიფო მმართველობის მექანიზმში პრეზიდენტს წამყვანი ადგილი უჭირავს. მთავრობა, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, არ არსებობს. მინისტრები ქმნიან პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს. ქვეყანას არ ჰყავს პრემიერ-მინისტრი, მაგრამ შეიძლება ჰქონდეს ვიცე-პრეზიდენტის პოსტი. საპრეზიდენტო რესპუბლიკის მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები. საპრეზიდენტო რესპუბლიკა იყო საქართველო 1995-2004 წლებში.

საპარლამენტო რესპუბლიკის დროს პრეზიდენტი სიმბოლური მმართველია, საკმაოდ შეზღუდული უფლებებით. ძირითადი უფლებები არის მთავრობის მეთაურის ხელში, რომელიც, როგორც წესი, წარმოადგენს პარლამენტში გამარჯვებული პარტიის ლიდერს, ან იქმნება კოალიციური მთავრობა, იმ შემთხვევაში თუ არჩევნების შედეგად ვერცერთმა პარტიამ ვერ მოიპოვა საპარლამენტო უმრავლესობა. ამ ტიპის რესპუბლიკებია ევროპის ბევრი სახელმწიფო, მათ შორის, გერმანია და იტალია.

ჩვენ შეგვიძლია უსასრულოდ ვიკამათოთ ამ ორი მოდელის თაობაზე. მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი, დაუსრულებლად წარმოვადგინოთ მეცნიერთა შეხედულებები, მაგრამ საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ საკითხზე ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდები, სტუდენტები, მომავალი პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები, რომლებმაც ხვალინდელი საქართველო უნდა აშენონ. მნიშვნელოვანია, თუ რა არჩევანს გააკეთებენ ისინი მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებში, აცნობიერებენ თუ არა თავიანთ პასუხისმგებლობას.

თამარ დადიანი

გიორგი ჩიფჩიური,
თსუ-ის იურიდიული
ფაკულტეტის სტუდენტი:

სახელმწიფოს მმართველობის ფორმა, ეს ის საკითხია, რომელიც არათუ იურისტებს, არამედ ქვეყანაში მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანს უნდა აინტერესებდეს. გვინდა თუ არ გვინდა, სახელმწიფოს მართვასთან დაკავშირებულია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტები. სახელმწიფო ქმნის ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიებს, მისი გადაწყვეტილებები გავლენას ახდენენ თითოეული ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ა.შ.

მმართველობის საპარლამენტო მოდელი უფრო დემოკრატიულად არის მიჩნეული, ვიდრე საპრეზიდენტო სისტემა, თუმცა ამ შემთხვევაში მხოლოდ ზოგადი შეფასება არაფრის მომცემი იქნება, თუ არ დავაკვირდებით თითოეული მოდელის პირობებში ხელისუფლების გადანაწილების კონფიგურაციას, რამაც შესაძლებელია აბსოლუტურად განსხვავებულ შეფასებამდე მიგვიყვანოს. საპრეზიდენტო სისტემა კი, როგორც ერთპიროვნულ მმართველობასთან გაიგივებული ინსტიტუტი, გამოირჩევა ეფექტურობითა და დროის ეკონომიურობით, რაზეც 90-იანი წლების დასაწყისში ამახვილებდნენ ყურადღებას ისეთი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ თევდორე ნინიძე და ლევან ალექსიძე.

შესაძლებელია 90-ანი წლების საქართველოს მართლაც, სჭირდებოდა ერთპიროვნული მმართველობა, მაგრამ, ჩემი აზრით, არ ღირს დემოკრატიულ ღირებულებებზე უარის თქმა. აქედან გამომდინარე, ეფექტურობასა და დემოკრატიულობას შორის არჩევანს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გავაკეთებ.

მე ქვეყნის მმართველობის საპარლამენტო მოდელის მომხრე ვარ და მიმაჩნია, რომ, რაც უფრო ადრე დამკვიდრდება ის თითოეულ ქვეყანაში, მით უფრო კარგი იქნება ამ ქვეყნის საზოგადოების პოლიტიკური (და არა მხოლოდ) კულტურის ჩამოყალიბებისთვის.

რაც შეეხება საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ 2009-2010 წლების რეფორმის შედეგად მიღებული მუხლების უმეტესობა ჯერ ძალაში არ შესულა, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანაში უკვე საპარლამენტო მმართველობის სისტემა მოქმედებს. როგორც კონსტიტუციონალისტი, ვიმედოვნებ, რომ საქართველოს პარლამენტის მხრიდან ათვისებული იქნება ყველა ის სიკეთე, რაც საპარლამენტო მმართველობას ახლავს თან.

ლაშა ჩალაძე,
თსუ-ის იურიდიული
ფაკულტეტის სტუდენტი:

სახელმწიფო მმართველობის მოდელთან დაკავშირებით, თუ უახლოეს 20 წლიან პრაქტიკულ გამოცდილებას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ამ პერიოდში მმართველობის რამდენიმე მოდელი მოვსინჯეთ. პირველ ეტაპზე, 1995-2004 წლებში, ჩვენ საპრეზიდენტო რესპუბლიკას წარმოვადგენდით, მაგრამ, ამერიკული საპრეზიდენტო მოდელისაგან განსხვავებით, იყო გარკვეული თავისებურებებიც.

2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, 2013 წლის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, ჩვენი სახელმწიფო სრულიად ახალ საპარლამენტო მოდელზე გადავა, თუმცა, მიმაჩნია, რომ ფრაგმენტული საკონსტიტუციო ცვლილებებით, საპარლამენტო რესპუბლიკის ცალკეული სტანდარტის ამოქმედების შემთხვევაში, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი სერიოზული საფრთხის ქვეშ ექცევა და ამ ეტაპზე, ქართული რეალობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, საპარლამენტო მოდელთან მორგება გაგვიჭირდება.

პირადად, უპირატესობას მმართველობის შერეულ (დუალისტურ) მოდელს ვანიჭებ, სადაც ხელისუფლების შტოები ერთმანეთისგან გამიჯნულია და პრეზიდენტი ერთგვარი არბიტრის ფუნქციას ასრულებს. დუალისტური მმართველობის დიდი პლუსი სწორედ ძალაუფლების დანაწილებაშია და მიმაჩნია, რომ თუ ამ მოდელს ქართულ რეალობას სწორი ფორმით მოვარგებთ, ის საკმაოდ წარმატებულად იმუშავებს.

მე-11 გვერდზე

გერბიდან ნუ დავიწყებთ ცვლილებებს!

ალბათ არ არსებობს უნივერსიტეტელი, რომლისთვისაც უნივერსიტეტის გერბი – მრგვალი, საოცარი მოხაზულობის და შინაარსობრივი დატვირთვის სიმბოლიკა განათლებასთან და მშობლიურ სასწავლებელთან არ ასოცირდება. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში უნივერსიტეტის რეფორმირების აუცილებლობაზე ხშირად მიუთითებენ, არასოდეს დამდგარა მისი სიმბოლიკის შეცვლის საკითხი, რადგან ის აღიქმებოდა, როგორც პირველი ქართული უნივერსიტეტის და ზოგადად, განათლების სიმბოლო. ბოლო დროს კი აქა-იქ გაისმა მოსაზრება, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბი მოძველდა და შეცვლას საჭიროებს.

მაია ტორაძე

ვიდრე ამ საკითხზე კომპეტენტური პირის მოსაზრებას გაგაცნობდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ამ სიმბოლოს შექმნის ისტორია და აღვწეროთ მისი შინაარსობრივი მხარე.

„ემბლემა, მემკვიდრეობითი განმასხვავებელი ნიშანი, საგანგებოდ განლაგებული ფიგურები და საგნები, რომელთაც სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებათ და მფლობელის ისტორიულ ტრადიციებს გამოხატავენ“, — ასე განმარტავენ გერბის დანიშნულებას მეცნიერები.

თუ დავაკვირდებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბს — იგი ზედმიწევნით აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რაც გერბის განმარტებაშია მოცემული: ის ნამდვილად არის განსხვავებული ყველა სხვა გერბისგან, რაც კი საქართველოში გვინახავს, მასზე სწორედაც რომ საგანგებოდაა განლაგებული ფიგურები და საგნები, რომლებსაც სიმბოლური დატვირთვა აქვს და ბოლოს, ამ გერბს აქვს ისტორია, რომელიც თითოეული უნივერსიტეტელისთვის ისევე ძვირფასია, როგორც იმ ადამიანთა სახელები, ვინც საძირკველი ჩაუყარა საუნივერსიტეტო განათლებას საქართველოში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბის, როგორც სიმბოლიკის, ისტორიაზე, დაწვრილებითაა მოთხრობილი გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 2005 წლის 10 თებერვლის ნომერში. წერილს „უნივერსიტეტის სიმბოლიკის დაკანონებისათვის“, ხელს აწერს თსუ-ის მუზეუმის თანამშრომელი, დღეს უკვე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი, რომელმაც სადოქტორო დისერტაცია საქართველოში ჰერალდიკის განვითარების მსოფლმხედველობრივ საფუძვლებზე დაიცვა.

წერილში ნათქვამია: „1918 წლის 5 თებერვალს ახლად დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომამ, რომელსაც პეტრე მელიქიშვილი (სხდომის თავმჯდომარე), ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, იუსტინე აბულაძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი და იოსებ ყიფშიძე (სხდომის მდივანი) ესწრებოდნენ, მხატვარ დიმიტრი შევარდნაძის მიერ შექმნილი უნივერსიტეტის ბეჭდის სამი ნიმუშიდან ერთერთი დაამტკიცა“. აქვე მითითებულია, რომ სწორედ ამ ბეჭდის საფუძველზე შეიქმნა მოგვიანებით უნივერსიტეტის გერბი.

თსუ-ის გერბი წარმოადგენს ინგლისურ მრგვალ ფარს, რომელზეც უცვლელადაა გადმოტანილი ბეჭედზე დატანილი სიმბოლიკა — ირემი, რომელიც ძუძუს აწოვებს ნუკრს.

თსუ-ის ვებ-გვერდზე გერბის შესახებ მითითებულია, რომ მის „კომპოზიციას საფუძვლად უდევს ანტიკური ეპოქის ბრინჯაოს ჭვირული ბალთების მთავარი დეტალი. ბალთებზე გამოსახული ყველა ფიგურა ნაყოფიერების ქალღვთაების უძველესი ზოომორფული სახეა.

უნივერსიტეტის გერბის ცენტრალური ფიგურა – ირემი – ბრინჯაოს ბალთების მიხედვითაა შექმნილი, კომპოზიციის მეორე ელემენტს კი ნუკრის გრაფიკული სახე აქვს მიცემული. ამით ნაწარმოების იდეას ზუსტი ფორმა აქვს მოძებნილი: უფროსის მიერ უმცროსისათვის ცოდნის, სიბრძნის გადაცემის აქტს მინიჭებული აქვს მარტივი, პოეტური და, ამავე დროს, ზოგად პლანში მოაზრებული თაობათა ერთობის სიმბოლური სახე.

ფარის 25 სპირალისებრი ორნამენტისგან შექმნილ მოჩარჩოებას გარს ერტყმის 24 ფიგურისაგან შემდგარი ჩარჩო. ფიგურები რეალისტურ თუ ფანტასტიკურ ცხოველებსა და ფრინველებს განასახიერებენ: ლეოპარდი, ლომი, პეგასი, გრიფონი, დრაკონი, პეგასი, ლომი, ფარშევანგი, პეგასი, ლომი, ცხვარი, მარყუჟებად დახვეული გველი, ანტილოპა, ვეფხვი, პეგასი, ლომი, გრიფონი, მარტორქა, გვირგვინიანი გველი, ბუ, შველი, ლომი, ანტილოპა, ლომი.

იშხნის ეკლესიის ჩუქურთმა (დიმიტრი ერმაკოვის ფოტო, ნეგატივი დაცულია შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში)

კუთხოვან-წნულ ჩარჩოში ჩასმული ეს ფიგურები, რომლებიც ფარის ცენტრის ირგვლივ მოძრაობენ, იშხნის მცირე ეკლესიის ხუროთმოძღვრული მორთულობის მიხედვითაა შექმნილი. წარწერის კამარად შემოვლებული თამასა ქართული სკულპტურული ორნამენტის თვალსაჩინო ნიმუშია, მისი გამოყენება თბილისის უნივერსიტეტის გერბში აიხსნება როგორც წმინდა მხატვრული, ასევე აზრობრივი მნიშვნელობით. დიმიტრი შევარდნაძემ იშხნის მცირე ეკლესიის მორთულობის ცხრამეტი ფიგურა ოცდაოთხამდე შეავსო ისე, რომ არ დაურღვევია სტილური მთლიანობა. გერბის ამ წნული მოჩარჩოებით ერთმანეთისგან გამოყოფილი და ამავე დროს გაერთიანებული ეს ნაწილი სამყაროს სიმბოლოა, რომლის შესახებ ცოდნის მისაღებად აუცილებელი პირობაა დედაშვილობასავით (ირმები) ჭეშმარიტი, მყარი ერთობლიობა (უნივერსიტას) მოძღვარსა და მოსწავლეს შორის და უფროსის მიერ უმცროსისათვის სიბრძნის გადაცემა, გამოცდილების გაზიარება“.

ზემოთ აღწერილი ფორმისა და შინაარსის ერთობლიობა თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ თსუ-ის გერბი ზუსტად გამოხატავს უნივერსიტეტის იდეას, ესადაგება უმაღლესი სასწავლებლის დანიშნულებს და სიმბოლურად აგრძელებს იმ ტრადიციას, რომელსაც თითქმის საუკუნის წინ უნივერსიტეტის დამფუძნებლების მიერ ჩაეყარა საფუძველი. მაშ, რას შეიძლება ეფუძნებოდეს მოსაზრება, რომ, გერბი მოძველდა? რა არის მასში მიუღებელი? ან რატომ უნდა იყოს იგი უცვლელი? ამ საკითხებზე კომენტარისთვის მივმართეთ ბატონ **ზურაბ გაიპარაშვილს**, რომელმაც გაიხსენა ის დრო, როცა სტუდენტები უნივერსიტეტის სიმბოლიკის აღდგენისთვის იბრძოდნენ:

— დიმიტრი შევარდნაძისეული გერბის საუნივერსიტეტო სივრცეში ხელახლა დაბრუნება დაკავშირებულია ეროვნულ მოძრაობასთან. ეს, რა თქმა უნდა, პატარა ნიუანსია, მაგრამ ამით მაშინდელმა სტუდენტებმა და დისიდენტებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ მათ სურდათ, უნივერსიტეტი კვლავ ყოფილიყო მემკვიდრე იმ იდეალებისა, რომელიც მისი დაარსებისას საფუძველშივე ჩადეს დიდმა ქართველმა მეცნიერებმა.

სამწუხაროდ, საქართველოში თითზე ჩამოსათვლელნი არიან ისინი, ვინც ჰერალდიკის პრინციპები იცის. ჰერალდიკა არის მეცნიერება, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიამ განდევნა, როგორც ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რადგან ჩათვალეს, რომ გერბი იყო მხოლოდ თავად-აზნაურთა და გაბატონებული კლასის ყოფის ატრიბუტი. ვინც ჰერალდიკაში ერკვევა, მან იცის, რომ გერბი — ეს არის მემკვიდრეობითობის ნიშანი, მეცნიერულ პრინციპებზე შექმნილი ხელოვნების ნიმუში, რომელიც ინახავს გვარის, ოჯახის, ქალაქის, ამა თუ იმ ინსტიტუტის (ინსტიტუციის) ისტორიას. გერბში მცირე ცვლილების შეტანაც კი უხსოვარი დროიდან დაკავშირებული იყო რაღაც ახალ დიდ მოვლენასთან.

საერთოდ, როგორც წესი, გერბის ცვლილებას მხარს არ უჭერდნენ და ინახავდნენ ისეთს, როგორიც შეიქმნა. ჩემი აზრით, უნივერსიტეტის გერბის ცვლილების მსურველთ სადავო აქვთ იმათთან, ვინც საფუძველი ჩაუყარა ამ უნივერსიტეტს (ცნობილია, რომ ამ გერბის იდეა ეკუთვნოდა ივანე ჯავახიშვილს და ის შექმნა ასევე ძალიან დიდმა საზოგადო მოღვაწემ და ხელოვანმა დიმიტრი შევარდნაძემ).

ზოგჯერ მეც გამიგია მოსაზრება, რომ ეს არ არის უნივერსიტეტის გერბი, რადგან ის შეიქმნა, როგორც ბეჭედი. დიახ, პირველად შეიქმნა ბეჭდის ესკიზი, მაგრამ მის საფუძველზე შეიქმნა გერბი. ამის დასტურად შეგიძლიათ ნახოთ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში გამოცემული უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულები „ჩვენი მეცნიერება“, რომლებშიც დაბეჭდილია ხელოვნების ეს ძალიან ლამაზი ნიმუში. მას აქვს მინაწერი: „უნივერსიტეტის ღერბი“.

რა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს უნივერსიტეტის გერბს?

ამაზე საუბარი ძალიან ძნელია, როცა შემონახული არ გვაქვს გერბის ავტორისეული ბლაზონირება (აღწერილობა), ამიტომ სპეციალისტებს გვიწევს ჰერალდიკურ პრინციპებზე დაფუძნებული მოსაზრების გამოთქმა.

უნივერსიტეტის გერბის მთავარი იდეა - ეს არის სამყაროს (როგორც მატერიალური — ხილვადი, ასევე — უხილავი), შესახებ ცოდნის, სიბრძნის გადაცემა უფროსი თაობის მიერ ახალგაზრდებისათვის.

ხომ ყველას გვახსოვს ივანე ჯავახიშვილის, შეიძლება ითქვას, გენიალურად მარტივი სიტყვები, რომელიც ყველამ ვიცით: „სულ სხვაა უნივერსიტეტი“... ეს ის ადგილია, სადაც ერთად შრომობენ ცოდნით, სიბრძნით გაჯერებული უფროსი თაობა და ახალგაზრდობა, ანუ ესაა ერთიანობა — უნივერსიტას, - ეს ერთიანობის ფენომენი, რომელიც მერე ჩვენ საბჭოთა პერიოდში დაგვავიწყეს, თავიდანვე ჩადეს უნივერსიტეტის იდეაში ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამებრძოლებმა. ეს გერბი სწორედ ამ ერთიანობის იდეას გამოხატავს.

ჰერალდიკური პრინციპებიდან გამომდინარე, შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ ეს არ არის კანონიკურად გერბის ფორმა, ეს პროფესიული სფეროა და ამაზე მეცნიერული მსჯელობა და კამათი შეიძლება. თუმცა ამგვარი ფორმის გერბის, თუნდაც საუნივერსიტეტო გერბის, უამრავი მაგალითი არსებობს. მკაცრი ჰერალდიკური ფორმების უქონლობის გამო თავში არავის მოსდის აზრად, რომ შეცვალოს მაგალითად, ვენის, ბრიუსელის, ზაგრების, ჩარლზის, კოპენჰაგენის, ჰუმბოლტის, ფრაიბურგის, ლუნდის, იენისა და სხვა უამრავი უნივერსიტეტის გერბი.

გერბს არ გასდის ყავლი, ის რაც უფრო ძველია, მით უფრო საამაყოა!

თუ ჩვენ ვართ მემკვიდრე 1918 წლის უნივერსიტეტისა, ან თუ გვინდა, რომ ვიყოთ მემკვიდრე უნივერსიტეტის დამფუძნებლების იდეალებისა, მაშინ ყველანაირად უნდა გავუფრთხილდეთ იმას, რისი გაკეთებაც მათ 1918-21 წლებში მოასწრეს. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და მათ შორის ჩვენს უნივერსიტეტშიც, დასანერგია მრავალი ევროპული ნოვაცია, შესაცვლელია ბევრი რამ, მაგრამ არა — გერბი!

ორმაგი ხარისხის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში —წარმატებული პროექტი იენის უნივერსიტეტთან

უკვე ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დაფუძნდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრიდრიჰ შილერის სახელობის იენის (გერმანია) უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში, რომელიც კურსდამთავრებულებს ორმაგ (ქართულ და გერმანულ) ხარისხს ანიჭებს. სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: „საერთაშორისო საწარმოთა მართვა". პირველ სასწავლო წელს პროგრამაზე მხოლოდ 10 სტუდენტი ჩაირიცხა, მეორეზე კი – 21, რაც უთუოდ დადებით ტენდენციაზე მიუთითებს.

ორწლიანი ერთობლივი მუშაობის შეჯამების მიზნით, იენაში იმყოფებოდა უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე, რომელთაც შეხვედრები გამართეს იენის უნივერსიტეტის რექტორთან, კლაუს დიკესთან და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანთან ანდრეას ფრაიტაგთან. შეხვედრაზე მხარეებმა ხაზი გაუსვეს პროგრამის წარმატებას და მისი გაგრძელების აუცილებლობაზე ისაუბრეს.

გადაწყდა, რომ 2013 წლიდან პროგრამის სასწავლო ენა ქართული და გერმანული იქნება, რაც, სავარაუდოდ, გერმანული ენის მცოდნე ქართველი სტუდენტების დიდ დაინტერესებას გამოიწვევს.

სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა ტრადიციულად 2 წელი (ოთხი სემესტრი) იქნება, რომელთაგან პირველი სასწავლო წელი საქართველოში წარიმართება, ხოლო მეორე სასწავლო წელი — გერმანიაში.

საქართველოში სწავლის პერიოდში სტუდენტები პროგრამით გათვალისწინებული ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი საგნების პარალელურად გაივლიან გერმანული ენის გაძლიერებულ კურსს.

სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ სტუდენტები მიიღებენ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ორმაგ ხარისხს: MBA-ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან და M.Sc in MBA იენის უნივერსიტეტის მხრიდან.

მინიჭებული მაგისტრის ხარისხით კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ მუშაობა დაიწყონ როგორც საქართველოსა და გერმანიის, ისე ევროპის სხვადასხვა საწარმოებში და მსოფლიო მნიშვნელობის საერთაშორისო კორპორაციებში.

დაზუსტდა პროგრამაზე მიღების წინაპირობებიც: 1. ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2. ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდები (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი). 3. გერმანული ენის გამოცდა (ან მინიმუმ A2 დონის შესაბამისი სერტიფიკატი). 4. შიდა შესარჩევი გამოცდა ეკონომიკის პრინციპებსა და ბიზნესის საფუძვლებში.

სწავლების საფასური კვლავინდებურად სემესტრში 1500 ევრო იქნება.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა ფინანსდება გერმანიის აკადემიური ურთიერთგაცვლის სამსახურის DAAD-ის მიერ, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მოიპოვონ, როგორც სტიპენდიები სწავლების დაფინანსებისათვის, ისე სტიპენდიები გერმანიაში მგზავრობის და ცხოვრების ხარჯების დაფინანსებისთვის.

საბუთების მიღების სავარაუდო ვადებია 2013 წლის ივლისი–აგვისტო, ზუსტი თარიღი გამოცხადდება მოგვიანებით.

მისამართი:
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,
0186, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №2,
თსუ მე-10 (მაღლივი) კორპუსი,
მე-4 სართული, ოთახი 416.
ტელეფონი: (+995 32) 2 30 41 49
www.mie.tsu.ge, www.mie.uni-jena.de
საკონტაქტო პირები:
სოფიკო ჯვარშეიშვილი — პროგრამის მენეჯერი, მობილური — 5 77 25 30 98,
e-mail: sofiko.dzhvarsheishvili@tsu.ge
და ლაშა ტაბატაძე — პროგრამის კოორდინატორი, მობილური — 5 99 23 77 99,
e-mail: lasha.tabatadze@tsu.ge

უჩა გოგიშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი

საერთაშორისო ქართულ–გერმანული სტუდენტური სემინარი თემაზე: „საქართველო–ევროკავშირი"

2013 წლის 22 მარტს გაიმართა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და ჰაილბრონის (გერმანია) უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო ქართულ-გერმანული სტუდენტური სემინარი თემაზე: „საქართველო–ევროკავშირი". ამ მიზნით საქართველოში ჩამოვიდა ჰაილბრონის (გერმანია) სტუდენტთა დელეგაცია, პროფესორ ზიგფრიდ კლინგის ხელმძღვანელობით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ჰაილბრუნის უნივერსიტეტს შორის არსებობს პარტნიორული ურთიერთობა, რაც გულისხმობს ქართველი სტუდენტებისა და დოქტორანტების მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში.

ერთობლივი სტუდენტური სემინარი შედგა პროფესორ ზიგფრიდ კლინგის ინიციატივით, რომელიც ჰაილბრონის უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს კულტურის მენეჯმენტის მიმართულებას. მან შეკრიბა 9 სტუდენტი, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ემოგზაურათ საქართველოში და წარმოედგინათ საკუთარი ხედვა საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებზე, საქართველოს ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებზე. სემინარში მონაწილეობდნენ ასევე ქართველი სტუდენტები, რომლებმაც გერმანელ სტუდენტებთან ერთად საინტერესო დისკუსია გამართეს.

გერმანელ სტუმრებს მიესალმა და სემინარის მონაწილეებს სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა აკაკი ხელაძემ.

დაუშრეტელი ენერგიის, უსაზღვრო ოპტიმიზმისა და ფაქიზი სულის ქალბატონი

თვალსაჩინო ქართველ მეცნიერსა და პედაგოგს, მზრუნველ და მოამაგე პიროვნებას, შესანიშნავ კოლეგას – ქალბატონ ელენე ხარაბაძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. სოლიდური წლოვანების ადამიანები, მეტადრე ქალბატონები, ხშირად ერიდებიან საკუთარ ასაკზე საუბარს. ქალბატონი ელენე ამ საკითხშიც ორიგინალურობას იჩენს – არასდროს მალავს წლოვანებას და მისდევს პრინციპს „წლები ჩემი სიმდიდრეა".

პროფესორი ელენე ხარაბაძე დაიბადა 1943 წლის 23 თებერვალს სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლების ოჯახში. 1950–1957 წლებში სწავლობდა დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლაში, 1957 წლიდან დიდი ჯიხაიშის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმში ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობით, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1960 წელს. 1961–1966 წლებში იგი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობით. 1972 წელს, ასპირანტურის სრული კურსის გავლის შემდეგ, ელენე ხარაბაძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1967 წლიდან მუშაობდა თსუ-ის აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრაზე უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის, ასისტენტის, უფროსი მასწავლებლის, დოცენტის თანამდებობებზე. 1992–1997 წლებში ქალბატონი ელენე იყო ამავე კათედრის გამგე. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოხერხდა 1993 წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე ბუღალტრული აღრიცხვის კათედრის აღდგენა, რომელიც გორის ეკონომიკური ინსტიტუტის ჩამოყალიბების გამო წლების მანძილზე თსუ-ში გაუქმებული იყო. 2006 წლიდან დღემდე ქალბატონი ელენე ხარაბაძე სამჯერ აირჩიეს სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

აკადემიურ საქმიანობასთან ერთად პროფესორ ელენე ხარაბაძეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2007–2009 წლებში ეკავა დეკანის მოადგილის, 2009–2012 წლებში კი დეკანის ადმინისტრაციული თანამდებობები.

ქალბატონი ელენე ხარაბაძე დიდ ყურადღებას აქცევს საკუთარი პროფესიული მომზადების განუწყვეტელ სრულყოფას. კერძოდ, მას გავლილი აქვს აკადემიური კურსები: ამერიკის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული ექსპერტთა საერთაშორისო პროგრამით – ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში; აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში; ფინანსურ აღრიცხვასა და მმართველობით აღრიცხვაში – საერთაშორისო სტანდარტებით; ტრენინგის ინსტრუქტორის მომზადების კურსი USAID -ის განათლების განვითარების აკადემიის პროგრამით; შემფასებელთა მომზადების კურსი – USAID-ის განათლების განვითარების აკადემიის პროგრამით; ლონდონკოლეჯის კურსი „მასწავლებელთა მომზადება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში".

წლების მანძილზე ქალბატონო ელენე ხარაბაძე იყო საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა კავშირის პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიისა და სასერტიფიკატო კომისიის წევრი, საქართველოს კონტროლის პალატის მეცნიერი კონსულტანტი. იგი არის აუდიტორული ფირმა „ელკო–აუდიტი"-ს დამფუძნებელი და დირექტორი, უმაღლესი კვალიფიკაციის აუდიტორი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია პროფესორ ელენე ხარაბაძის მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ საგრანტო პროექტებში. კერძოდ: 2001 წელს იგი იყო საქართველოს კონტროლის პალატის მოხელეთა საატესტაციო ტესტების მომზადებისა და მოწვეულ მეცნიერ-კონსულტანტთა კოორდინატორი. პროექტი დაფინანსდა აშშ იუსტიციის დეპარტამენტის მიერ. 2003 წელს სამეცნიერო გრანტით მან შეასრულა აშშ განვითარების საერთაშორისო სააგენტოს პროექტი „კორუფციული გარიგებების ასპექტები საგადასახადო კოდექსში, მისი მოქმედების მექანიზმი საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში, რომელიც გამოქვეყნდა სპეციალური გამოცემის სახით. 2007 წელს იგი ჩართული იყო მსოფლიო ბანკის პროექტში „სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა"; იმავე წელს სს „მადნეულისგან" მოიპოვა გრანტი „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სასწავლო ლაბორატორია პროგრამით Exact globe – 2003", რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრასთან უახლესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი ლაბორატორიის შექმნა და ძვირად ღირებული კომპიუტერული პროგრამის შეძენა.

ელენე ხარაბაძე, აქტიურ პედაგოგიურ და სატრენერო საქმიანობასთან ერთად, ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობასაც. მას გამოქვეყნებული აქვს 75–მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის — ერთი მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო, 11 სალექციო კურსი.

ამავე დროს, ქალბატონი ელენე საოცრად ფაქიზი, პოეტური ბუნების ადამიანია, რისი დასტურიცაა 2008 წელს გამოცემული ლექსების კრებული და რამდენიმე ფერწერული ტილო. იგი არის შესანიშნავი მეუღლე, დედა და ბებია. იშვიათი გემოვნების დიასახლისი, გულღია და ხელგაშლილი მასპინძელი.

გულითადად ვუსურვებ ქალბატონ ელენე ხარაბაძეს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ მშვიდობას, ბედნიერებას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს მშობლიური უნივერსიტეტისა და სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ.

ელგუჯა მექვაბიშვილი,
მიხეილ ჩიკვილაძე,
უჩა გოგიშვილი

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲝᲙᲝᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲖᲐ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილი ქართველი კინორეჟისორის მერაბ კოკოჩაშვილის 78 წლისადმი მიძღვნილი საღამო — „მერაბ კოკოჩაშვილის გზა“ გაიმართა. საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში შედგა კინორეჟისორის ისტორიული 5-სერიანი ფილმის „გზის“ მესამე ნაწილის ჩვენება, რომელიც 1985 წელს სტუდენტებისთვისა და ახალგაზრდებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთით გადაიღეს.

საიუბილეო საღამოზე, რომელიც თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე ხელოვნების მიმართულების პედაგოგის ნინო გელოვანის ხელმძღვანელობითა და სტუდენტების ორგანიზებით გაიმართა, მათ მიერ შექმნილი მერაბ კოკოჩაშვილის ფილმის პრომოვერსიის ჩვენებაც შედგა,

ღონისძიებას უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, რეჟისორები და მსახიობებიც დაესწრნენ, რომლებმაც კიდევ ერთხელ გაიხსენეს მერაბ კოკოჩაშვილის შემოქმედება.

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ



60–იანი წლების ქართული კინემატოგრაფიის კინოკლასიკოსი, საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფესორი მერაბ კოკოჩაშვილი 1935 წლის 21 მარტს დაიბადა. 1961 წელს საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი აქტიურ მოღვაწეობას იწყებს. მისი საკურსო ფილმი „ხმელი წიფელი“ მოსკოვში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალზე სპეციალური პრიზითა და ვერცხლის მედლით და ვენაში საერთაშორისო კინოფესტივალზე ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა. კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გადაღებული აქვს მხატვრული ფილმები: „კარდაკარ“, „არდადეგები“, „მიხა“, „დიდი მწვანე ველი“, „გზა მშვიდობისა, ჯაყო!“ და მრავალი სხვა, რომლებმაც სხვადასხვა საერთაშორისო თუ საკავშირო კინოფესტივალის პრიზებით დაჯილდოვდა.

წლების მანძილზე კოკოჩაშვილი საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანი იყო, 1977–დან კი კომპანია „ქართული ტელეფილმის“ სამხატვრო ხელმძღვანელი. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

„მერაბ კოკოჩაშვილის დღევანდელ საიუბილეო საღამოს შემთხვევით არ ჰქვია „მერაბ კოკოჩაშვილის გზა“, — დღეს საშუალება გვაქვს, ვისაუბროთ მისი ერთერთი გამორჩეული ფილმის და ამასთან, მისი მოღვაწეობის შესახებ, რადგან მერაბ კოკოჩაშვილის ცხოვრება — ეს არის გამორჩეული მოქალაქის, ცნობილი კინორეჟისორისა და პროფესორის გზა, რომელიც ძალიან წარმატებული იყო, არის და იქნება. როგორც უნივერსიტეტის პროფესორთან ექვსწლიანი თანამშრომლობის მანძილზე დავრწმუნდი, მისი ცხოვრების აზრი, თავისი ერთერთი ფილმის გმირის მსგავსად, არის ის, რომ ყველა საქმეში ბოლომდე დაიხარჯოს. ბატონი მერაბი ბოლომდე იხარჯება ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებთანაც, რომელთა ინიციატივითაც შედგა დღევანდელი საღამო“, — განაცხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ.

რეჟისორს იუბილე მიულოცა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მერაბ კოკოჩაშვილი, გარდა იმისა, რომ კარგი ხელოვანია, შესანიშნავი პროფესორია, რომელიც აქტიურად მონაწილეობს მომავალი თაობის აღზრდაში. ალექსანდრე კვიტაშვილმა რეჟისორი უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა.

მერაბ კოკოჩაშვილს იუბილე კოლეგებმაც მიულოცეს. რეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ მათი მრავალწლიანი მეგობრობა გაიხსენა. „მე და მერაბს ერთმანეთთან უამრავი მოგონება გვაკავშირებს. ჩვენ ერთად გადავიტანეთ მრავალი ტკივილი და გაჭირვების მიუხედავად, არასდროს, დაგვიკარგავს ღირსება. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ ერთი თაობა ვართ, ყოველთვის ერთად ვიბრძოდით. მერაბი თავისი არსებობით ამკვიდრებს ყველაზე მარტივ ჭეშმარიტებას — რომ ჩვენი ცხოვრება ეფუძნება არა წარმატებას, არა სახელის მოხვეჭას — არამედ სიკეთეს, თანადგომას და სიყვარულს. მას კიდევ ერთი იშვიათი თვისება აქვს — სიხარული სხვისი სიკეთის გამო. ის არის სადა, უბრალო ადამიანი, რომელსაც ყოველთვის აწუხებდა და აწუხებს თავისი ქვეყნის ბედი“, — აღნიშნა ლანა ღოღობერიძემ.

მეგობართან ერთად გატარებული წლები მსახიობმა კახი კავსაძემაც გაიხსენა. „ჩვენი მრავალწლიანი ურთიერთობა მაძლევს იმის უფლებას, რომ დღეს თამამად შემიძლია გითხრა: პირველ რიგში გილოცავ, რომ ასეთი ღირსეული დარჩი ბოლომდე, არადა, მრავალჯერ იყო იმისი საფრთხე, რომ დაგვეკარგა კაცობა და ადამიანობა, მიუხედავად ამისა, დღეს შენ ისევ ის მერაბი ხარ — მშვიდი, პატიოსანი, წესიერი და მართალი. ასეთი ხალხი იშვიათობაა. შენ შეძელი და უმძიმესი გზა სუფთად გაიარე, ამიტომაც დარჩი ზნეობის მაგალითად და ჩვენი თაობის სახედ“, — მიმართა კახი კავსაძემ.

ბავშვობის მეგობარს იუბილე ელდარ შენგელაიამაც მიულოცა: „ჩვენს საძმოში მერაბი ზნეობის ეტალონად ითვლება. მისგან ტყუილი არავის ახსოვს. ჩვენ ერთად ვსწავლობდით ინსტიტუტში და კინოშიც ერთად მოვედით. მისი ფილმები ქართული კულტურის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება. მაშინ, როდესაც მე და ჩემი კოლეგები პოლიტიკაში წავედით, იგი იმ რთულ პერიოდშიც ქართულ კინოს ემსახურებოდა. მერაბს ამ შესანიშნავ დღეს ვულოცავ და ვფიქრობ, რომ ის დღესაც ბევრს აკეთებს თავის სფეროში, თუნდაც ის რად ღირს, რომ მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება“, — აღნიშნა ელდარ შენგელაიამ.

მერაბ კოკოჩაშვილის მოღვაწეობა შეაფასა პროფესორმა მზექალა შანიძემაც. „წლების განმავლობაში მერაბ კოკოჩაშვილმა ღირსეულად დაიმკვიდრა თავისი ადგილი ქართველ დიდ ხელოვანთა და მოღვაწეთა შორის. მისი შემოქმედება, რომელიც ხალხისთვის იყო განკუთვნილი, ყოველთვის ღირსეული, ქვეყნის სიყვარულით აღსავსე, გულში ჩამწვდომი და ყველა ადამიანისთვის ახლობელი იყო. მერაბი ყოველთვის ღირსეულად და უდრეკად იცავდა ჩვენი ქვეყნის ღირსებას და იგი ახლაც იგივეს აკეთებს თავისი საქმიანობითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით“, — აღნიშნა მზექალა შანიძემ.

მერაბ კოკოჩაშვილის შემოქმედებით, საიუბილეო ღონისძიებაზე რეჟისორის შემოქმედებაზე ისაუბრეს და დაბადების დღე მიულოცეს, თსუ-ის პროფესორმა ინესა მერაბიშვილმა, მარინა კერესელიძემ, დავით მუსხელიშვილმა და სხვებმა.

მერაბ კოკოჩაშვილმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, სტუდენტებს და მეგობრებს გულთბილი შეხვედრისთვის მადლობა გადაუხადა და ღონისძიებაზე წარმოდგენილი ფილმის „გზა“, შესახებაც ისაუბრა. „ეს ფილმი, რომელიც 30 წლის წინ გადავიღეთ, საქართველოს ისტორიას ასახავს. ფილმის გადაღებისას მრავალი წინააღმდეგობის დაძლევა მოგვიხდა, აღსანიშნავია, რომ ქართულმა საზოგადოებამ იგი გამოსვლისთანავე კარგად მიიღო. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ქართველი მეცნიერების კონსულტაციის გარეშე, ფილმს ვერ გადავიღებდით. ამის გამო კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის პროფესურას თანადგომისთვის“, — აღნიშნა მერაბ კოკოჩაშვილმა.

საიუბილეო საღამოზე აღინიშნა, რომ ფილმი „გზა“ ახალგაზრდებისთვის სწორი გზის მაჩვენებელია და ის მომავალი თაობისთვის კარგი მასწავლებელი იქნება. ღონისძიება სწორედ ამ ფილმის ჩვენებით დასრულდა.

„ᲓᲝᲓᲝᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ“ — ᲓᲐᲗᲝ ᲢᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

გენდერული თანასწორობა, როგორც დემოკრატიული ღირებულებების შემადგენელი ნაწილი, შედარებით ახალი ფენომენია და სათანადო გარემოს შესაქმნელად საკმაოდ შრომატევად სამუშაოს მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით კავკასიაში ერთერთ რეფორმატორულ ქვეყანად საქართველო მოიაზრება, გენდერული პოლიტიკის განხორციელებისთვის მაინც საჭიროა სამოქალაქო განათლების დონის ამაღლება, რადგან კავკასიური მენტალობიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში გარემო პატრიარქალურია. სწორედ გენდერული თანასწორობის დაცვის საკითხებსა და ქალთა მიმართ ძალადობის თემებზე ისაუბრეს 11 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ქართველი თანამედროვე მწერლის დათო ტურაშვილის პიესის — „დოდოს მოლოდინში“, საჯარო კითხვა-დისკუსია გაიმართა.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

დებატებში მონაწილეობა მიიღეს ექსპერტმა გენდერის საკითხებში თათა ცოფურიშვილმა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა ირინა ჯაფარიძემ.

დათო ტურაშვილის პიესის — „დოდოს მოლოდინში“ საჯარო განხილვა-დისკუსია გაეროს ერთობლივი პროგრამა „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში გაიმართა. ,,დოდოს მოლოდინში” ერთერთია იმ 9 საუკეთესო პიესას შორის, რომელიც ქართველმა დრამატურგებმა ოჯახის ძალადობის თემატიკაზე შექმნეს.

როგორც გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა ირინა ჯაფარიძემ აღნიშნა: „ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივის მიზანი იყო ქართული საზოგადოება მეტად ინფორმირებული და „ღია“ გაგვეხადა ამ პრობლემის მიმართ და, ასე ვთქვათ, ტაბუდადებული თემები ფართო საზოგადოების განსჯისა და განხილვის საგანი გამხდარიყო. გვსურდა, მიგვემართა საზოგადოებისთვის, რომ ნაკლებად შემწყნარებელნი ყოფილიყვნენ აღნიშნული ძალადობის მიმართ. ამ საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია მამაკაცების, განსაკუთრებით, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების გააქტიურება და მათი მოსაზრებების გავრცელება“, — განაცხადა ირინა ჯაფარიძემ.

„გაეროს ინიციატივა გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად საქართველოში“ პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ გავრცელებულ რელიზში მოცემულია, რომ საქართველო, მსოფლიო გენდერული ინდექსის მიხედვით, 134 ქვეყნიდან 84-ე ადგილზეა და ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ტანზანია, განა, ვიეტნამი, უზბეკეთი და ნიკარაგუა; ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ფართოდ გავრცელებული ფენომენია ადრეული ქორწინებები, მოტაცება ქორწინების მიზნით, „ქალიშვილობის ინსტიტუტი“ და სხვა. ყოველი მეთერთმეტე ქალი მეუღლის ან პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია, ხოლო 35%-ზე მეტი განიცდის ძალადობის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის ფსიქოლოგიურ, სიტყვიერ და ეკონომიკურ ზეწოლას. ასეთ თემებზე საუბარს კი ქართული საზოგადოება თავს არიდებს და ქართული მენტალობიდან თუ ტრადიციებიდან გამომდინარე მიზეზებით ხსნის.

შეხვედრაზე ითქვა, რომ მნიშვნელოვანია, მოხდეს საზოგადოების, განსაკუთრებით ე.წ. „აზრის შემქმნელებისა“ და „გადაწყვეტილების მიმღებების“ მიერ პრობლემისა და მისი თანმდევი შედეგების გაცნობიერება. გენდერული თანასწორობა არ წარმოადგენს საბოლოო მიზანს, ეს აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ შეიქმნას სტაბილური გარემო, ეკონომიკური ზრდა, თანასწორობის კულტურის ჩამოყალიბება და ყველა იმ დემოკრატიული ღირებულებების ქმედებაში მოყვანა, რაც ქვეყნისთვის იქნება სასიკეთო.

„აღბათ, ყველაზე ფუნდამენტური ცვლილება, რაც უნდა მოხდეს, არის მოსახლეობის დამოკიდებულების შეცვლა თანასწორობის მიმართ, რაც რთული და ხანგრძლივი პროცესია და მრავალმხრივი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, რომლებშიც შედის სახელმწიფო პოლიტიკა, კანონმდებლობა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, განათლება, სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტების მიზანდასახული ქმედებები“, — აღნიშნა ირინა ჯაფარიძემ.

„ქართველი ქალების უმეტესობა დღეს ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლია. შრომითი მიგრანტი ქალების შემთხვევაში, ქალი გვევლინება ოჯახში ფინანსების შემომტანად, ანუ ის ხდება ოჯახის დანარჩენი წევრების, განსაკუთრებით მამაკაცების უსაქმურობისა და ოჯახის ფუფუნების გარანტორი. ქალების შრომითი მიგრაცია არის სოციალური პრობლემა და ეს შესანიშნავად ჩანს დათო ტურაშვილის პიესაში. შვილებს, რომლებიც დედისგან მოწყვეტილად იზრდებიან, მომავალში საკუთარი თვითრეალიზაციისა და სოციალიზაციის პრობლემა ემუქრებათ. ეს არის სამწუხარო რეალობა ჩვენს სინამდვილეში, მაგრამ მისი გადაწყვეტა ცალსახად არა მარტო პოლიტიკურ, არამედ საზოგადოების ნებაზეცაა დამოკიდებული. აღნიშნული მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლის წინაშეც მალე დავდგებით და რაც სწრაფად დავიწყებთ ამ საკითხებზე დისკუსიას, მით უფრო კარგი იქნება“, — განაცხადა ექსპერტმა გენდერის საკითხებში თათა ცოფურიშვილმა.

საჯარო დისკუსიაში აქტიურად ჩაერთნენ სტუდენტებიც, რომლებსაც პიესის ავტორის, დათო ტურაშვილის აზრი და შეხედულება აინტერესებდათ აღნიშნული პრობლემის, გენდერული თანასწორობისა და საზოგადოებაში ქალის როლისა და დანიშნულების შესახებ.

მწერალი დათო ტურაშვილი ბევრი ცნობილი წიგნის ავტორია, მაგრამ თავისი პიესების კრებული პირველად გამოსცა. კრებული „დოდოს მოლოდინში“ შედგება მისი, როგორც ძველი, ისე ახალი პიესებისგან. წიგნს სულაც არ ჰქვია შემთხვევით იმ ახალი პიესის სათაური, რომელიც ეძღვნება საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში მოღვაწე ათასობით ქართველ ქალს, ვისთვისაც საქართველოში დაბრუნება, ყველაზე სანუკვარი ოცნებაა. პიესაში სარკაზმითა და იუმორით არის აღწერილი ქართველების ყოფა საბერძნეთში, მათი ყოველდღიური ცხოვრება, ურთიერთობა ბერძენ „ბებიებთან“, რომლებსაც ისინი უვლიან.

მწერალმა საინტერესოდ ისაუბრა იმ თემების გარშემო, რომელიც მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებისათვის. გენდერული თანასწორობა, ეკონომიკური თუ ოჯახური ძალადობა, ქართული ტრადიციები და მენტალობა ეს ის საკითხებია, რომელზეც საზოგადოებამ აქტიურად უნდა იმსჯელოს: „ჩვენ საერთოდ გვიჭირს, სიმართლეს თვალები გავუსწოროთ. თუ ჩვენ არსებული რეალობა არ შევცვალეთ, ძალიან გაგვიჭირდება თანამედროვე სახელმწიფოს აშენება. ჩვენი ქვეყანა ადამიანების თანასწორობის შესახებ ჯერ კიდევ XII საუკუნიდან საუბრობდა. მართალია, XX საუკუნემდე კონსტიტუცია არ გვქონია, მაგრამ გვქონდა „ვეფხისტყაოსანი“, წიგნი, რომელიც ჩვენთვის კონსტიტუციის ფუნქციასაც ასრულებდა. ამ წიგნის შექმნის დროს საკამათოც კი არ იყო ის ფაქტი, რომ ადამიანი იბადება თავისუფლებისა და თანასწორობისთვის. სამწუხაროდ, მას შემდეგ მრავალი საუკუნე გავიდა და აღმოჩნდა, რომ დღეს ეს პრობლემა საქართველოში ისევ არსებობს. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ყველაზე ნაკლებად ამის ახსნა აქ გვჭირდება — უნივერსიტეტში, რადგან, როცა სტუდენტი ვიყავი, ვთვლიდი, რომ ყველაზე პროგრესულ ტერიტორიაზე ვიმყოფებოდი. მიმაჩნია, რომ სოციალურ თემატიკაზე დღეს მეტი უნდა იწერებოდეს. ის დასავლეთი, რომელიც ჩვენ მოგვწონს, ზუსტად სოციალური თემების პოპულარიზაციამ, მუსიკამ, თეატრმა, კინომ შექმნა, რამაც აიძულა პოლიტიკოსები ისეთი საკანონმდებლო ბაზა შეექმნათ, რომ ყველას უფლება დაცული ყოფილიყო.

ჩვენ ყოველთვის გვიჭირდა სახელმწიფოს შექმნა, რადგან, რამდენადაც ნიჭიერი ერი ვართ, იმდენად პრაგმატულობა გვაკლია. სახელმწიფო კარგად ორგანიზებული ქვეყანაა. იმდენ ხანს ვიყავით სხვა სახელმწიფოების მიერ დაპყრობილები, რომ სახელმწიფოს მართვის უნარ-ჩვევები ნელ-ნელა დაგვიჩლუნგდა და დავკარგეთ. ევროპასთან ინტეგრაცია ყველა დროის ჭკვიანი ქართველის სურვილი და მიზანია. ევროპა არის ჩვენი ძველი სახლი, სადაც უბრალოდ, უნდა დავბრუნდეთ.... დღეს კი, ვატყობ, რომ რაღაცნაირად მშიშრები გავხდით. ჩვენ წინაპრებს კი არ ეშინოდათ, არჩევანი გაეკეთებინათ, არ ეშინოდათ სხვა კულტურის, სხვა ცივილიზაციის, ძალიან თამამები და გახსნილები იყვნენ. ახლა კი მგონია, რომ ზედმეტად ფრთხილები გავხდით და ეს ხდება ზუსტად არასაკმარისი ცოდნისა და განათლების გამო. ევროპა არის სივრცე, სადაც ქვეყნებმა და ხალხებმა მოახერხეს სწორედ იმ ფასეულობების, ტრადიციების შენარჩუნება, რასაც ეფუძნება ახალი, თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფო და ეს სინთეზი არის რეალური! ამის გაკეთება ჩვენც შეგვიძლია“, — აღნიშნა დათო ტურაშვილმა.

ავტორმა კმაყოფილება გამოთქვა მშობლიურ უნივერსიტეტში სტუმრობით და დასძინა, რომ მოხარულია იმ ცვლილებებით, რაც უნივერსიტეტში განხორციელდა. „აქ დამხვდა შესანიშნავი გარემო, არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკა, კეთილმოწყობილი აუდიტორიები და გასართობი ადგილები. მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ჩემი უნივერსიტეტის გაძლიერებასა და განვითარებაზე ზრუნავს“, — განაცხადა მან.

აღსანიშნავია, რომ თსუ-ის სტუდენტების თეატრალური დასი დათო ტურაშვილის პიესის მიხედვით სპექტაკლის დადგმაზე მუშაობს. გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და მარჯანიშვილის თეატრის მხარდაჭერით, სპექტაკლის პრემიერა, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ გლობალური 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, ნოემბრის ბოლოსთვის გაიმართება. სტუდენტები გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან აქტიურ თანამშრომლობას და სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას მომავალშიც გააგრძელებენ.

საჯავშვო უნივერსიტეტი

„მებიუს-ლისტინგის სხეული და მათი ზოგიერთი გეომეტრიული თვისება“

ლექცია ილია ვეკუას სახელობის 42-ე საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის



15 თებერვალს თბილისის 42-ე საჯარო სკოლაში (ვეკუას სკოლა) უფროსკლასელთათვის ჩატარდა ლექცია თემაზე: „მებიუს-ლისტინგის სხეული და მათი ზოგიერთი გეომეტრიული თვისება“. ლექცია წაიკითხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ილია თავხელიძემ. ლექციას სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები დაესწრნენ..

ილია თავხელიძემ ისაუბრა ბოლო ათი წლის განმავლობაში მიმდინარე საინტერესო კვლევის შესახებ, რომელიც შეეხება მებიუს-ლისტინგის ზედაპირების გაჭრის შედეგად მიღებულ ხლართებსა და კვანძებს, მათ კლასიფიკაციასა და გეომეტრიულ თვისებებს. მან, სკოლის პროფილიდან გამომდინარე, მოსწავლეთა წინაშე ჩაატარა ამ ობიექტების ზოგიერთი თვისების დემონსტრაცია და პასუხი გასცა გეომეტრიული ობიექტების ირგვლივ დასმულ ზოგიერთ შეკითხვას.

გვანცა დარგუაშვილი (მე-11 კლასის მოსწავლე): „ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდა დიდი მეცნიერის, აკადემიკოსის ილია ვეკუას შვილიშვილი, ბატონი ილია თავხელიძე. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისი ლექციის მოსმენა, რადგან ვსწავლობ სკოლაში, რომელიც ილია ვეკუას სახელს ატარებს. ბატონმა ილიამ ძალიან საინტერესოდ ისაუბრა. მან თითქოსდა მარტივი გეომეტრიული ფიგურები ერთი ხელის მოსმით რთული გზითაც დაგვანახა. ყოველთვის ვიცოდი, რომ მათემატიკა საინტერესო მეცნიერება იყო, ილია თავხელიძის ლექციამ გეომეტრიული ფიგურების შესახებ, ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა. დიდ მადლობს ვუხდი მას და ვიმედოვნებ, კიდევ ხშირად გვესტუმრება სკოლაში“.

ნოდარ კახელაშვილი (მე-10 მესამე კლასის მოსწავლე): „15 თებერვალს ჩვენს სკოლაში მოვიდა ამ სკოლის დამაარსებლის, საქართველოს ერთერთი უდიდესი მათემატიკოსის ილია ვეკუას შვილიშვილი, ილია თავხელიძე. ბატონი ილია მათემატიკის დარგში პროფესორია, რომელსაც დიდი მიღწევები აქვს. გამიხარდა მისი ჩვენთან მოსვლა, რადგან ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ადამიანის შვილიშვილის გაცნობას, ვისი სახელობის სკოლაშიც ვსწავლობ. ჩვენი სკოლის ბავშვები დავესწარით ლექციას, რომელიც ბატონი ილია თავხელიძის გამოკვლევების შესახებ იყო. ლექცია იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ იქ მყოფ მოსწავლეებს თვალი არ მოგვიშორებია ექსპერიმენტებისთვის, ყველა ჩართული ვიყავით მასში. ლექციის დამთავრების შემდეგ ბატონ ილიას კითხვებიც დავუსვით. დამშვიდობების წინ მან დაგვარიგა, რომ ცხოვრებაში ის საქმე უნდა ვაკეთოთ, რომელიც გვიყვარს. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ილიასა და ასევე მთელ საზოგადოებას ვინც მონაწილეობა მიიღო ამ პროექტის განხორციელებაში“.



თორნიკე მანძულაშვილი (მე-12 კლასის მოსწავლე): „ჩვენს სკოლას ეწვია თსუ-ის პროფესორი, მეცნიერი და მათემატიკოსი ილია თავხელიძე, რომელიც აკადემიკოს ილია ვეკუას შვილიშვილი გახლავთ. მან წაგვიკითხა ლექცია, რომელიც მებიუს-ლისტინგის გეომეტრიულ ფიგურებს ეხებოდა. ბატონმა ილიამ გაგვაცნო როგორც თავისი, ისე სხვა მეცნიერების ნაშრომები.

ერთი შეხედვით ძალიან მარტივ და ლოგიკურ კითხვებზე პასუხი რთული და საინტერესო აღმოჩნდა. ბავშვებმა კარგად დავინახეთ, თუ როგორი თვისებები უნდა ჰქონდეს მეცნიერს, რამდენად მნიშვნელოვანია მათემატიკოსის შრომა კაცობრიობისთვის და მივხვდით, თუ რა სასარგებლოა ლოგიკური აზროვნება, არა მარტო მათემატიკაში, არამედ ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებაშიც“.

საგაკვეთილო უნივერსიტეტი

ის, რაც ყველას აინტერესებს, მაგრამ ცოტამ იცის — „რისგან შედგება სამყარო?“

თემურ ნადარეიშვილის ლექცია კერძო სკოლა „ჯეჯილში“

2012 წლის 7 ნოემბერს, კერძო სკოლა „ჯეჯილში“ ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორმა, თსუ-ის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორმა თეიმურაზ ნადარეიშვილმა ლექცია ჩაატარა.

ლექციის შინაარსი ითვალისწინებდა შემდეგ თემას – „რისგან შედგება სამყარო?“ ერთი შეხედვით, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება შეუძლებელიც კი გვეგონოს, მაგრამ მოსწავლეებს ბატონმა თეიმურაზმა უჩვეულო და საინტერესო თეორიები შესთავაზა. ლექტორმა ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დააკმაყოფილა და ამავდროულად უამრავ თემაზე დააფიქრა მსმენელები.

ლექციის დასაწყისში, თეიმურაზ ნადარეიშვილმა მოსწავლეებს გააცნო მსოფლიოში აღიარებული ქართველი მეცნიერის – გია დვალის თეორია მსოფლიო მიზიდულობის ძალის შესახებ, რომელსაც ალბერტ აინშტაინის მიერ შედგენილ ფორმულაში გარკვეული კორექტივები შეაქვს. ამ თეორიის დამტკიცების შემთხვევაში, მსოფლიო მეცნიერებაში რევოლუციაა მოსალოდნელი.

ლექტორმა მოსწავლეები დაარწმუნა უმცირესი ნაწილაკის – კვარკის არსებობაში, მიუხედავად იმისა, რომ, მეცნიერთა გარკვეული ნაწილის აზრით, ადამიანი ვერასოდეს შეძლებს მის პოვნას.

ამის შემდეგ, ბატონი თეიმურაზი დიდი აფეთქების აქტუალურ თემას შეეხო. ამ თეორიის მიხედვით სამყარო წარმოიქმნა უსასრულო სიმკვრივის და ტემპერატურის მდგომარეობიდან 13,75 მილიარდი წლის წინ. უნდა ითქვას ისიც, რომ ლექტორმა შეძლო ისე ესაუბრა ფიზიკოსთა დასკვნებზე, რომ ისინი რელიგიური თეორიებისთვის არ დაეპირისპირებინა. მან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ალბერტ აინშტაინის გამოთქმის — მეცნიერება რელიგიის გარეშე კოჭლია, რელიგია მეცნიერების გარეშე კი ბრმა- ს სისწორეში.

ლექციაზე ასევე საუბარი იყო ბირთვული კვლევების ევროპის ცენტრ – ცერნის შესახებ, რომელიც შვეიცარიის და საფრანგეთის საზღვარზე მდებარეობს. ბატონმა თეიმურაზმა ისაუბრა ცერნში ჩატარებულ ცდებზე და აღნიშნა ის ფაქტიც, რომ მათ ჩატარებაში არაერთი ქართველი მეცნიერი იღებდა და იღებს მონაწილეობას.

ლექცია ყველასთვის გასაგებ, პოპულარულ ენაზე ჩატარდა და დაინტერესა, როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე, პედაგოგებიც, რომლებმაც დიდი მადლობა გადაუხადეს ლექტორს. ბატონმა თეიმურაზმა შეძლო საინტერესოდ წარმოეჩინა თემა და მას არანაკლებ საინტერესო ვიზუალური მასალაც დაურთო. ლექციის დასაწყისში აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მის ლექციას მოისმენდნენ, ყველაფერს განსხვავებულად შეხედავდნენ და უამრავ კითხვას დაუფიქრდებოდნენ. ლექტორი მართალი აღმოჩნდა და მისი ლექციის თითოეული მსმენელი ლექციიდან დაფიქრებული გამოვიდა.

ნინი თავხელიძე: „ბატონი თეიმურაზის ლექცია ნამდვილად შთამბეჭდავი იყო. ჩემში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია გია დვალის თეორიამ და მისი დამტკიცების შესაძლებლობამ. იმედი მაქვს, რომ ქართველი მეცნიერები მიზანს მიაღწევენ და შეძლებენ დაამტკიცონ ის, რაც მთელ მსოფლიოს გააოცებს. დიდი სურვილი მაქვს, ბატონი თეიმურაზის სხვა ლექციებსაც დავესწრო. დარწმუნებული ვარ, რომ ფიზიკის განხრით, იგი ნებისმიერ თემაზე ჩვენთვის გასაგებად და საინტერესოდ ისაუბრებს“.

ლიზა კაციაშვილი: „როგორც წესი ბავშვებს ფიზიკის საგანი არ უყვართ და ბევრი ჩვენგანი ძალიან დაიბნა, როდესაც გაიგო, რომ ლექცია სწორედ ამ განხრით უნდა ჩაგვტარებოდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ მცდარი წარმოდგენა იყო და ლექცია სინამდვილეში ძალიან საინტერესო და ინფორმაციული აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ არავის გაუჭირდა მოსმენა და გათავისება იმისა, რასაც ბატონი თეიმურაზი მოგვითხრობდა. ეს, პირველ რიგში, მის პროფესიონალიზმზე მიგვითითებს. პირადად ძალიან კმაყოფილი დავრჩი ამ ლექციით და სიამოვნებით მოვუსმენდი ბატონ თეიმურაზს სისტემატიურად“.

მეგი დავითიძე: „ბატონი თეიმურაზის ლექციამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან მოსწავლეებისთვის გასაგებ ენაზე შეძლო საუბარი და ბევრ კითხვას გასცა პასუხი. ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო ლექციის ის ნაწილი, რომელშიც ლექტორმა ისაუბრა ცერნის შესახებ. ამ ლექციის ერთერთი დადებითი მხარე ისიც იყო, რომ არაერთი ახალგაზრდა დააინტერესა ფიზიკით“.

ნინი ბერძენიშვილი: „ეს დღე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, რადგან ბატონმა თეიმურაზმა უცნობ და ამავდროულად ძალიან საინტერესო თემებზე ისაუბრა, რამაც ყველა გაგვაოცა და დაგვაფიქრა. ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო ის ნაწილი, როდესაც ლექტორმა კვარკებზე ისაუბრა. მან შეძლო ეს ყველაფერი ჩვენთვის გასაგები ენით გადმოეცა. იმედი მაქვს, რომ იგი კვლავ ეწვევა ჩვენს სკოლას და ისევ მოახდენს დიდ შთაბეჭდილებას ყველა ჩვენგანზე“.

ლიკა წულუკიძე: „ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბატონი თეიმურაზის მოხსენებამ. მან გასაგებად შეძლო რთულ საკითხებზე საუბარი და მოსწავლეების კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა. თავის მოხსენებაში პროფესორმა ისაუბრა სამყაროს შემადგენელ უმცირეს ნაწილაკებზე, ცნობილ ფიზიკოსთა აღმოჩენებსა და მათ მნიშვნელობაზე. ამ ყველაფერს თან დართული ჰქონდა ვიზუალური მასალა, რამაც თვალსაჩინო გახადა მოწოდებული ინფორმაცია. ჩემთვის ეს მოხსენება ძალიან საინტერესო და ბევრის მომცემი იყო. იმედი მაქვს, რომ ლექტორი კვლავ ეწვევა ჩვენს სკოლას და დაგვეხმარება მეტი გავიგოთ ისეთ ღრმა საგანზე, როგორიცაა ფიზიკა“.



ანა ლიპარტელიანი: „ბატონი თეიმურაზის ლექცია ჩემთვის ნამდვილად ძალიან შთამბეჭდავი იყო. იგი საკმაოდ საინტერესოდ და ჩვენთვის გასაგებ ენაზე გვესაუბრა აქტუალურ თემაზე: „რისგან შედგება სამყარო''. ლექციამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე და ასევე ძალიან დამაფიქრა. დიდი სიამოვნებით დავესწრებოდი ბატონი თემურის სხვა ლექციებსაც“.

ნინი მაჭავარიანი: „სკოლის მოსწავლეების იმ კატეგორიას მივეკუთვნები, ვისთვისაც 45 წუთიც კი რთულია ფიზიკის გაკვეთილზე გაჩერება. თუმცა, ორსაათნახევარი ისე გავიდა, ვერც კი გავიგე. აღსანიშნავია ბატონი თეიმურაზის იუმორნარევი მეტყველება და მისი ინტელექტის მაღალი დონე. პოპულარული ენით გადმოცემული ფიზიკის კანონები და აქამდე რთულად აღქმული ტერმინოლოგია, გასაგებად და საინტერესოდ გადმოგვცა. ნამდვილად დიდი ფუფუნებაა მისი ლექციის მოსმენა და მასთან კონტაქტი. დიდი მადლობა“.

ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებში ინტეგრაციის მინისტრი თსუ-ის სტუდენტებს შეხვდა

თამარ დადიანი

ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი 14 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა.

შეხვედრას თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი დაესწრო. თსუ-ის რექტორის განცხადებით, „დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სტუდენტებმა პირველწყაროსგან მიიღონ ინფორმაცია ქვეყნის საგარეო კურსთან და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესებთან დაკავშირებით. სტუდენტთა ინტერესი ამ პროცესის წარმატების სურვილითაა გამოწვეული“, — აღნიშნა მან.

შეხვედრაზე მინისტრმა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციაზე, ევროკავშირთან ურთიერთობის პერსპექტივასა და ქვეყანაში მიმდინარე საშინაო და საგარეო პოლიტიკურ პროცესებზე ისაუბრა.

როგორც სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა, საქართველოს ახალი მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი ფორმატის ფარგლებში როგორც ევროკავშირთან, ასევე, პარტნიორ ქვეყნებთან მიმდინარე თანამშრომლობას. პეტრიაშვილმა ხაზი გაუსვა ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების პროცესში აღმოსავლეთ პარტნიორობის მნიშვნელობას.

ალექსი პეტრიაშვილმა განსაკუთრებით აღნიშნა საქართველოს დემოკრატიზაციისა და მოდერნიზაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მზარდი როლის მნიშვნელობა და კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სწრაფვა, გახდეს ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი. ქვეყნის მთავრობა ინტენსიურად აგრძელებს რეფორმებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა მართლმსაჯულება, ადამიანის უფლებების დაცვა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, სურსათის უვნებლობა, კონკურენციის ხელშეწყობა, სოციალური პოლიტიკა, შრომითი უფლებების დაცვა და ბიზნესის განვითარება.

„ბუნებრივია, საქართველოსთვის ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხი ევროკავშირში სრულფასოვანი ინტეგრაციაა. ამ თვალსაზრისით, ქვეყნებს შორის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, ამ საკითხებზე მოლაპარაკებების წარმოება და მისი წარმატებით დასრულება მთავრობის ერთერთი პრიორიტეტია“, — განაცხადა მან.

ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, ნატოში გაწევრიანება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად რჩება.

„ნატოსთან თანამშრომლობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი არის ყოველწლიური ეროვნული პროგრამა. წელს მეხუთე პროგრამა შემუშავდა, რომელიც ამ დღეებში დამტკიცდება. ეს არის ვალდებულებებისა და პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც რეალურად ასახავს საქართველოს წინსვლას როგორც დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის, სამხედრო, თავდაცვითი, სასამართლო და ზოგადად, საკანონმდებლო სისტემის დახვეწის, ისე განათლების, ჯანდაცვის, სოციალური სფეროსა და ენერგეტიკის კუთხით. ეს არის ყოვლისმომცველი პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც იღებს ვალდებულებას, თუ რა რეფორმები უნდა განხორციელდეს წლის განმავლობაში, წლის ბოლოს კი, მისი შეფასება მოხდება“, — განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

მანვე აღნიშნა, რომ ზაფხულში საქართველოში ჩამოდის უმაღლესი დონის ნატოს დელეგაცია. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2008 წლიდან მოყოლებული, ეს არის რიგით მესამე ვიზიტი და, მართლაც, უპრეცედენტო შემთხვევა — ხუთი წლის განმავლობაში ჩრდილო-ატლანტიკური საბჭო უკვე მესამედ ჩამოდის საქართველოში და გასვლით სხდომებს ატარებს გენერალური მდივნის თავმჯდომარეობით. დელეგაციის წევრები შეხვდებიან მთავრობის წევრებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და სხვებს. „ნატოს მხრიდან ჩვენ მიმართ ასეთ აქტიურ დამოკიდებულებას და ინტერესს განსაზღვრავს ის გარემოება, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები არის პირველი კონტრიბუტორი სამშვიდობო ოპერაციისა ავღანეთში. ნატოს წევრი ქვეყნების მაღალი რანგის ხელმძღვანელები ყველაზე დიდ შეფასებას აძლევენ ქართულ სამშვიდობო მისიას ავღანეთში. 2014 წლიდან ავღანეთში საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაცია შეიცვლება და ის უფრო საწვრთნელ დატვირთვას შეიძენს. პასუხისმგებლობა მაქსიმალურად გადაეცემა ავღანეთის უსაფრთხოების ძალებს. ჩვენი კონტინგენტი, ძირითადად, ჩართული იქნება ჯარების წვრთნის და მომზადების პროგრამებში. მომავალ წელს გაიმართება ნატოს სამიტი და ჩვენ ნამდვილად გვაქვს ამბიცია, რომ ეს სამიტი კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ნატოში ინტეგრაციისკენ. ჩვენი მხარე აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით“, — განაცხადა ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა.

შეხვედრაზე სახელმწიფო მინისტრმა სხვა უახლესი ღონისძიებების შესახებაც ისაუბრა. სტუდენტებმა დიდი ინტერესი გამოხატეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობების განვითარების კუთხითაც და სახელმწიფო მინისტრისგან ამომწურავი პასუხები მოისმინეს.

„რუსეთთან ურთიერთობების საკითხში საქართველოს მთავრობამ უკვე საკმაოდ პრაგმატული ნაბიჯები გადადგა. ჩვენ შევეცდებით, რომ ჩვენს მეზობელთან ეკონომიკური, კულტურული და სოციალური კავშირები აღვადგინოთ.

სტუდენტებთან, ძირითადად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, ამ მიმართულებით ხელისუფლების მიერ გადადგმულ და გადასადგმელ ნაბიჯებზე ვისაუბრე. მისასალმებელია ახალგაზრდების ინტერესი — მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი და გათვითცნობიერებულნი ქვეყნის მომავლის განსაზღვრაში“, — აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

სახელმწიფო მინისტრი თსუ-ს „ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბის“ ინიციატივით ეწვია.

„ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბში“ თსუ-თან ერთად ექვსი უნივერსიტეტის სტუდენტები არიან გაერთიანებული. ცხადია, გვაინტერესებს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ურთიერთობის, ამ ინსტიტუტებში გაწევრიანების საკითხი. სასიხარულოა, რომ სახელმწიფო მინისტრი გამოეხმაურა ჩვენს სურვილს და გვესაუბრა ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესებზე, მის შედეგებსა და სამომავლო პროექტებზე“, — განაცხადა „ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბის“ პრეზიდენტმა, თსუ-ის სტუდენტმა კონსტანტინე შუბითიძემ.

სტუდენტური კონკურსი — მისია 2013

26 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კონკურსის - „მისია 2013“ პრეზენტაცია გაიმართა.

თსუ-ის სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში უნივერსიტეტის ყოველწლიური პროექტია, რომელსაც უნივერსიტეტი და წარმატებული ქართული ბრენდი ერთობლივად ახორციელებენ. ყოველწლიურად კონკურსის მონაწილე ბრენდი იცვლება და კონკურსანტები ახალ იდეებს ახალი პარტნიორისთვის ქმნიან. 2013 წელს კონკურსის თანაორგანიზატორი კომპანია „ნატახტარი“ იქნება.

პრეზენტაციას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი და კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი თორნიკე ნიკოლაიშვილი დაესწრნენ.

კონკურსის მიზანია სტუდენტების ახალი იდეების განხორციელებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, კონკურსის გამარჯვებული სტუდენტების პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა და სამომავლო დასაქმების პერსპექტივის ზრდა. კონკურსანტებს საშუალება ეძლევათ გახდნენ კომპანიის მარკეტინგისა და პიარის ვირტუალური მენეჯერები, დაგეგმონ კონკრეტული აქტივობები, გაიმარჯვონ კონკურსში, მოიპოვონ ფულადი პრემია და განახორციელონ თავიანთი იდეები.

ინიციატივები ბიზნეს სამართლის რეფორმირებისთვის

27 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ღონისძიება - თსუ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის ინიციატივები ბიზნეს სამართლის რეფორმირებისთვის.

ღონისძიება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID), სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლასთან (STCL), კორპორაცია აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტთან და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტთან (EWMI-JILEP) თანამშრომლობით.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო პრეზენტაცია თემებზე: მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის ინიციატივები ბიზნეს სამართლის რეფორმირებისთვის, ასევე სამშენებლო მედიაციის კანონპროექტი.

პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრი თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კამოეშის ინსტიტუტის პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრი გაიხსნება. ცენტრი თსუ-სა და კამოეშის (პორტუგალია, ლისაბონი) ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის ოქმის ფარგლებში ფუძნდება. ამის შესახებ თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და პორტუგალიის ელჩმა თურქეთში ხორხე კაბრალმა თსუ-ში გამართულ შეხვედრაზე განაცხადეს. შეხვედრას საქართველოს ელჩი პორტუგალიაში გიორგი გორგილაძე, მოწვეული სტუმრები, თსუ-ის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის პორტუგალიაში ვიზიტის დროს კამოეშის ინსტიტუტთან გაფორმდა თანამშრომლობის ოქმი. ოქმის თანახმად, ცენტრი ხელს შეუწობს საქართველოში პორტუგალიური ენისა და პორტუგალიურენოვანი ქვეყნების კულტურის პოპულარიზაციას. ცენტრის დახმარებით თსუ-ის პროფესორ–მასწავლებლებსა და სტუდენტებს პორტუგალიური ენისა და პორტუგალიურენოვანი ქვეყნების კულტურის ცოდნის გარღმავების შესაძლებლობა მიეცემათ. კამოეშის ინსტიტუტი ხელს შეუწყობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების, მკვლევარებისა და სტუდენტებისთვის სამეცნიერო და პედაგოგიური მიმართულებით ტრენინგების პროგრამას და გასცემს სტიპენდიებს პორტუგალიაში სასწავლებლად.

ცენტრი უზრუნველყოფილი იქნება საჭირო ბიბლიოთეკით პორტუგალიური ენისა და კულტურის შესახებ.

არნოლდ ჩიქობავა — 115

26 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან 115 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. წარმოდგენილი იყო აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას პირად არქივში დაცული წერილები, ფოტოები, ხელნაწერები და წიგნები. ასევე ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი არნოლდ ჩიქობავას შესახებ. ამავე დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში არნოლდ ჩიქობავას სახელობის აუდიტორია გაიხსნა.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ფუძემდებლის, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელს უკავშირდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული და კავკასიური ენათმეცნიერების ძლიერი სამეცნიერო სკოლის დაფუძნება. იგი იყო თსუ-ის პირველი დოქტორი და ქართული ენათმეცნიერული აზრის თეორეტიკოსი. არნოლდ ჩიქობავა არა მხოლოდ ენათმეცნიერი, არამედ საზოგადო მოღვაწე, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კავკასიოლოგთა აღმზრდელი იყო.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინფორმაცია

საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო რესპუბლიკა?

სტუდენტები სახელმწიფო მოწყობის შესახებ

მეოთხე გვერდიდან

ლევან ლორთქიფანიძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

უკვე დიდი ხანია რაც საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე ვარ. პირველი მიზეზი ამისა საქართველოს ისტორიული გამოცდილება გახლავთ. ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ინარჩუნებს, ასე ვთქვათ, სუპერ საპრეზიდენტო რესპუბლიკის სტატუსს. ყველასთვის ცხადია, რომ ამ მოდელმა ჩვენს რესპუბლიკაში არ გაამართლა და უამრავი ზიანის მომტანი გახდა.

მეორე მიზეზი, თუ რატომ ვარ პარლამენტარიზმის მომხრე, გახლავთ ის, რომ მხარს ვუჭერ კოლექტიური მართვის ფორმებს. ქვეყნის მმართველობის დროს მთავარია წარმომადგენლობის უზრუნველყოფა. მისი უზრუნველყოფა კი, ყველაზე მეტად, პარლამენტს შეუძლია, როდესაც ხელისუფლება სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობების ხელშია გადაცემული. ეს ფორმა უფრო შედეგიანს ხდის ხელისუფლების მართვის პროცესს.

მე მემარცხენე ვარ და მემარცხენეები მხარს პროპორციულ სისტემებს უჭერენ, სადაც ერთი ადამიანის ხელში კი არ არის თავმოყრილი ძალაუფლება, არამედ ის რამდენიმე პერსონაზეა გადანაწილებული.

გიორგი გრიგოლაშვილი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

საქართველოს ტიპის დემოკრატიებში პრეზიდენტის ძალაუფლება ხშირად განუსაზღვრელად დიდია, რასაც ავტორიტარიზმის სერიოზულ გამოვლინებამდე მივყავართ. ამიტომ იმაზე ვთანხმდებით, რომ პრეზიდენტის ფუნქციები შეზღუდული უნდა იყოს, მაგრამ რა დონემდე?! უაღრესად მნიშვნელოვანია მმართველობის რა მოდელს აირჩევს ქვეყანა — საპრეზიდენტოს თუ საპარლამენტოს? ვინ დააკომპლექტებს მთავრობას? ვინ განახორციელებს აღმასრულებლის ფუნქციას? და ასე შემდეგ.

მიმაჩნია, რომ საქართველო ჯერ არ არის მზად საპარლამენტო სისტემისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ქვეყანაში ხელისუფლება არჩევნების გზით პირველად შეიცვალა. პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური

პარტიები მკვეთრად პოლარიზებულია, რაც საზოგადოების განწყობას (მდგომარეობას) გამოხატავს. საქართველოში არ გვაქვს პარტიული პოლიტიკის კულტურა, ჩვენთან ლიდერზე ორიენტირებული პოლიტიკური პარტიები ლიდერის გარეშე ფუნქციონირებას ვერ ახორციელებენ..

„ქართული ოცნების" გამარჯვებაც, მნიშვნელოვანწილად, ბიძინა ივანიშვილის პერსონამ განაპირობა და არა პარტიის ორგანიზაციულმა საქმიანობამ... ჯერ-ჯერობით არ არსებობს რამდენიმე თანაბარი ძალის მქონე პოლიტიკური პარტია, რომელსაც სტაბილური ელექტორატი ეყოლება. ამ სიტუაციაში კი, საპარლამენტო რესპუბლიკად მოწყობა სხვა არაფერია, თუ არა საპარლამენტო დიქტატურისთვის გადადგმული ნაბიჯი. მეორე მხრივ, 9 წლიანმა მმართველობამ დაგვანახა, რომ პრეზიდენტის აღმატებული უფლებამოსილება რისკის ქვეშ აყენებს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას.

დღეს იდეალური გამოსავალია ქვეყნის მოწყობის შერეული მოდელი, სადაც პრეზიდენტის უფლებები შეზღუდულია, თუმცა ის ქვეყნის მართვის მნიშვნელოვან ბერკეტებს ფლობს. თავის მხრივ, აღმასრულებელი ფუნქცია აკისრია მთავრობას პრემიერ-მინისტრის მეთაურობით, რომელსაც პარლამენტი აკომპლექტებს. პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობისა და სასამართლოს რგოლების არსებობა ძალის განაწილების იდეალური საშუალებაა, რაც უშუალოდ, ერთ პოლიტიკურ აქტორს არ მისცემს მაქსიმალური ძალის კონცენტრაციის საშუალებას. ასე რომ, ჩემთვის მისაღებია შერეული მოდელი, სადაც პრეზიდენტი ხალხის მიერ აირჩევა, რომელსაც მართვის გარკვეული ბერკეტები ექნება, თუმცა იგი შეზღუდული იქნება მთავრობისა და პარლამენტის ძალაუფლებით.

ქეთი მურუსიძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა უნდა იყოს თუ საპრეზიდენტო? ამ კითხვაზე პასუხის დროს, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ მოსახლეობის ხასიათი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კულტურა და დამოკიდებულებები სახელმწიფოს მიმართ. ჩემთვის, როგორც ერთ-ერთი მოქალაქისთვის, მნიშვნელოვანია, რომ ძალაუფლება იყოს დაბალანსებული, გადანაწილებული და მაქსიმალურად საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირებული.

საზოგადოების ინტერესებს, ყველაზე კარგად, წარმომადგენლობითი ორგანო - პარლამენტი უნდა ასახავდეს. ამასთან, ქვეყნის სტაბილური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ერთი ადამიანის შეხედულებებზე არ იყოს დამოკიდებული ქვეყნის ბედი. გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს კონსესუსის გზით იმ ადამიანების მიერ, ვისაც საზოგადოებამ ნდობა გამოუცხადა. ამ მხრივ, უფრო დემოკრატიული და მისაღები საპარლამენტო რესპუბლიკაა. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართველი ხალხი მუდმივად ეძებს ლიდერს - ერთ კონკრეტულ ადამიანს, რომელსაც მთელ ვალდებულებებს დააკისრებს და რომელზედაც იმედებს დაამყარებს.

ჯერჯერობით საქართველოს არ ჰყავს ისეთი ძლიერი პარლამენტი, რომელიც დაკომპლექტებულია შესაბამისი პოლიტიკური კულტურისა და განათლების მქონე დეპუტატებით, რომლებიც დამოუკიდებელი მსჯელობისა და შეთანხმების გზით მიიღებენ გადაწყვეტილებას. ამან, შესაძლოა, გარკვეული შეფერხებები წარმოქმნას პოლიტიკის წარმოებისას, განსაკუთრებით სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების საჭიროების შემთხვევაში. შესაბამისად, საპარლამენტო რესპუბლიკისთვის ქართული საზოგადოება ჯერ მზად არ არის. თუმცა, ერთი შეხედვით, ასევე სარისკოა ძლიერი საპრეზიდენტო რესპუბლიკაც, როდესაც ერთი ადამიანის, მცირე მმართველი გუნდის შეხედულებისამებრ იმართება ქვეყანა — არჩევნებამდე ყოველი საპრეზიდენტო კანდიდატი ქვეყნის ინტერესებზე საუბრობს, არჩევის შემდეგ კი, ქართული გამოცდილებით, მხოლოდ საკუთარი ინტერესების და შეხედულებების მიხედვით მართავს ქვეყანას.

ოპტიმალური გამოსავალი შერეული სისტემაა, სადაც სახელისუფლებო შტოებს შორის ძალაუფლება ისეა გადანაწილებული, რომ დაცულია წარმომადგენლობითობის პრინციპი — მხოლოდ ერთი ადამიანის ხელში არ არის მოქცეული მმართველობითი ბერკეტები და საზოგადოებასაც ჰყავს პრეზიდენტი, რომლის უფლება-მოსილებანი შეავსებს საპარლამენტო რესპუბლიკის ნაკლოვანებებს ქართულ რეალობაში. ასევე, ერთმანეთის მაკონტროლებელი ძალების არსებობა ხელისუფლებაში მმართველობას უფრო გამჭვირვალეს, ეფექტიანს და საზოგადოებაზე ორიენტირებულს გახდის.

თამარ ნიკოლაიშვილი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

მსჯელობა იმის შესახებ, რესპუბლიკის რომელი მოდელია საქართველოსთვის შესაფერისი — საპარლამენტო, საპრეზიდენტო თუ შერეული, წარმოუდგენელია ისტორიული კონტექსტის, პოლიტიკური კულტურისა თუ დემოკრატიული ტრადიციის გააზრების გარეშე. 1918-21 წლების დემოკრატიული რესპუბლიკიდან დღემდე ნაცადი სამივე მოდელის „ქართული ინტერპრეტაცია", თუ შეიძლება ასე ითქვას, გვაძლევს საშუალებას, დავინახოთ, რომელი მათგანი უკეთ მოერგო ქართულ რეალობას კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე და გავაანალიზოთ თითოეული მათგანის პლუს-მინუსების განმაპირობებელი მიზეზები.

არაერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბებული საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელის ტრანსპლანტაცია. თუმცა, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ლათინური ამერიკის ქვეყნებში პრეზიდენტის ინსტიტუტის გადატანამ აჩვენა, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა დაბალი პოლიტიკური კულტურისა და შეერთებული შტატებისგან განსხვავებული პოლიტიკური ტრადიციის მქონე ქვეყნებში საპრეზიდენტო რესპუბლიკის ამერიკისგან გადანერგვის მცდელობას.

„დაუბალანსებელი" ხელისუფლების საფრთხე ვერ გაითვალისწინეს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებშიც. 1991 წელს პრეზიდენტის ინსტიტუტის დამკვიდრებას საქართველოში თან ახლდა ლათინური ამერიკის ქვეყნების მსგავსი მახასიათებლები, ეს განსაკუთრებით ეხება ხელისუფლების მიღწევის ძალადობრივ მეთოდებსა და სახელმწიფო აპარატის ცენტრალიზაციის მაღალ დონეს. თუმცა, პოსტკომუნისტური რესპუბლიკებისთვის საპრეზიდენტო მმართველობა ერთგვარი „გამოსავალი" იყო გარდამავალი პოლიტიკური სისტემისთვის, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეტაპზე. ძლიერ საპრეზიდენტო ხელისუფლებას გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებაში.

თუმცა, იგივე პოსტკომუნისტური სივრცე გვაჩვენებს, რომ გამოსავალი არც საპრეზიდენტოდან პირდაპირ „წმინდა" საპარლამენტო სისტემაზე გადასვლაში მდგომარეობს. ამის ნათელი დასტურია უკრაინის შემთხვევა, რომელიც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ არ შეიძლება ვიმსჯელოთ საპარლამენტო რესპუბლიკის, როგორც უფრო დაბალანსებული და ეფექტიანი მოდელის, უდავო უპირატესობაზე. მითუმეტეს, როდესაც ქვეყანა არ ხასიათდება დემოკრატიული ცნობიერების მაღალი დონით, ძლიერი ინსტიტუტებით, ფართო პარტიული სპექტრით (რაც, ფაქტობრივად, გადამწყვეტია), მაღალი სამოქალაქო აქტივობითა და ა.შ.

მსგავს ვითარებაში, ის შერეული მოდელი, უფრო ზუსტად კი, მოდელი, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც საპარლამენტო რესპუბლიკისკენ გადახრილი შერეული მოდელი, რომელსაც 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმა ამტკიცებს, შესაძლოა, საუკეთესო ვერსიადაც მოგვეჩვენოს. თუმცა, ჩემი აზრით, ე.წ. „მთვლემარე პრეზიდენტი", რომლის უფლებამოსილებაც, ფაქტობრივად, კრიზისულ სიტუაციებში ჩარევამდე დაიყვანება, მცირეა.

როგორც მორის დიუვერჟე წერდა, მსგავს სისტემაში „რესპუბლიკის პრეზიდენტს მხოლოდ ნომინალური უფლებამოსილება აქვს. მას არ შეუძლია განახორციელოს კონსტიტუციით მინიჭებული პრეროგატივები, როგორც ეს ძალუძს პრემიერ-მინისტრსა და მთავრობას". ორპოლუსიანი პარტიული სისტემის ფონზე პრეზიდენტის ინსტიტუტის ამგვარი დისტანცირება აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, ვფიქრობ, არაა გამართლებული. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ შერეული სისტემის მომხრე არ ვარ. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ საქართველოს შემთხვევაში, რესპუბლიკის ფორმა სასურველია, იყოს ნახევრად საპრეზიდენტო, ოღონდ არა ისეთი, როგორიც საფრანგეთშია — საფრანგეთის პრეზიდენტს, ზოგ შემთხვევაში, უფრო მეტი უფლებამოსილება აქვს, ვიდრე „წმინდა" საპრეზიდენტო რესპუბლიკის მეთაურს. ამასთანავე, კრიზისული სიტუაციის დროს იგი უმაღლესი ხელისუფალი ხდება. ჩემი აზრით, მსგავსი ძალაუფლებაც მეტისმეტია. შესაბამისად, ის შერეული მოდელი, რომელიც საქართველოსთვის ოპტიმალურად მიმაჩნია, უფრო მეტად შუალედური უნდა იყოს, ვიდრე ის მოდელი, რომელიც სრულად 2013 წლიდან შედის ძალაში, ან თუნდაც საფრანგეთის მოდელი.

დანამდვილებით რაც შემიძლია ვთქვა, ხელისუფლების ანგარიშვალდებულების მექანიზმი შეიძლება განხორციელდეს ორივე ტიპის რესპუბლიკაში და თუ კონკრეტულმა პიროვნებამ არ გაამართლა პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, ეს არ ნიშნავს მოდელის გაუმართლებლობას. აუცილებელია, რომ ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნას ქვეყნის კონსტიტუციური განვითარების ისტორია, საზოგადოების შინაგანი მზადყოფნა, მიიღოს თუ არა ცვლილება. ამ საკითხებზე წინასწარი საჯარო მსჯელობა უნდა გაიმართოს.

კონსტრუქციული, სრულყოფილი და ორიგინალურად წარმოდგენილი სახელმძღვანელო

ახლახან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა თამილა ბაგაშვილმა გამოსცა სახელმძღვანელო – „ზოგადი პათოფიზიოლოგია“ (რედაქტორი პათოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი თეიმურაზ ჯორბენაძე). სახელმძღვანელო დაწერილია გამართული ქართული ენით. მასში მოცემულია სასწავლო პროგრამის სრული განხილვა, სამედიცინო ლიტერატურის უკანასკნელი მონაცემების გათვალისწინებით. წიგნი გადატვირთული არ არის უსარგებლო მომიჯნავე დისციპლინების მონაცემებით, რომლებიც ზოგიერთი ავტორის სახელმძღვანელოში მოცულობის გაზრდის მიზნით არის წარმოდგენილი.

სახელმძღვანელო 233 გვერდიანია. ავტორი ზოგად პათოფიზიოლოგიას ორ ნაწილად ჰყოფს: ზოგად ნოზოლოგიად და ტიპობრივ პათოლოგიურ პროცესებად და ფაქტებით ადასტურებს ამ მოსაზრებას. თითოეულ ნაწილში განხილულია სათანადო თემები თავებისა და ქვეთავების სახით.

სახელმძღვანელო გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. მის მხატვრულ ექსტერიერს შეესაბამება მეცნიერულ-პროფესიულ დონეზე წარმოდგენილი კარგად ილუსტრირებული მასალა. აგრეთვე, ორიგინალურადაა გადმოცემული ცნობილი დებულებები, მონაცემები და ფაქტობრივი მასალა. წიგნში კლასიკური მონაცემების პარალელურად მრავლად არის მოტანილი ახალი ფაქტები, რომელთა დაგროვებას ხელი შეუწყო ახალი სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარებამ და პათოფიზიოლოგიურ ექსპერიმენტში კვლევის ახალი მეთოდების დანერგვამ. ამავდროულად, უახლესი სამედიცინო ლიტერატურის მონაცემების გათვალისწინებით, სრულიად ახლებურად და ორიგინალურად არის ახსნილი კარგად ცნობილი, დამკვიდრებული „ძველი“ კლასიკური ფაქტები და მოვლენები. ამდენად, სახელმძღვანელო უდავოდ ასახავს ზოგადი პათოფიზიოლოგიის განვითარების თანამედროვე დონეს. იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართულ და უცხო ენებზე ადრე გამოცემული სახელმძღვანელოებისგან.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სახელმძღვანელო დაწერილია ერთი ავტორის მიერ, რის გამოც მთელ ტექსტში დაცულია მასალის დალაგებისა და აღწერის ერთიანი პრინციპი და სტილი. ამავე დროს, წიგნი სრულიად თავისუფალია თუნდაც მცირე არაკომპეტენტურობისგან. ეს განპირობებულია, ერთი მხრივ, ავტორის მაღალი პროფესიონალიზმით, ხოლო, მეორე მხრივ, იმით, რომ წინამდებარე წიგნის შედგენა მოხდა სხვადასხვა ენებზე გამოცემული სახელმძღვანელოების კრიტიკული განხილვის საფუძველზე. სახელმძღვანელოს დადებითად აფასებს წიგნის რედაქტორი – სრული პროფესორი თეიმურაზ ჯორბენაძე.

მასალის აღწერის დროს, ავტორი ხშირად მიმართავს ინვერსიებს, რაც, უდავოდ, გამიზნულია მკითხველის ყურადღების გასამახვილებლად. მართალია, სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტებისთვის, იგი უდავოდ სარგებლობას მოუტანს ექიმებს ფუნდამენტური ცოდნის აღსადგენად და გასაღრმავებლად, რითაც დაეხმარება მათ პრაქტიკული მოღვაწეობის სრულყოფილად წარმართვაში.

გურამ ბექაია,
საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და რუსეთის ფედერაციის მედიკო-ტექნიკური აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქართული თქმულებები გერმანულ ენაზე

2012 წელს გერმანიაში გამოიცა ცნობილი ქართველოლოგის, ჰაინც ფენრიხის მიერ თარგმნილი და დამუშავებული ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა და ისტორიულ თქმულებათა კრებული: „ტყის დედოფალი, თქმულებები და მითები საქართველოდან. მოთხრობილი და გამოცემული ჰაინც ფენრიხის მიერ“. გამომცემლობა König. graici/Tiuri 2012 (önigin des Waldes. Sagen und Mythen aus Georgien. Nacherzählt und herausgegeben von Heinz Fähnrich. Buchverlag König, Greiz/Thür 2012).

ეს არის უნიკალური გამოცემა სამასზე მეტი მითოლოგიური და ისტორიული შინაარსის ტექსტისა, რომლებიც ამ სახით თავმოყრილი პირველად გამოქვეყნდა.

წიგნის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად ავტორის ფოლკლორისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება უნდა ჩაითვალოს. ფოლკლორული ტექსტების გამოცემა არ არის ადვილი, მითუმეტეს რთულია კრებული ერთდროულად სამეცნიეროც იყოს და პოპულარულიც. ფილოლოგისა და ფოლკლორისტის პროფესიონალიზმის გარდა, ამგვარი კრებულის გამოცემას უდიდესი სიყვარული სჭირდება როგორც იმ ხალხის ენისა და კულტურის, ისე ზოგადად ფოლკლორის მიმართ. გერმანელი ქართველოლოგის დიდი ინტერესი ქართული ფოლკლორისადმი არაერთგზის გამოვლინდა მის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული წიგნების სახით: ამირანის ეპოსი (1978), ქართული ზღაპრები (1963, 1980, 1995), ქართული თქმულებები (1984), ქართული თქმულებები და ლეგენდები (1998), სვანური ზღაპრები (1992), ლაზური ზღაპრები (1995), მეგრული თქმულებები (1997), ქართული მითოლოგიის ლექსიკონი (1999), „ცხრა მთას იქით. ქართველთა ზღაპრები“ (2011) და სხვა.

„ტყის დედოფალი. თქმულებები და მითები საქართველოდან“ ჰაინც ფენრიხის კიდევ ერთი კრებულია ქართული მითოლოგიური გადმოცემებისა და ისტორიული თქმულებებისა. მასში თავმოყრილია ქართული, მეგრული და სვანური ფოლკლორული მასალა. კრებულს ერთვის სამეცნიერო აპარატი (სიტყვათა განმარტებები, ბიბლიოგრაფია) და მიმოხილვითი ნარკვევი საქართველოს ისტორიის, ზეპირი თხრობითი ტრადიციისა და ფოლკლორის შესწავლის ისტორიის შესახებ.

წყაროები, რომელიც გამოყენებულია თარგმანისთვის, მითითებულია კრებულის ბოლოს (გვ. 650-651). ჰაინც ფენრიხი ისეთ ფუნდამენტურ გამოცემებს ეყრდნობა, როგორიცაა ქსენია სიხარულიძის „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“, მიხეილ ჩიქოვანის „მიჯაჭვული ამირანი“, ელენე ვირსალაძის „ქართული სამონადირეო ეპოსი“, თინათინ ოჩიაურის „მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, ზურაბ კიკნაძის „ქართული მითოლოგია: ჯვარი და საყმო“, კორნელი დანელიას და აპოლონ ცანავას „ქართული ხალხური სიტყვიერება: მეგრული ტექსტები“ და სხვა.

სპეციფიკური სიტყვები, ტოპონიმები და მითოსურ არსებათა სახელები, რომლებიც თარგმანის გარეშეა გადატანილი გერმანულ ტექსტში, წიგნის ბოლოს განმარტებულია გერმანულენოვანი მკითხველისათვის (გვ. 616-637).

კრებულში ტექსტები თემატურად არის კლასიფიცირებული. წიგნი იწყება სამონადირეო მითოსით: თქმულებები ამირანის, დალის, ტყაშმაფას, მესეფებისა და ნადირთ-პატრონის შესახებ. შემდეგი ნაწილი ეთმობა დემონოლოგიურ თქმულებებს კუდიანებზე, როკაპებზე ჭინკებზე, ოჩოკოჩსა და ოჩოპინტრეზე. ცალკე წრეს ქმნიან ლეგენდები წმინდანებზე (წმ. გიორგი, ანდრია პირველწოდებული, წმ. ნინო, არგვეთელი მთავრები, წმინდანები დავით და კონსტანტინე, წმ. აბო თბილელი, წმ. გობრონი, წმ. ილარიონ ქართველი, წმ. ქეთევან დედოფალი, წმინდანები შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები და ბიძინა ჩოლოყაშვილი). კრებულში შესულია ოცდაათზე მეტი ეტიმოლოგიური გადმოცემა: ადგილისა და სახელწოდების ამხსნელი თქმულებები (სურამის ციხე, უფლისციხე, ვარძია, საფარის მონასტერი, მოდინახე, ლოჭინის ხეობა, ცხრაწყარო და სხვა).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრებულში აღმოსავლეთ საქართველოს მთის მითოლოგიური გადმოცემების კორპუსი, რომელიც აქამდე გერმანულ ენაზე ასეთი სრული სახით დაბეჭდილი არ ყოფილა: თქმულებები ღვთისშვილებზე და სხვა ღვთაებებზე (კოპალა, იახსარი, პირქუში, წყაროსთაული, ფუძის ანგელოზი, გუდანის ჯვარი, ლაშარის ჯვარი, ანატორის ჯვარი, სანების ჯვარი, ხახმატის ჯვარი, სომხოს წმინდა გიორგის ჯვარი, სპარსანგელოზი და სხვა), საკულტო მსახურებზე (გამახარე ხოხორდაული, გარა თურმანაული, ალიათ მგელა, თილიძე და სხვა), იღბლიან („ნაწილიან“) გმირებზე (თორღვა ძაგანი, ხოგაის მინდი და სხვა) და რეალურად არსებულ, გამორჩეულ პიროვნებაზე (შიოლა ღუდუშაური, თამარულ ჭინჭარაული, თორღვა ფრანგიშვილი, ზურაბ ერისთავი და სხვა).

წიგნის უდიდესი ნაწილი ისტორიულ გადმოცემებს მოიცავს საქართველოს მეფეებსა და გმირებზე (მეფე ფარნავაზი, მეფე საურმაგი, მეფე მირიანი, მეფე ფარნაჯომი, ფარსმან ქველი, ვახტანგ გორგასალი, თამარ მეფე, მეფე ერეკლე, მეფე სოლომონ I, მეფე სოლომონ II, გიორგი სააკაძე, მაია წყნეთელი, თამრო ვაშლოვნელი, თინა წავკისელი და სხვა).

„ტყის დედოფალი. თქმულებები და მითები საქართველოდან“ მნიშვნელოვანი გამოცემაა არა მხოლოდ ქართველოლოგიის სფეროში, არამედ ზოგადად ფოლკლორისტიკისა და კულტურის მეცნიერებისთვისაც, მით უფრო, რომ კულტუროლოგიური კვლევისთვის კრებულში ფართო ასპარეზია გადაშლილი: მკითხველი ხალხური თქმულებების მეშვეობით ეცნობა ქართველთა ისტორიას, კულტურას, ყოველდღიურ ყოფას, წეს-ჩვეულებებს, რწმენა-წარმოდგენებს, მახვილგონიერებასა და ხალხურ სიბრძნეს. ქართული მითოლოგიური გადმოცემები და თქმულებები ისტორიასა და წინარეისტორიას ასახავენ სპეციფიკურად გადამუშავებული ფორმით, ისინი გვთავაზობენ სურათს სხვადასხვა ეპოქის ყოველდღიური ყოფის, სოციალური ურთიერთობებისა და რწმენა-წარმოდგენებისა.

ბოლოსიტყვაობაში არ არის გამორჩენილი ფოლკლორის აუთენტურობის საკითხიც კი. ქართული თქმულებები სხვადასხვა დროს არის წარმოშობილი. ამასთან, ცხადია, იგულისხმება სხვადასხვა ეპოქათა და კულტურათა გავლენებიც. თქმულებათა მრავალფეროვნებას ქმნის უძველესი მითების ტრანსფორმაცია ქრისტიანობის ეპოქაში, რაც პერსონაჟთა სახელებშიც წარმოჩნდა. ასევე ნათლად ჩანს იდეოლოგიური და სოციალური განვითარების პროცესების ანარეკლიც.

ჰ. ფენრიხის კრებული ქართული თქმულებების მხოლოდ თარგმანს არ წარმოადგენს. ბოლოსიტყვაობაში ნაჩვენები ერთიანობა ისტორიული და მითოსური გადმოცემებისა თქმულებების შერჩევაშიც არის ასახული. გამომცემელს კრებულში თანაბარი რაოდენობით აქვს შეტანილი გადმოცემები ისტორიულ პირებსა და მითოლოგიურ პერსონაჟებზე. ჰ. ფენრიხის ზუსტი დაკვირვებით, თქმულებებისთვის დამახასიათებელია ანაქრონიზმი: ხშირად ერთსა და იმავე თქმულებაში ისეთი ისტორიული პირები გვხვდებიან, რომლებიც სინამდვილეში რამდენიმე საუკუნით განსხვავებულ ეპოქებში ცხოვრობდნენ.

ჰაინც ფენრიხის მიერ გამოცემული ქართული თქმულებები არა მხოლოდ ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციის გამო არის მნიშვნელოვანი, არამედ ბევრად ღირებულია ამ კრებულის გამოჩენა მსოფლიო ფოლკლორისტიკაში, როგორც ანთროპოლოგიური მეცნიერებისთვის ერთ-ერთი აქტუალური წიგნისა.

ელენე გოგიაშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ–პროფესორი ფოლკლორისტიკის დეპარტამენტი

შეხვედრა უნივერსიტეტელებთან

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (დირექტორი ლალი გურასპაული) დედოფლისწყაროს რაიონის სხვადასხვა თაობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს მასპინძლობდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გულთბილი შეხვედრა დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა რაიონული ორგანიზაციის (საპატიო თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი, თავმჯდომარის მოადგილე ნანა ჭიჭინაძე) ინიციატივით და ძალისხმევით, 15 თებერვალს გაიმართა.

შეხვედრას დედოფლისწყაროს ინტელიგენციის წარმომადგენლები და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე წარმოთქმული მისასალმებელი სიტყვების შემდეგ თითოეულმა საპატიო სტუმარმა უნივერსიტეტში გატარებული წლები და სტუდენტობასთან დაკავშირებული საინტერესო დეტალები გაიხსენა. მათ ისაუბრეს განათლების მნიშვნელობასა და უნივერსიტეტის როლზე.

საიუბილეო საღამოს დიდ ხიბლს მატებდა ხელოვნების სკოლის მოსწავლის მალვინა ისმაილოვას მიერ ვიოლინოზე შესრულებული ჯუზეპე ვერდისა და ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ნაწარმოებები.

კურსდამთავრებულებმა უნივერსიტეტის საიუბილეო გამოცემის ლიტერატურულ კრებულში — „ლიტერატურული დაბრუნება“ — ავტოგრაფები დატოვეს და სამახსოვრო სურათებიც გადაიღეს.

საიუბილეო საღამოს დასრულების შემდეგ სტუმრებმა მუზეუმის საგამოფენო დარბაზში 24 წლის თვითნასწავლი მხატვრის ბელა ლობჟანიძის პერსონალური გამოფენა დაათვალიერეს.

მარიკა პოპიაშვილი,
თსუ-ის 1996 წლის კურსდამთავრებული

ინტერვიუ

რეჟისორს სათქმელი უნდა ჰქონდეს

კოტე მირიანაშვილის თეატრალური კრედო

კოტე მირიანაშვილი ის რეჟისორია, რომელმაც საკუთარ თავს შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე ჩამოართვა პირობა — არასოდეს ევლო იოლი და გაკვალული გზით. თეატრალურ საზოგადოებაში მას იცნობენ როგორც ორიგინალური ხედვის, პრინციპულ და ნიჭიერ რეჟისორს, უნივერსიტეტში კი – როგორც საინტერესო ლექტორს, რომლის ლექციაზეც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ რეჟისორის ხელოვნების ურთულეს საფუძვლებს ეზიარონ.

ბატონ კოტეს რედაქციაში შევხვდით. საუბარი ღრმა ფესვებიდან დავიწყეთ და თანამედროვე თეატრალური ხელოვნების პერიპეტიებსაც გადავწვდით, მაგრამ, ყველაფერი გაზეთის ერთმა გვერდმა ვერ დაიტია. ამიტომაც მკითხველის სამსჯავროზე მხოლოდ ის ძირითადი გამოგვაქვს, რომლითაც კარგად ჩანს კოტე მირიანაშვილის ხასიათის შტრიხები, ზნეობრივი პრინციპები და ხედვა, რომელიც რეჟისორის შემოქმედებას მთლიანად გასდევს.

მაია ტორაძე

— ქიზიყელი ვარ. ანაგელი. ჩემი წინაპარი — შანშე მირიანაშვილი ერეკლეს ჯარის მედროშე იყო.

დედა თავადის ქალი გახლდათ — გოგონა ვახვახიშვილი. ძალიან ახალგაზრდული, არტისტული, მხიარული ქალი იყო, გამოირჩეოდა განსაკუთრებული გულისხმიერებით და ამიტომ ძალიან უყვარდათ.

მამა მკაცრი ქიზიყელი სამხედრო ექიმი იყო, ფრონტგამოვლილი. წლების მანძილზე თელავის რაიონის მთავარ ექიმად მუშაობდა და ძალიან კარგ კარდიოლოგად მიიჩნეოდა.

დედამ და მამამ ერთმანეთი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაიცნეს და ერთი ნახვით შეუყვარდათ. ორი კვირა აღმოჩნდა საკმარისი, რათა მამას დედაჩემის ხელი ეთხოვა, მაგრამ არ გააყოლეს — გვარი დაუწუნეს ვახვახიშვილებმა. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც შეუღლდნენ — მამა, როგორც სამხედრო პირი, ვლადივოსტოკში გაანაწილეს და დედაც პირდაპირ იქ წაიყვანა, როგორც ამბობენ, მოიტაცა...

მერე მთელი ცხოვრება თელავში გაატარეს დედამ და მამამ — თბილისში ვერ სუნთქავდნენ, იქ ერჩიათ.

ორი შვილი გაგვზარდეს, მე და ჩემი და — არაჩვეულებრივი ფსიქოლოგი და მეცნიერი დოდო (მარიამ) მირიანაშვილი.

— რეჟისორობის სურვილი საიდან გაჩნდა თქვენში? საერთოდ, სპეციალობების არჩევისას ძალიან ბევრი ირჩევს მშობლების პროფესიას, თქვენს დას და თქვენ კი აბსოლუტურად განსხვავებული პროფესიები გაქვთ...

— პროფესია საკმაოდ რთულად ავირჩიე, უფრო სწორად, რეჟისორობამდე მივედი რთული გზით. ამ მხრივ, მეც და ჩემი დაც გამოვირჩევით. ჩემი და ძალიან ნიჭიერი ადამიანია, მან ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა, ჩააბარა უნივერსიტეტში გერმანულის ენის ფაკულტეტზე და მხოლოდ ამის შემდეგ ისწავლა ფსიქოლოგიურზე.

მე სრულიად აშკარად მინდოდა კინო, ან თეატრალური სფერო, მაგრამ რადგანაც კონკრეტულად ჩამოყალიბებული არ ვიყავი, შეგნებულად წავედი ჯარში. ყველას გაუკვირდა — მამაჩემი საავადმყოფოს მთავარი ექიმი იყო და თავისუფლად შეეძლო, არ გავეშვი, მაგრამ დავსვი საკითხი სახლში: ცხოვრების გაცნობა მჭირდება და ამისთვის სამხედრო სავალდებულო სამსახური უნდა გავიარო-მეთქი. გაგონილი მქონდა, რომ მიხეილ თუმანიშვილი ამბობდა, ვინც სარეჟისოროზე აბარებს, საჭიროა ცხოვრებას იცნობდესო. მე არ ვიცნობდი და ამიტომ, ჯარში წავედი.

ჯარის მერე უნივერსიტეტში დავიწყე სწავლა. მეც უნივერსიტეტელი ვარ, პირველი პროფესიით, გეოგრაფი, მაგრამ, შუა სწავლის დროს მივხვდი, რომ იქ არ ვარ, სადაც უნდა ვიყო და თეატრალურ ინსტიტუტში ტელე-სარეჟისორო ფაკულტეტზე ჩავაბარე. ათი წელი ვიმუშავე ტელევიზიაში და მხოლოდ შემდეგ შევიცვალე კვალიფიკაცია — დრამის რეჟისორი გავხდი. აი, ასე რთულად მოვედი აქამდე.

— საინტერესოა, როგორ „იცვალეთ ფერი“, არ გაგიძნელდათ ასე უეცრად თავის დამკვიდრება აბსოლუტურად სხვა სამყაროში?

— ეს სამყარო ძალიან მიტაცებდა. ერთხელ, სრულად შემთხვევით, ერთ ოჯახში ბატონ მიხეილ თუმანიშვილს შევხვდი და მიუხედავად იმისა, რომ მანამდეც ბევრ რეჟისორთან მქონია ურთიერთობა, საოცრად მოვიხიბლე ამ ადამიანით. იცით, როგორები არიან რეჟისორები? საინტერესოები და რთულები, მეც ამით „გადამიბირეს“.

როცა თეატრალურზე ჩავაბარე, უკვე დიდი ვიყავი, ბევრი ნიგნი მქონდა წაკითხული. ეს ის 70-80-იანი წლებია, როცა ხელოვნების ბუმი იყო საბჭოთა კავშირში და, მითუმეტეს, საქართველოში. მაშინ სარეჟისორო ხელოვნება ყვაოდა, გნებავთ კინო, გნებავთ — თეატრი...

თეატრალურში ჩაბარებამდე ტელევიზიაში, ტელედადგმების რედაქციაში, ასისტენტი ვიყავი და მქონდა ბედნიერება, მემუშავა ეროსი მანჯგალაძესთან, გოგი გეგეჭკორთან, მედეა ჩახავასთან... მაშინ ეს სამყარო შიგნიდანაც დავინახე. ტელეთეატრს მაშინ ბატონი თემურ ჩხეიძე ხელმძღვანელობდა. ეს, ფაქტობრივად, კიდევ ერთი სკოლა იყო, რომელიც გავიარე. თეატრალურში, თემურ ჩხეიძის ჯგუფში, მისი სიყვარულით ჩავაბარე. გახსოვთ ალბათ, რომ ბატონმა თემურმა ტელეთეატრის ჟანრის საუკეთესო ნიმუშები გადაიღო. მისმა „ჯაყოს ხიზნებმა“ და „თეთრმა კურდღელმა“ მაშინ ძალიან დიდი პოპულარობა მოიპოვა.

— გეთანხმებით, იმ პერიოდში ქართული ტელეთეატრი მართლაც საინტერესო იყო...

— დიახ. თემურ ჩხეიძემ გამომსახველობითი საშუალებები, თეატრალური და სატელევიზიო კადრი, მონტაჟი, თეატრალური პრაქტიკა, კულტურა ისე შეაზავა, რომ ძალიან საინტერესო შედეგებს მიაღწია. სწორედ ამიტომ დავინტერესდი ტელესარეჟისოროთი, მაგრამ მერე სხვანაირად წავიდა ამ ჯგუფის ბედი... მე მოვახერხე, მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში გადავედი და დიპლომი ტელედრამაში გავაკეთე. ეს ჩემი ოცნების განხორციელება გახლდათ.

— რა იყო თქვენი სადიპლომო ნაშრომი?

— ჩემი სადიპლომო სპექტაკლი ნოდარ დუმბაძის და მირზა გელოვანის პოეზიის მიხედვით გაკეთდა. სათაური ახლა აღარ მომწონს, მაგრამ ასე ერქვა: „სად ვნახოთ მათი ღიმილი?“. ეს იყო 9 მაისისადმი მიძღვნილი სპექტაკლი ომის თემატიკაზე. მაშინ ვიდეოფირი დეფიციტი გახლდათ და თუ გინდოდა კარგი დიპლომი გაგეკეთებინა, გეგმიური გადაცემა უნდა აგეღო. გეგმაში კი ჩასმული იყო სპექტაკლი ომის თემატიკაზე.

სპექტაკლში თამაშობდნენ ბატონი გოგი გეგეჭკორი და დათო უფლისაშვილი. მყავდა კიდევ პატარა ბიჭი, გოგა დადიანი, რომელსაც სცენარის მიხედვით ომის შესახებ უყვებოდნენ. ამ ბიჭს ამბების მოსმენის შემდეგ ცრემლი სდიოდა და ეს ერთი კარგად დაჭერილი კადრი იყო მთელი ჩემი დიპლომის ფასი.

— როგორია ისეთ კორიფესთან მუშაობა, როგორიც ბატონი გოგი გეგეჭკორი იყო? მე მინახავს, როგორ ემზადებოდა ის კონცერტისთვის „მღერიან და ხუმრობენ თეატრისა და კინოს ვარსკვლავები“ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის, რასაც მაყურებელი სცენაზე ხედავდა, არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც ხდებოდა რეპეტიციებზე... ეს იყო სამსახიობო ნიჭის ზეიმი, აღმაფრენა..

— საერთოდ, რაც უფრო დიდია მსახიობი, მით უფრო რთულია მასთან მუშაობა. სხვათაშორის, ამ კონცერტთან დაკავშირებით, მან საგანგებოდ თეატრში შეაკერინა წაღები ძალიან რბილი ტყავისგან. ეს ძალიან უბრალო ფეხსაცმელია. ზონრით იკვრება, ძველებურ ფეხსაცმელს ჰგავს და ტყავის ძირი გააკეთებინა, რომ ფეხი კარგად გაესვა — იქ ცუდი იატაკიაო.

რაც თქვენ გაიხსენეთ, მე ამას ვხედავდი სახლში. ის უნიკალური მსახიობი იყო. ყოველ დილით აკეთებდა მეტყველების სავარჯიშოს, აუცილებლად იმეორებდა ძველ ტექსტებს, ისეთი სპექტაკლის ტექსტებსაც კი, რომლებსაც ათწლეულობით თამაშობდა.

რაც შეეხება, ჩემი, როგორც დებიუტანტი რეჟისორის მუშაობას კორიფესთან, გეტყვით, რომ მთავარია მსახიობი დააინტერესო. ამას, რა თქმა უნდა, წლების მანძილზე ვსწავლობდი იგივე ბატონ თემურთან და ბატონ მიშასთან. ტელევიზიის რედაქციის პირობა, სადაც უნდა გამეკეთებინა ჩემი სადიპლომო ტელედადგმა, იყო ასეთი, რომ სპექტაკლში აუცილებლად ვარსკვლავი უნდა ყოფილიყო დაკავებული. დიდხანს ფიქრი არ დამჭირვებია. იმ პერიოდში უკვე გეგეჭკორების ოჯახის სიძე გახლდით და ერთად ვცხოვრობდით. ამიტომ ბატონ გოგის მივმართე. დიპლომის თემატიკისა და ჩემი არჩევანის შესახებ კი, ცხადია, მიხეილ თუმანიშვილსაც მოვახსენე. ის ყველას თქვენობით მიმართავდა და მახსოვს, მეც ასე მომმართა — ნუ გგონიათ, რომ ადვილი არჩევანი გააკეთეთ, რადგან თქვენი სიმამრია, თქვენ ის უნდა დააინტერესოთო.

სწორედ ეს მომზადების პროცესი იყო ხანგრძლივი — როგორ ვარჩევდი ტექსტებს, როგორ კეთდებოდა სცენარი, როგორი ამოცანები უნდა დაგვესვა? რა მიზნები გვქონდა? როგორი განწყობა უნდა შეგვექმნა? მოკლედ, რაღაცები მოვიფიქრე და მოხდა ისე, რომ ბატონი გოგი დაინტერესდა. სხვათა შორის, ის შესანიშნავი მკითხველი იყო.

— ბატონო კოტე, როგორც ვიცი, სხვადასხვა თეატრებში დაგიდგამთ სპექტაკლები, სოხუმის თეატრში, თელავის თეატრში... მაგრამ ბევრს არ დგამთ, რა არის ამის მიზეზი?

— კი. ცოტას ვდგამ. ეს უნდა ვაღიარო. საერთოდაც, ამას ობიექტური წინაპირობა აქვს — ჩემს თაობას მაშინ, როდესაც აქტიური პროფესიული საქმიანობა უნდა დაგვეწყო, არეული დრო დაემთხვა. შემეძლო ადვილად მევლო, მაგრამ, ჯარში წასვლისა არ იყოს, ყოველთვის რთულ გზებს ვირჩევ ხოლმე. ალბათ ამ თვისების გამოც იყო, რომ უარი ვთქვი თავის დროზე მიხეილ თუმანიშვილთან მუშაობაზე...

— რატომ? თუმანიშვილთან მუშაობა ხომ რეჟისორისთვის და მსახიობისთვის საოცნებო რამ იყო?

— დიახ, იყო, მაგრამ კინომსახიობთა თეატრი, სადაც ბატონი მიშა მოღვაწეობდა, იყო სახელოსნო, სადაც პატარა წიწილებივით შემოკრებილი იყვნენ მისი მოწაფეები, რომლებსაც ის ზრდიდა. ბევრს უკვირდა მაშინაც ჩემი საქციელი, მაგრამ მე მართალი აღმოვჩნდი — სულ ბატონი მიშას ფრთებქვეშ ყოფნა საბოლოოდ დამღუპველი აღმოჩნდებოდა. სხვათაშორის, მე ისევ და ისევ თუმანიშვილის ფილოსოფიას დავუჯერე. პირველ კურსზე რომ ერთობლივი ნამუშევარი გავაკეთეთ ორმა სტუდენტმა და კიდევ რომ ასე მოვინდომეთ გაგრძელება – გაგვაფრთხილა — ორი რეჟისორი ერთად არ გამიგია — გადადით სხვადასხვა ტროტუარებზეო... მეც გადავედი და მართალი აღმოვჩნდი.

— თელავის თეატრის შემდეგ კი მცირე შემოქმედებითი პაუზა გქონდათ... ამას რამე წინაპირობა ჰქონდა? რატომ მიატოვეთ თეატრი?

— არა. არ მიმიტოვებია. ომმა და უბედურებამ მოგვიწია და უკვე ბოლო სპექტაკლი რომ დავდგი, ლალი როსებას „სახლის ანგელოზები“, ერთერთ წარმოდგენაზე დენი ჩაქრა, ე.წ. „დვიჟოკი“ - გენერატორი გასკდა და სანთლით ხელში სცენაზე გამოსვლამ და მაყურებლისთვის ბოდიშის მოხდა მომიწია. ამის შემდეგ ვთქვი, რომ მორჩა, აღარ შემიძლია, ჰაერში, სიცარიელეში უკვე ვეღარ ვიმუშავებ... წამოვედი და დავიწყე პედაგოგობა. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ვკითხულობდი... ეს საქმე დღესაც ჩემი ერთერთი კუნძულია, სულის მოსათქმელი...

ამის შემდეგ უკვე თბილისში ვმუშაობ. სპექტაკლები დამიდგამს ახმეტელის თეატრში, ერთი მსახიობის თეატრში, სოხუმის თეატრში, რუსთაველის თეატრში და თუმანიშვილის თეატრში. ძირითადად, ახლაც იქ ვმუშაობ.

— თქვენი სპექტაკლები, რაზეც მე გამამახვილებია ყურადღება, სტანდარტული არასოდეს არის. მაგალითად, „კაცია ადამიანი“-ს მიხედვით დადგმული „ჩუპრი - ჩუპარ, დარეჯან!“. საინტერესოა, სტერეოტიპების რღვევა თქვენი ბუნებაა? როგორ მოდის თქვენთან სპექტაკლის შექმნის იდეა?

— სათქმელი უნდა გქონდეს.

ჩვენ ადამიანები ვართ. რაღაცები გვაწუხებს, რაღაცები გვსურს, რაღაცები გვიყვარს, რაღაცები გვძულს... ხელოვან ადამიანს ამის გამოთქმის სურვილი უნდა უჩნდებოდეს და შესაბამის თემატიკას ეძებდეს. ზოგჯერ ეს გაცნობიერებულია, ზოგჯერ - გაუცნობიერებლად მოდის.

ჩემი თვითმიზანი არ არის, რომ მაინცდამაინც განსხვავებული რამ ვთქვა, მაგრამ სპექტაკლი კი განსხვავებული უნდა იყოს, სხვაგვარად აზრი არ აქვს. თუკი ეს შენი ნაფიქრია, ის ორიგინალურიც იქნება. თუ რამ არაორიგინალური და არაგანსხვავებული დამიდგამს, და ნამდვილად დამიდგამს, ეს სპექტაკლი ჩავარდნილა. ერთხელ გავიმეორე ჩემივე დადგმული წარმატებული კომედია... მსგავსი ჩავარდნა არასდროს მქონია. მეორეჯერ არ გამოვიდა სასაცილო. რა მოხდა, ვერ გავიგე.

— რა არის საჭირო სპექტაკლის წარმატებისთვის – ორიგინალური იდეა, კარგი მსახიობი, კარგი რეჟისორი თუ ყველაფერი ერთად?

— რთული საკითხია. სპექტაკლს წარმატებისთვის გარემომაც უნდა შეუწყოს ხელი. მაგალითად, იგივე ლალი როსებას „სახლის ანგელოზები“ - სპექტაკლი, რომელშიც არაერთი კარგი მსახიობი მონაწილეობდა, იყო კარგი პიესა, კარგი დეკორაცია, კარგი მუსიკალური გაფორმება, მაგრამ, ჩემი აზრით, არ იყო წარმატება. ამის გამო ხშირად კამათიც მომსვლია — ვიღაც მიიჩნევდა, რომ ძალიანაც კარგი სპექტაკლი გამოვიდა, მაგრამ მე ვხვდებოდი, რომ ეს იყო ჩავარდნა, რადგანაც მაყურებელმა ძნელად მიიღო ის. იცით, რატომ? სცენაზე ხდებოდა ზუსტად ის, რაც გარეთ — უპატრონო სახლს ეშმაკები დაეპატრონნენ და მიდიოდა ბრძოლა სულისთვის. ამაზეა პიესა. მაყურებელს ეს არ მოეწონა იმიტომ, რომ იგივეს ნახვა, რაც მის გარშემო ხდებოდა, ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა.

აი, რატომ იყო გენიოსი მიშა თუმანიშვილი — ინგრეოდა ქვეყანა, შეიძლება ქუჩაში გასულიყავი და მკვდარზე ფეხი წამოგეკრა ოთხმოცდაათიან წლებში. ამან კი დადგა ზღაპარი სიყვარულზე — „ზაფხულის ღამის სიზმარი“. ეს იყო პირდაპირი გასროლა — ამ სპექტაკლით თუმანიშვილმა სილა გააწნა თანამედროვეობას. ასე რომ, დროსა და სივრცეში არსებობა არის მთავარი... ამით არის უნიკალური დრამატული თეატრი.

— რეჟისორები და მსახიობებიც ხშირად ამბობენ, რომ ყველა როლი და სპექტაკლი ერთნაირად, შვილივით უყვართ. თქვენთვისაც ასეა? თუ გამოარჩევთ რომელიმეს?

— ყველაზე მეტად მიყვარს ჩემი ბოლო სპექტაკლი „ჩუპრი - ჩუპარ, დარეჯან!“ ვთვლი, რომ ეს წარმატებული სპექტაკლია. ამას ჩემი კოლეგებიც მოსაზრებებიც ადასტურებს და მიხარია, რადგან გავაკეთე ის, რისი გაკეთებაც მინდოდა. ამ სპექტაკლში მე და მსახიობი ლაურა რეხვიაშვილი ილიას ვეკამათეთ.

სხვათაშორის, ძალიან კარგად ვითანამშრომლეთ. ლაურა ძალიან ნიჭიერი მსახიობია და ზუსტად ხვდებოდა, რა მინდოდა მეთქვა.

— ბატონო კოტე, თქვენ დღეს ბრძანდებით მოწვეული პედაგოგი თსუ-ის კინო-ტელე რეჟისურის მიმართულებაზე. რომ შევადაროთ, რომელი უფრო რთულია – მსახიობებთან ურთიერთობა თუ სტუდენტებთან?

— განსხვავება არის ის, რომ აქ, როგორც ლექტორმა, ის სამყარო უნდა გავუხსნა სტუდენტს, რომლის შესახებაც წარმოდგენა არ აქვს. თეატრში კი საქმე მაქვს პროფესიონალებთან, რომლებმაც ძალიან ბევრი რამ იციან.

რა თქმა უნდა, სწორია, რომ სწავლების მომენტი თეატრშიც არის — მე მიმაქვს მსახიობებთან ნაწარმოების ჩემეული ინტერპრეტაცია და იგი თავს უნდა მოვახვიო, დავარწმუნო, რომ კარგია და გამოვიყოლო... ეს ყოველთვის ძნელია. მაგალითად, იგივე თუმანიშვილის თეატრის მსახიობების უმრავლესობა მსახიობი-ინტელექტუალები არიან და აქვთ პრეტენზია, რომ ამ როლს თავისებურად ხედავენ. თუ დაარწმუნე, რომ შენი ვერსია კარგია, წამოგყვება, თუ არა და – არა.

უნივერსიტეტში კი უკვე არსებულის აღმოჩენა თავიდან მიწევს. ველოსიპედის გამოგონება არ არის საჭირო, მაგრამ ყოველ ჯერზე ახლებურად უნდა გამოიგონო, რომ ახალგაზრდა გზაზე დააყენო. მერე, თუ ველოსიპედზე იცის სიარული, ის თვითონ წავა, ნახავს და გაიგებს ყველა დანარჩენ ინფორმაციას, რაც მისაღები აქვს.

ძალიან სასიამოვნო პროცესია. მიყვარს, მსიამოვნებს. სტუდენტებთან მუშაობა ბევრ რამეს მაძლევს. ვგრძნობ ახალგაზრდულ მაჯისცემას, მათ აზრებს, ემოციებს. ისინი გულწრფელები არიან, პირდაპირები, რაც ძალიან კარგია ხელოვანისთვის. ამ სემესტრში ვკითხულობ მეტყველების კულტურას, სასცენო მეტყველებას, რომელიც კომუნიკაციისთვის სჭირდება ნებისმიერ ადამიანს და, მით უმეტეს, ამ დარგში, კინო-ტელე რეჟისურაში მომუშავე ადამიანს.

— და ახლა ჩვენთვის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხზეც ვისაუბროთ. თქვენ ხართ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 85 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების რეჟისორი. რა ჩანაფიქრი გაქვთ იმისათვის, რომ ამხელა ისტორია, რაც ამ გაზეთშია თავმოყრილი, საინტერესო და სანახაობრივი იყოს მაყურებლისთვის?

— ვიცი, ამ საქმისგან რა უნდა გამოვიდეს — იუბილე. დანარჩენი ჯერ კიდევ ფიქრის და დამუშავების პროცესშია. ჩემთვის ძალიან ძვირფასია უნივერსიტეტი და აქ მუშაობა, რადგან სანახევროდ უნივერსიტეტელი ვარ. პირველ კორპუსში რომ შევდივარ, გული ისევ ძველებურად მიცემს. ამიტომ, ჩემთვის ეს ღონისძიება დიდი პასუხისმგებლობაა.

საერთოდ, ნებისმიერი სანახაობა არის ფანტაზიისა და მასალისადმი თავისუფალი მიდგომის, ინტერპრეტაციის სფერო. აი, აქ ცოტა სირთულე გვაქვს, რადგან მთლად ისე, როგორც ვხედავ გაზეთის იუბილეს, ვერ გამოვა. არსებობს გამონათქვამი, რომელიც მარჯანიშვილს მიეწერება: „ისეთი რეჟისორი ვარ, სატელეფონო წიგნსაც კი დავდგამ“... მე კოტე კი ვარ, მაგრამ მარჯანიშვილი არ ვარ... ეს ხუმრობით, სერიოზულად კი, მინდა, რაღაცნაირი რეტროსპექტივა გამოგვივიდეს, სადაც გამოჩნდება, რას ასახავდა გაზეთი თავისი არსებობის 85 წლის მანძილზე. აქ გამოჩნდება უნივერსიტეტის გზაც და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების საზოგადოებრივი ანარეკლიც... გარეგნულ, ანუ სანახაობრივ მხარეს ჯერ არ გავთქვამ...

— თქვენი ოჯახის წევრებზე რას გვეტყოდით, აგრძელებენ თუ არა ტრადიციებს?

— მყავს მეუღლე — თეატრმცოდნე მანანა გეგეჭკორი, შვილი – ანა, ხელოვნებათმცოდნე, სიძე – ვანო დუგლაძე, მსახიობი, და ჩვენი ოჯახის ყველაზე დიდი კაცი — შვილიშვილი ანდრია, რომელიც პაპასთვის ყველაფერია. გულწრფელად წუხს, რომ მამასავით კუნთები არ აქვს და თან არჩევანშია შესული — რა ქნას, ელენე უყვარს, მაგრამ ტუსამ უნდა დააქორწინოს და ამისთვის გვირგვინი სჭირდება.... აი, ასე, მთლად ზედმიწევნით არა, მაგრამ ოჯახური ტრადიციებს მაინც ვაგრძელებთ...

ანსამბლ „უნივერსიტეტის“ ახალი სახეები

ნატო ოგოლაძე

სტუდენტური ცხოვრების ერთერთი განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტია“, სადაც არაერთი ქართული ხალხური სიმღერების ღირსეული შემსრულებელი აღი ზარდა. დღეისათვის მას პირველი თაობის „უნივერსიტეტელი“, „ქართული ხმების“ სოლისტი ვასიკო დოლიძე ხელმძღვანელობს და უკვე ანსამბლის მესამე თაობის მომღერლებს ზრდის.

ახალი წევრების შესარჩევად თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა კონკურსი გასული წლის ნოემბერში ჩაატარა. ანსამბლში სიმღერის სურვილი ბევრმა გამოთქვა, თუმცა მათგან შერჩევა მაინც რთული აღმოჩნდა — კანდიდატებს კარგ ვოკალურ მონაცემებთან ერთად გუნდში სიმღერის უნარისა და გარეგნობის მიხედვითაც აფასებდნენ. თუმცა კონკურსმა წარმატებით ჩაიარა, შეირჩა 14 სტუდენტი — გიორგი ხარაბაძე, გიორგი გოგოსაძე, ომარ ხატიაშვილი, აკაკი კაკაჩია, გიგა გოგიჩაძე, მიხეილ სადაღაშვილი, სოსო ლაფანაშვილი, მირიან მერკვილაძე, გიორგი ნადიბაიძე, დავით ნათაძე და ედიშერ ბენდიანაშვილი. მათ უმეტესობას სხვადასხვა ფოლკლორულ ანსამბლებში სიმღერის გამოცდილება უკვე აქვს, თუმცა ნაწილი ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს. აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე მათგანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სწორედ იმის გამო ჩააბარა, რომ „უნივერსიტეტში“ ემღერა. ახალ წევრებთან ერთად ანსამბლში ისევ მღერის „უნივერსიტეტის“ მეორე თაობის წარმომადგენელი ალექსანდრე ზაკიშვილიც. რაც მთავარია, სხვადასხვაგვარი გამოცდილების მიუხედავად, ანსამბლის ყველა მომღერალს ქართული ფოლკლორის სიყვარული და მსმენელამდე ქართული მრავალხმიანი სიმღერის სილამაზის მიტანა აერთიანებთ.

„ბავშვობაში „მართვეში“ ვმღეროდი, შემდეგ ეკლესიაში ვგალობდი, ვმღეროდი „უნივერსიტეტის“ მეორე თაობაშიც. ერთი წელი მქონდა ჩავარდნა, შემდეგ ვასიკომ დამირეკა და მაცნობა, რომ ახალი გუნდი იკვრებოდა. ახლა ახალ კოლექტივთან ერთად ახალ სიმღერებს ვსწავლობთ, ვავსებთ რეპერტუარს, იმედი მაქვს, მომავალში ერთად გამოვჩნდებით“, — გვითხრა ალექსანდრე ზაკიშვილმა.

ანსამბლ „უნივერსიტეტი“ ამჟამად ახალი რეპერტუარზე მუშაობს, სადაც როგორც ქართული ხალხური, ასევე, ქალაქური სტილის სიმღერებიც შევა. მომღერლები რეპეტიციებს კვირაში სამ დღეს უთმობენ. ჩვენც მათ სამუშაო პროცესის დროს ვესტუმრეთ. შეხვედრა უშუალო და მეგობრულ გარემოში წარიმართა. „უნივერსიტეტელები“ საკუთარი გამოცდილების, საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ გვესაუბრნენ.

გიორგი გოგოსაძე: „ადრეული ასაკიდან ვმღერი, ჯერ ანსამბლ „ბაგრატში“ ვმღეროდი, საკმაოდ წარმატებული ანსამბლი იყო, რომელიც შემდეგ დაიშალა. თსუ-ში ჩაბარების მთავარი მიზეზი ანსამბლი „უნივერსიტეტი“ იყო, ძალიან მინდოდა აქ მემღერა“.

ომარ ხატიაშვილი: „აქამდე არცერთ გუნდში არ მიმღერია, როდესაც ბატონმა ვასიკომ შეგვარჩია, ძალიან გამიხარდა. ჩემთვის ასეთ ანსამბლში მოხვედრა დიდ მიღწევად ითვლება. კვირაში სამი დღე ერთად ვმუშაობთ, რაც ძალიან სასიამოვნო პროცესია. აქ მარტო სიმღერის გამო არ ვართ, კიდევ ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობთ ხელმძღვანელისგან. პირადად მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ვასახელო უნივერსიტეტი და ჩვენი ხელმძღვანელის შრომა დავაფასო“.

გიგა გოგიჩაძე: „სანამ აქ მოვიდოდი სამ ანსამბლში ვმღეროდი, მაგრამ იქ ხელმძღვანელებთან არ მქონდა კარგი ურთიერთობა და ამიტომ წამოვედი. ერთხელ, უნივერსიტეტის ეზოში ვიჯექი, როდესაც ერთერთი ჩვენი გუნდის წევრი მოვიდა და შემომთავაზა ქასტინგი გამევლო. ასე აღმოვჩნდი „უნივერსიტეტში“ და მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხანია რაც აქ ვარ, ბევრად მეტი ვისწავლე, ვიდრე სხვაგან წლების განმავლობაში“.

სოსო ლაფანაშვილი: „ბავშვობიდან სიმღერას ჩემს ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს. დავდიოდი სხვადასხვა ანსამბლებში და გვქონდა გამოსვლები ფილარმონიაში, სპორტის სასახლეში. აქ გადავწყვიტე სიმღერის გაგრძელება და ახლა უკვე ხშირად ვამბობ, რომ ეს ანსამბლი ჩემი მეორე ოჯახია“.

გიორგი ხარაბაძე: „ჩვენს ანსამბლში ყველა ერთმანეთის მიმართ მეგობრულად არის განწყობილი. თბილი დამოკიდებულება გვაქვს ხელმძღვანელთან, რომელიც ძალიან კარგი ადამიანია, თუმცა საქმეში მკაცრია. ვფიქრობ, ეს სწორია, რადგან აქ ყველა ერთმანეთზე ვართ დამოკიდებული“.

თსუ-ის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის „უნივერსიტეტი“ რეპერტუარში უკვე ერთი უცხოენოვანი სიმღერაც შედის — „თსუ არტთან“ ერთად შესრულებული საერთაშორისო სტუდენტური ჰიმნი „GAUDEAMUS“, რომელიც მათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო ღონისძიებაზე იმღერეს. სიმღერამ საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. თუმცა, ანსამბლის წევრები, ძირითადად, ცდილობენ, რომ რეპერტუარში საქართველოს ყველა კუთხის ხალხური სიმღერა შეიტანონ, უფრო მეტად კი ვოკალური თვალსაზრისით რთულად შესასრულებელ სიმღერებს ირჩევენ.

„ძალიან კარგი ბიჭები არიან, მონდომებულები, რაც მთავარია უყვართ სიმღერა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კარგ ადამიანებად ჩამოყალიბდებიან. ჯერ მხოლოდ რამდენიმე თვეა, რაც შევიკრიბეთ და ვცდილობთ ყველაფერი, რაც კარგია და ქართულია, რეპერტუარში შევიტანოთ. ქართველი კომპოზიტორების სიმღერებიც გვაქვს, მაგალითად რევაზ ლაღიძის. გამოვდივართ სხვადასხვა გალა-კონცერტებზეც. სხვათა შორის უნივერსიტეტის იუბილეზე შესრულებული ჰიმნი ძალიან მოეწონათ, აპირებენ, რომ კლიპი გადაიღონ და ერთერთ საერთაშორისო კონკურსზე გაგზავნონ, თუმცა დეტალები ჯერ დაზუსტებული არ არის“, — განაცხადა ანსამბლ „უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელმა ვასიკო დოლიძემ.

ამ ეტაპზე მესამე თაობის „უნივერსიტეტის“ მთავარი მიზანი მრავალფეროვანი და საინტერესო რეპერტუარის ჩამოყალიბებაა, რის შემდეგაც ანსამბლის საქმიანობის დღის წესრიგში გასტროლების გეგმაც გაიწერება.

კაკო ჩიქობავა: „მომავალი ჰუმანიტარების ხელშია“

შურთხია ბეროშვილი

კაკო ჩიქობავას ჯიუტად სჯერა ერთი ჭკვიანი ადამიანის, რომელიც ამტკიცებს, რომ „მომავალი ჰუმანიტარების ხელშია“, თუმცა ისიც კარგად იცის, რომ შესაძლოა, ეს ჯერჯერობით შორეული მომავალია...

ახალგაზრდა მეცნიერს ერთი, მეცნიერისთვის მართლაც საჭირო თვისება აქვს — სიჯიუტე, მეორე კი — არანაკლებ საჭირო — თავისი საქმის უზომო სიყვარული, სხვანაირად გაუგებარი იქნებოდა მისი აზრი იმის შესახებ, რომ დღეს პერსპექტივაზე და კარიერაზე მეცნიერმა ნაკლები უნდა იფიქროს.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის მიმართულების დოქტორანტი პროფესიის სიყვარულს და თავის მიღწევებს მის პედაგოგს, პროფესორ თედო დუნდუას უმადლის. „სკოლა რომ დავამთავრე, ისტორიის ფაკულტეტზე ჩავაბარე, რადგან, გარდა იმისა, რომ ეს საგანი განსაკუთრებით მიყვარდა, ნაკლები კონკურსი იყო. სწავლის პერიოდში, მივხვდი, რომ არჩევანში არ შევმცდარვარ. ბატონი თედო დუნდუა ჩემი ერთერთი ხელმძღვანელი გახლდათ, რომელმაც თავიდანვე ჩამაბა სამეცნიერო საქმიანობაში. ხშირად ვიღებდი კონფერენციებში მონაწილეობას, რაც ჩემთვის ერთგვარი სტიმული იყო, დღეს უკვე 20-მდე ნაშრომის ავტორი ვარ“, — ამბობს კაკო ჩიქობავა.

ახალგაზრდა მეცნიერმა სპეციალობად საქართველოს ისტორიული გეოგრაფია და საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია აირჩია, თუმცა, ანტიკურ პერიოდზეც აქვს რამდენიმე ნაშრომი დაწერილი. მისი პირველი წიგნი „ოდიში — აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია XV – XVII საუკუნეებში“ მარტის ბოლოს გამოვა, რაც, მისი აზრით, სერიოზული წარმატებაა. „ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი და სასიხარულო ფაქტია. ამით ჩემი, როგორც ახალგაზრდა მეცნიერის, ოფიციალურად დაფიქსირება მოხდება, ამასთან, დიდი სტიმულია, რომ მომავალში უფრო მეტი გავაკეთო ჩემს სფეროში“.

კაკო ჩიქობავა გულწრფელია მაშინაც, როდესაც ამბობს, რომ მატერიალურ კეთილდღეობაზე და პერსპექტივაზე ნაკლებად ფიქრობს. „თუ გსურს, მეცნიერებას სერიოზულად ემსახურო, ამაზე არ უნდა იფიქრო და თავი ბოლომდე უნდა გადადო, სხვა შემთხვევაში ვერაფერს მიაღწევ. ჰუმანიტარული მეცნიერებები საქართველოში ნაკლებად პერსპექტიულია, რადგან საქართველოს ისტორია ბაზარზე ორიენტირებული არ არის, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მეცნიერება საჭიროა. მართალია, ჩვენ არ ვქმნით ხელშესახებს და მატერიალურს, მაგრამ, სამაგიეროდ, ვქმნით — იდეურს, რომელიც მატერიალურის შესაქმნელად გამოიყენება“.

ახალგაზრდა მეცნიერის აზრით, ისტორია ინტერპრეტირების ხელოვნებაც არის, ამასთან, ამ პროფესიის ადამიანი სხვა სფეროებშიც კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებული, რათა სწორად შეაფასოს წარსულში მომხდარი ფაქტები. ისტორიკოსი აქტიურად ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე პროცესებს, თუმცა, შეფასებისგან თავს იკავებს. მისი აზრით, უახლესი ისტორიის დაწერა შეუძლებელია, რადგან დაახლოებით 80 წელი მაინც უნდა იყოს გასული, რომ ობიექტურად შეფასდეს მოვლენები.

კაკო ჩიქობავა ამჟამად აქტიურად ჩართვას გეგმავს ახალ პროექტში — „ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი“, რომელიც შოთა რუსთაველის ფონდის დაფინანსებით და თსუ-ის თანადაფინანსებით განხორციელდება ახალგაზრდა მეცნიერების მიერ თსუ-ის პროფესორის თედო დუნდუას ხელმძღვანელობით. „რამდენიმე დღის წინ გავიგეთ, რომ ჩვენმა პროექტმა გაიმარჯვა, რამაც ძალიან გაგვახარა. ამ ლექსიკონში, რომელიც ჩვენ მიერ მომზადდება, საქართველოში აღმოჩენილი ყველა მოჭრილი მონეტის ტიპი აღიწერება. ეს იქნება საძიებო კატალოგი, რომლითაც შეუძლია ისარგებლონ როგორც მეცნიერებმა, ასევე, სხვა დაინტერესებულმა პირებმა, ვისაც სურვილი გაუჩნდება გაიგოს ქართული მონეტის ისტორია და შეეძლება მოძებნოს მისთვის სასურველი მონეტა“, — ამბობს კაკო ჩიქობავა.

უცნაურია, რომ ახალგაზრდა ისტორიკოსს მოგზაურობა არ უყვარს. იგი გატაცებულია ლიტერატურით, მისი საყვარელი მწერლები არიან ბორხესი და ბეკეტი, მიიჩნევს, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურა კრიზისშია, თუმცა, ქართული პოეზია უყვარს.

სამომავლო გეგმებში ბუნებრივია, დისერტაციის დაცვა შედის. მისი სადისერტაციო თემა იქნება „განვითარებული ფეოდალიზმის გენეზისი საქართველოში და მასთან დაკავშირებული ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები“. ამბობს იმასაც, რომ ისტორიაში თეორიული მსჯელობები უფრო აინტერესებს, ვიდრე პერიოდიზაციის აღწერილობა. მისი აზრით, ისტორიკოსმა ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს, რომ კონკრეტული ეპოქის სურათი მიიღოს.

კაკო ჩიქობავამ იცის, რომ ისტორიკოსობა სიძნელეების გადალახვას მოითხოვს და ამისთვის მზად არის...

ტარიელ ხარხელაური – „კაცი რომელიც ჰგავდა თავის თავს“

14 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან არსებული „კლუბი 93-ე აუდიტორიის” ეგიდით ქართველი პოეტის ტარიელ ხარხელაურის საღამო გაიმართა, რომელმაც სრული ანშლაგით ჩაიარა. ცნობილმა ქართველი ლიტერატორებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, თსუ-ის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს მისი შემოქმედებითი გზა, ისაუბრეს ტარიელ ხარხელაურის პოეზიაზე, წაიკითხეს პოეტის ლექსები, საღამოზე შესრულდა ტარიელ ხარხელაურის ლექსებზე დაწერილი სიმღერები.

შურთხია ბეროშვილი

„35 წლის წინ აქ ვიდექი და მთლიანად ვცახცახებდი.... ახლაც ისევე ვღელავ, როგორც მაშინ... ჩემთვის ეს საღამო ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ჩემი პოეზია პირველად უნივერსიტეტში, 93-ე აუდიტორიაში გაიცნო მკითხველმა, ალბათ ეს დღეც დაუვიწყარი იქნება“, — მიმართა პოეტმა დარბაზს, სადაც მისი პოეზიის მოყვარულები, მათ შორის 70-80-იანი წლების „93-ე აუდიტორიელები“ შეიკრიბნენ.

70-80-იან წლებში ხევსური მწყემსი ბიჭის პოეზიამ მოხიბლა და ააღელვა ქართველი მკითხველი. მისი ლექსები ხელიდან ხელში გადადიოდა, პოეზიის მოყვარულებს ახალგაზრდა პოეტის რომანტიკული ცხოვრება არანაკლებ იზიდავდათ. ტარიელ ხარხელაურის პოეზია, როგორც კრიტიკოსები შენიშნავენ, უპირველეს ყოვლისა, იმითაც არის გამორჩეული, რომ ის „ნამდვილი“ და გულწრფელია. ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატორი როსტომ ჩხეიძე თვლის, რომ მითი იმის შესახებ, რომ დღეს პოეზიამ მკითხველი დაკარგა, არასწორია და ტარიელ ხარხელაურის შემოქმედება ამის კარგი მაგალითია.

„თუ პოეზიამ მკითხველი დაკარგა, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენ არ ვარსებობთ. სინამდვილეში, მკითხველი დაკარგა ყალბმა და ცრუ, სუროგატმა პოეზიამ, ხოლო რაც ნამდვილია, იმას მკითხველი და დამფასებელი ყოველთვის ეყოლება. ხშირად მომხდარა, როდესაც პოეტი დიდი ეფექტით შემოსულა ლიტერატურულ ასპარეზზე და შემდეგ ჩანავლებულა. ტარიელს ეს არ დამართნია. მას კოსმიური გაქანება აქვს. ვაჟასა და ალექსანდრე ყაზბეგის სამყაროდან მოდის და იმ სტილით და სულით ცხოვრობს. მას შეუძლია ეს ფასეულობანი ახალ დროშიც გაიმეოროს და შეინარჩუნოს. იგი შესანიშნავი პოეტია და ვაჟას „კაი ყმას“ მოგაგონებთ, რომელიც, ზნეობრივი კანონებით ცხოვრობს, ამიტომაც მისი პოეზია დიდ გავლენას ახდენს ადამიანებზე“, — განაცხადა როსტომ ჩხეიძემ.

შემოქმედებით საღამოს უნივერსიტეტის ის პროფესორ-მასწავლებლებიც ესწრებოდნენ, ვინც ტარიელ ხარხელაურს ასწავლიდნენ და იმ პერიოდიდან ადევნებდნენ თვალს პოეტის შემოქმედებით ზრდას. „ტარიელი ჩემი სტუდენტი იყო იმ დროს, როდესაც ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ვიყავი. მაშინ თსუ-ში ახალგაზრდა მწერალთა წრე ფუნქციონირებდა და ჩვენ ხშირად ვტკბებოდით მისი ლექსებით. გამორჩეული და საინტერესო იყო ტარიელის ცხოვრებაც, ყოველთვის ინტერესით ვადევნებ თვალს მის შემოქმედებას“, — ასე გაიხსენა საყვარელი სტუდენტი პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ.

„ტარიელის პოეზიაზე ლაპარაკი ძნელია, იგი დიდი ტკივილის მატარებელი კაცია, რომელმაც ყველაფერზე გაიმარჯვა და ამაღლდა... ამ რთულ დროში ტარიელისნაირი ადამიანების არსებობა იმას ნიშნავს, რომ იმედი არ უნდა დავკარგოთ, რომ არ წამხდარა არც კაცობა და არც ნიჭიერება“, — ამგვარად გამოხატა თავისი დამოკიდებულება პოეტმა ერეკლე საღლიანმა.

ტარიელ ხარხელაურთან ერთად გატარებული სტუდენტური წლები ემოციურად გაიხსენა პოეტმა ეთერ თათარაიძემ: „უნივერსიტეტი ჩვენთვის ძალიან მშობლიურია. მახსოვს, რა „მოუთვინიერებელი“ ახალგაზრდა იყო ტარიელი, მას თავისი „შეუხედაობითაც“ გამოარჩევდით. ისიც კარგად მახსოვს, როგორ გაიპარებოდა ლექციებიდან წყალმოწყურებული ირემივით — ძლივს ჩამოგვყავდა თბილისში, ლექციებზე... მან ბევრი ტკივილი განიცადა, მაგრამ ძალიან ძლიერი ადამიანია, — ყველაფერს მოერია. მისი წარმატება უნივერსიტეტის დამსახურებაც არის, ამიტომ ბედნიერი ვარ, რომ მას კვლავ აქ ვხვდებით“.

ტარიელ ხარხელაურის „ლექსის დღესასწაულს“ მრავალი მისი პოეზიის გულშემატკივარი და თაყვანისმცემელი დაესწრო, მათ შორის, ჩეჩნური დიასპორას წარმომადგენელი მექა ხანგოშვილი, რომელმაც ტარიელ ხარხელაურის ჩეჩნურ ენაზე თარგმნილი ლექსი წაიკითხა. საღამოზე თსუ-ის ანსამბლმა „გორდელამ“, მომღერლებმა: დათო კენჭიაშვილმა და ეკა ბაიაშვილმა პოეტის ლექსზე შექმნილი სიმღერები შეასრულეს.

ტარიელ ხარხელაურს მიესალმა თსუ-ის რექტორის მოადგილე ავთანდილ ჩუთლაშვილი. მის შემოქმედებაზე ისაუბრეს — თსუ-ის პროფესორმა ტრისტან მახაურმა, პოეტმა გელა დაიაურმა, ლელა რაზიკაშვილმა, მეუფე თადეოზმა, მამა პეტრე კვარაცხელიამ და სხვებმა. შემოქმედებით საღამოს კი თსუ-ის სტუდენტები თორნიკე კიღურაძე და მარიამ კუბლაშვილი უძღვებოდნენ.

ღონისძიების მასპინძელმა, თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა და „კლუბი – 93 აუდიტორიის“ დამფუძნებელმა ზურაბ გაიპარაშვილმა ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებასა და კლუბის აღდგენის მნიშვნელობაზე ისაუბრა: „ბედნიერი ვარ, რომ დღეს აქ ახალგაზრდებთან ერთად ჩემი თაობის „ახალგაზრდებსაც“ ვხედავ. ვისაც 70-80-იანი წლების უნივერსიტეტი ახსოვს, მან კარგად იცის იმ პერიოდის ლიტერატურული პროცესები, რომელიც უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, 93-ე აუდიტორიაში მიმდინარეობდა. აქ ყოველ სამშაბათს, ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომები იმართებოდა. აუდიტორია კი მართლაც სავსე იყო ნიჭიერი, ახალგაზრდული მაქსიმალიზმით და რომანტიზმით სავსე ადამიანებით. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში, თსუ-ში ბევრი კარგი ტრადიცია მოიშალა, მათ შორის, აღარ იყო 93-ე აუდიტორიაც. თსუ-ის ბიბლიოთეკის ინიციატივით, ეს ტრადიცია აღსდგა. პროექტის „კლუბი — 93 აუდიტორია“ ფარგლებში ჩვენ ვეპატიჟებით იმდროინდელ სტუდენტებს, დღეს უკვე ცნობილ პოეტებსა და მწერლებს და მათ შემოქმედებას კიდევ ერთხელ ვიხსენებთ. დღეს ამ კლუბის სტუმარია ჩვენი თაობის ყველაზე საინტერესო, უდავოდ გამორჩეული პოეტი ტარიელ ხარხელაური“, — აღნიშნა ზურაბ გაიპარაშვილმა, რომელმაც თავისი გამოსვლის ბოლოს „დააზუსტა“, რომ იმ დღის მთავარი „მასპინძელი“ თავად პოეტი იყო, კაცი, „რომელიც ჰგავდა თავის თავს“.

წმიდა დავით აღმაშენებლის ტაძარი

შურთხია ბეროშვილი

არც თუ ისე შორეულ წარსულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღი პატარა ტაძარმა დაამშვენა. ეკლესიის მშენებლობა, ქართული ინტელიგენციის თხოვნით, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და უნივერსიტეტის იმჟამინდელი რექტორის რაინ მეტრეველის ხელშეწყობით 1994 წელს დაიწყო და ერთ წელიწადში დასრულდა. 1995 წლის 5 სექტემბერს ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა მეუფე დანიელმა ტაძარი აკურთხა და პირველი საზეიმო წირვა აღავლინა.

„შემთხვევითი არ არის, რომ ეს ტაძარი მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობისაა, რადგან სწორედ მის სახელს უკავშირდება უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლის, გელათის აკადემიის დაარსება, პირველი ქართული უნივერსიტეტიც ხომ გელათის აკადემიის ტრადიციების გამგრძელებლად მოიაზრება. ჩვენ დიდ წინაპრებს სჯეროდათ, რომ არ არსებობს ჭეშმარიტი მეცნიერული ცოდნა სარწმუნოების გარეშე, ისევე, როგორც არ არსებობს ჭეშმარიტი სარწმუნოება მეცნიერული ცოდნის გარეშე. ამიტომაც არის ასე მნიშვნელოვანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტაძრის არსებობა“, — ამბობს წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის მოძღვარი მამა იოსებ გელუკაშვილი.

ტაძარი თავისი არქიტექტურით ჯვარ-გუმბათოვანია და ემსგავსება სამწვერისის ეკლესიის შემცირებულ მოდელს. თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესია ბაზალტის ორსაფეხურიან ცოკოლზეა აღმართული, კედლები მოყვითალო ფერის სუფთად თლილი ფილებითა და ღია მონაცრისფრო ტონალობის ქვებით არის მოპირკეთებული. პროექტის ავტორია არქიტექტორი გიორგი მარსაგაშვილი.

ეკლესიაში დაცულია რამდენიმე ძველი ხატი, მათ შორის „ყაზანის ღვთისმშობელი“, ღვთისმშობლის სამხელიანი ხატი (ტრიხერუსა), „ღვთისმშობელი და წმინდა ნიკოლოზი“. თანამედროვე ხატთაგან აღსანიშნავია: წმიდა მიქაელისა და წმიდა გაბრიელის, წმიდა დავით გარეჯელის, წმიდა გიორგის, წმიდა დავით აღმაშენებლის, ჯვარცმისა და კანკელის ხატები. ტაძარი მოხატულია ხატმწერების დავით აბრამიასა და ამირან გოგლიძის მიერ.

ტაძრის ეზოში მდებარეობს V-VI საუკუნეების ბაზალტის სტელა ახალქალაქის ნასოფლარ დანკალიდან. მასზე გამოსახულია წმინდანის ფიგურა, სიცოცხლის ხე და ჯვარი.

მამა იოსების ინფორმაციით, ერთი წლის წინ მრევლის შემოწირულობით შესაძლებელი გახდა განახლებულიყო ტაძრის ინტერიერი, უფრო ადრე შეიცვალა საკურთხევლის ტრაპეზი, განახლდა ასევე ტაძრის იატაკი და კანკელი. ვერცხლის ჩარჩოთი შეიმკო კანკელის — მაცხოვრის, ღვთისმშობლისა და წმიდა დავით მეფის ხატები, რომლებიც შესრულებულია ცნობილი ხატმწერების — დავით აბრამიასა და მიხეილ ამბოკაძის მიერ, მათივე მოხატულია სამრეკლოც. მოგვიანებით, 2000 წელს აშენდა სამრეკლო, ხოლო შარშან აშენდა ახალი წყალკურთხევის შენობაც.

„წმიდა დავით აღმაშენებლის ტაძარს საკმაოდ დიდი მრევლი ჰყავს, მათ შორის არიან უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღევლინება ყოველ შაბათ-კვირას, საუფლო დღესასწაულებზე და ქართველ წმიდანთა ხსენების დღეებში. აღსანიშნავია, რომ ტარდება პარაკლისები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერების დაბადების და გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით. ჩვენი ვალია, არ დავივიწყოთ და მომავალ თაობებს ჩავუნერგოთ ამ დიდი მეცნიერების მიმართ პატივისცემა, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში“, — ამბობს მამა იოსები.

თსუ გორდელა 5 წლისაა

„თსუ გორდელა“ 5 წლისაა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილს სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში ანსამბლის სოლო კონცერტი და დოკუმენტური ფილმის „თსუ გორდელას“ პრეზენტაცია გაიმართა. ფილმი ანსამბლის შექმნის ისტორიას და მათ შემოქმედებას შეეხება.

შურთხია გეროშვილი

„ეს გოგონები მალე მთელ მსოფლიოში გაითქვამენ სახელს და საქართველოს ასახელებენ“, — ამბობს კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი ფილმში, სადაც მოთხრობილია როგორ დაიწყო ანსამბლმა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა. 2007 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ბაზაზე, თამაზ ყურაშვილის და ანსამბლ „ურმულის“ სოლისტის თამაზ მამალაძის თაოსნობით შექმნილმა გოგონების ანსამბლმა მაყურებლისა და მსმენელის დიდი სიყვარული სცენაზე გამოჩენისთანავე დაიმსახურა. მათი წარმატების ერთერთი „საიდუმლო“ იმ უძველესი საკრავების და ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერების „გაცოცხლებაა“, რომელიც მათ ანსამბლის ხელმძღვანელის თამაზ მამალაძის დახმარებით შეძლეს.

„თსუ — გორდელა“ ანსამბლი ყველა ტრადიციული ფესტივალის და კონკურსის მონაწილეა. ანა გულედანი, თამუნა ალადაშვილი, ქეთი კვირკელია, თეა ქირია, სოფო ქირია, ნინო კაციტაძე, ნატალია ბაბაშვილი და ნათია ხმალაძე ქართული მრავალხმიანი სიმღერებს უძველესი ხალხური საკრავების თანხლებით ფანდურის, კონტრაბასის, ჭუნირის, ჭიბონის, გარმონის, დოლის, დიპლიპიტოს, ჩონგურის, ბონგოს, სალამურის თანხლებით ასრულებენ. ანსამბლის რეპერტუარი მდიდარია, და თან ყოველი კონცერტი ახალი სიმღერით თუ კომპოზიციით მდიდრდება. ამისთვის ისინი ბევრს შრომობენ, მიუხედავად ამისა, ვერც ანსამბლის ხელმძღვანელს თამაზ მამალაძეს და ვერც გოგონებს წარმოედგინათ, რომ ანსამბლი ასეთ დიდ პოპულარობას მოიპოვებდა.

თაკო ალადაშვილი: საყვარელ საქმეს საყვარელ ადამიანებთან ვაკეთებ — თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად ცხოვრებაში ყველაფერს მიეცა აზრი.

ანი გულედანი: ეს დიდი ოჯახია, სადაც ერთ საქმეს ვემსახურებით, ყოველდღიურად ვშრომობთ და ვწვალობთ, რათა ღირსეულად წარვდგეთ მაყურებლის წინაშე. მინდა, ამისთვის ჩვენს ხელმძღვანელს და თითოეულ ანსამბლის წევრს მადლობა გადავუხადო.

სოფო ქირია: ამ გრძნობას სიტყვებით ვერ აღვწერ, რას ნიშნავს ჩემთვის „თსუ გორდელა“, ეს ჩემი ოჯახია, სადაც ყოფნა და სიმღერა დიდი სიამოვნებაა.

ნინო კაციტაძე: ამ ანსამბლს დაახლოებით ორი წელია შემოვუერთდი. ძალიან რთული სამუშაოა, მაგრამ ასეთ კარგ გარემოში ყველაფერი გამიადვილდა.

ქეთი კვირკველია: თითოეულ წევრს დიდი წვლილი შეაქვს ანსამბლის განვითარებაში. რა თქმა უნდა, ამას სჭირდება ისეთი ხელმძღვანელი, როგორიც თამაზ მამალაძეა. ჩვენ ყველაფერს ერთად ვქმნით და ვცდილობთ, მაყურებლის წინაშე აკადემიურად წარვდგეთ.

„თსუ გორდელას“ შემოქმედებას დადებითად აფასებს ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხალხურ შემოქმედებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ყოველთვის და ეს შემთხვევითი არ არის. როგორც მოგეხსენებათ, ეს არის ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტი და უმთავრესი საგანმანათლებლო კერა საქართველოში, ამიტომ თსუ-ს რომ ჰყავდეს შემოქმედებითი ანსამბლი, ყოველთვის წასახალისებელია. მათი რეპერტუარი მრავალფეროვანია, ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ თითოეული ანსამბლის წევრი ყველა ინსტრუმენტზე უკრავს. ამ ანსამბლის საორკესტრო ნაწილი იმდენად საინტერესოა თავისი გადაწყვეტით, რომ სიმღერის გარეშეც კი საინტერესო მოსასმენია. საქები სიტყვები უნდა ვთქვათ ანსამბლის ხელმძღვანელის თამაზ მამალაძის მიმართ, რომელმაც სული ჩაუდგა ამ ანსამბლს, მისი მოღვაწეობა ნამდვილად დასაფასებელია“.

ფილმში „თსუ გორდელა“ გოგონების შემოქმედებას აფასებენ თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, მომღერლები: ნინო ქათამაძე, ნუკრი კაპანაძე, მუსიკოსი გია ბაღაშვილი, კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი, თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის თანამშრომელი თენგიზ ყურაშვილი და სხვები.

„ამ ანსამბლზე ფილმის გადაღება ოპერატორ გიორგი ბაბილოძესთან ერთად იმ უბრალო მიზეზის გამო გადავწყვიტე, რომ თითოეული მათი გამოსვლა ზეიმია, ამიტომ შევეცადე დავხმარებოდი მათ, ისინი ამას იმსახურებენ, ფილმი გულით მიძღვნილი საჩუქარია“, — ამბობს ფილმის რეჟისორი რამაზ ბალუაშვილი.

„თსუ გორდელას“ სოლო კონცერტს და ფილმის პრეზენტაციას თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილიც დაესწრო, რომელმაც ანსამბლის შემოქმედებაზე ისაუბრა. „დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ დღეს ამ გოგონების მოსასმენად დარბაზში უამრავი ახალგაზრდა ზის, ეს მათთვისაც კარგი მაგალითია, სასიამოვნოა, რომ ანსამბლის სახელი გასცდა უნივერსიტეტის ფარგლებს, ისინი სხვადასხვა კონცერტებში და შოუებში მონაწილეობენ და მაყურებლის სიყვარული და კეთილგანწყობა დაუღალავი შრომის ფასად მოიპოვეს. მათი წარმატება ყველას გვახარებს“, — განაცხადა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

ანსამბლის ხელმძღვანელმა თამაზ მამალაძემ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას თანადგომისთვის და დახმარებისათვის მადლობა გადაუხადა და დასძინა, რომ სხვაგვარად „თსუ გორდელა“ ასეთ დიდ წარმატებას ვერ მიაღწევდა. მისივე განცხადებით, მიუხედავად ანსამბლის ასეთი წარმატებისა, ეს მხოლოდ დასაწყისია და გაგრძელება უკეთესი იქნება...

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ანა ბოლქვაძე**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ნოდარ ბელქანია, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62